

ჩ ვ ე ნ ი

თაკობა

9

1437

ჩ ვ ე ნ ი
თ ა თ ბ ა

საქართველოს საბჭოთა მფარღების
კავშირის შოველთვიური ორგანო

N^o 9

ს ე მ ტ ე მ გ ე რ ი

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

ანდრო თევზაძე — სტალინს	გვ. 3
მაყვალა მრევლიშვილი — აბრეშუმი	4
რუგოშელი — ვაჟა-ფშაველას	6
ნინო ქობულაშვილი — მეცხვარე	8
კალე ბობოხიძე — კოლხიდაში	9
ალექსანდრე ქუთათელი — კოლხეთი	11

კლასიკური მემკვიდრეობა

მ. ლერმონტოვი — სამი პალმა, თარგმანი	
ი. მკედლიშვილისა	23
მ. ლერმონტოვი — მწირი, თარგმანი ანდრო	
სიჰინაეასი	25
მ. ლერმონტოვი — ტამანი, თარგმანი გერონტი	
ჭიქოძისა	45

პრიტიკა

აკ. გაწერელია — ნიკოლოზ ბარათაშვილის	
თემურ და სტილი	55
ლევან ასათიანი — ლერმონტოვი და ჩვენი	
ქვეყანა	70
დოც. ა. ი. ჩხეიძე — მ. ი. ლერმონტოვი	84

მ ბ ა თ ვ რ უ ლ ე
ღ ი ტ ე რ ა ს უ რ ე

ანდრო თევზაძე

სტალინს

დიდება მას, ვინც პატარას
გიმღეროდა ნანას ტკბილად.
ერთმა დედამ გწობა, მაგრამ
ყველა დედას ჰყავხარ შვილად.

შენი მზერა ჰგავდა არწივს
და ცეცხლიან გრიგალს სძლიე,
და ბელადმა ხალხთ ბოროკილი
დალეწე და დაამსხვრიე.

თვალი ახლაც არწივს გიგავს,
სიბრძნის სიტყვებს აფრქვევ ღვარად,
ვამარჯვების დროშა მიგაქვს
კომუნისმის საწინდარად.

რა ძალა ხარ, რა ფოლადი.
რა ვაჟკაცი, რა დიადი.
შენ შეგვიქმენ გაზაფხული
და ნათელი განთიადი.

შუე გველვეშაპს გამოსტაცე,
ხალხს სამშობლო დაუბრუნე.—
ჯულაშვილი დედამ შობა
და სტალინი — საუკუნემ.

ბრუნება

აღიღინებს ურიცხვ ბორბალს
ყაჭ-ნამქერის ოქროს ჩქერი,
მასრის მწკრივი რიტმში ბორგავს.
დაზვის მწკრივი რიტმში მღერის.
ათასწვერი სირმის წვიმა
ბროლის ყუნწში სცროს და ავდრობს,
საქსოვ ყდაზე გაიჭიმა
მარდი მაქოს სანავარდოდ.

თურმე ლხინი სწყურებია
დალ-ალები ნაირ წყებას,
თავმოხდილი ჭურებია,
ყრიაბული ცასა სწვდება,
შესევიან სისხამ დილას
ტაშ-დბირის გამალებით,
სწრაფ როკვაში ჩამოშლილან
ნამაღევი დალალები.
თითის სიგრძე, კუდიანი
იქვე მაქო დასრიალებს,
კვიმატ შაირს მისცა ბანი
და სიცილით ხოცავს ქალებს:

ალალ-მაქო, დალალ-მაქო,
თქვენი ლხენა თან დამაქო,
ვიწვი, გოგოვ შუქურმაქო,
რა ლამაზი თმები გაქო!

შეიჩვიეს გასაქრობი,
აღარავინ იგერიებს,
აღს დაღალღში ჩაეკვრება,
ქოჩორს უგრებს მკვირცხლ ფერიებს.
მოიზიდავს ჯერ კი ვნებით,
თან უხლართავს ისეთ მახეს,
რომ ბაჯაღლო ნაწნავებ,
მკვირვ ქსოვილად აცახცახდეს.
ტოკავს, ფეთქავს, თრთის და თბება
უთვალავი დაზვის გული
და ჩაბეჭა ოქროს-თმება
ჩარჩოებში გათანგული.
აელვარდა აბრეშუმი,
საკაბე და სამანდილე,
ქობას ირთავს სხივთა შუბით,
გადაიბნევს ფერად ლილებს.
აშრიღდა აბრეშუმი,
ჩაიკეცა ურუოლით ნაზმა,
გულს უჩრქოლავს ნდომა ჩუმი
ჩემს სამშობლოს მოსაკაზმად:
აქ ბალახზე ქარვის მილით
თაფლი სწვეთა სავეს ფიქას,
იქ მარწყვია გასრესილი —
ირემმა რომ დააბიჯა.....
ზან ბადაგში ნავლებ თევით
გადისერავს სიგრძე-განებს,
ზან მოხდენილ ნახაზებით
ქართულ მ-ანებს მიაშვესანებს.

დგას დარბაზი გაბადრული,
საზეიმოდ გული ერჩის,
შრომის ხვავს და შუქთა რუებს
ვეღარ იტევს ხალვათ მკერდში.
ჰფლობს, პატრონობს მორჩილ დაზვას
უთვალავი მუშის წყება,
სალუქ ქსოვილს თავზე ადგას,
მშობელივით გარს ევლებს:
გრძნობამ ღიმი გაუღვივა,
თან გაატანს ნატყრის ხვითოს, —
სიხარულით ნაქსოვია
სიხარულში გაიცვითოს!...

ვაჟა-ფშაველას

მზეს მონათალო ვაჟაკო,
 ორბ-არწივების გვარისა,
 ვინ ჩაგიღვარა ძარღვებში
 სისხლი ჩანჩქერის ძალისა? —
 ირმის ძუძუ თუ გიწოვავ,
 ან ვეფხვთან ნაწოლ ქალისა!?
 ზვიადი მჭმუნვარებანი
 ამამავალი მთვარისა,
 ქუშობა, შაუვალობა
 კლდოვანი დარიალისა
 და სულის შმაგი ბუხუნი
 ხევეებში მბორგავ ქარისა!
 შენი გულისა ძგერანი
 ბრღვენივაა თერგის წყალისა!
 შენი სევდა და ნალველი
 მდრეკია მთათა მხარისა!
 ლექსს ფხიანობა უხდების
 ხიმეკაურის ხმალისა,
 აბრიალება გრძნობების —
 მზეზე ნაშრობი კვარისა,
 და სისპეტაკე, ბროლობა
 ყვავილზე მჯდარი ცვარისა!..
 გტანჯავდა ბედი წყაროსი
 სიზმარში ამომშრალისა,

სიკვდილის პირას ინატრე
ქვეშ გაშლა ლორთქო მწვანისა...
ხარბად ჰსუნთქავდი, ჰყნოსავდი,
სუნი გათბობდა ფშანისა
და ბოლოს იმათ გადაეც
წიბო მგ შენი ტანისა, —
ასე აღსრულდა სიკვდილი
ნაიალადარ ხარისა!..

მეცხვარე

ქარებს ღრუბელი ჩაუშლიათ და, როგორც ჭირნახულს, ისე ლეწავენ, მთაში მეცხვარე ყავალს აკვნესებს და ტბის ნაპირას ტყდება ლერწამი. ხვალე ქალაქში უნდა ჩავიდეს და საგულეში გული ტოკდება: ხალსს გამარჯვება თუ არ ახარა, მაშინ ქერბალა ბარემ მოკვდება. თვითეულ ბატკანს დღეს უაღერსებს და გადაჰყურებს გაშლილ მიდამოს, თითქო ცხვრებსა და რძიან ბალახებს ეკითხებაო, რა მოგიტანოთ. ჩავა და ნაბადს უკან გაჰყვება ყველის სურნელი ძვირფას ნობათად, ჩავა და ეშხით ილაპარაკებს, ფარებს ჭრილობა როგორ მობანა. ეხლა გასცქერის მაღალ მწვერვალებს და მიაცილებს შავი ნაგაზი. შეჰყეფა სივრცეს, თითქოს დაჰპირდა, ბეწვს არ გავატან ნადირს არას გზით.

კაი ვაჟია, მთაში აქებენ, გაშლილს შვიდს ნაბადს გადაახტება, იგი — შემტევი — უკან არ იხევს თუ დაბრკოლება გზაში დახვდება. ეხლა იჩქარის, მწყემსის იღბალზე ამღერებულა ხევში არაგვი, იგი სავსეა ბროლის ტალღებით, როგორც სოფელი უხვი ბარაქით. წადი, უამბე დამკვრელთ ყრილობას გასაოცარი ჩვენი გმირობა, როგორ შეკრულა, მოშუშებულა ციცაბოებზე ძველი ჭრილობა.

კონცერტაში

მოხუცი იოხანან.

შავ ფიქრებში ველარ სძლებდა,
აწუხებდა დარდი,
ცოლშვილს პურით ვერ აძლებდა
იელოვას მადლით.

დადიოდა ქუჩა-ქუჩა
დაჟანგული ადლით,
მზეში სახე გაერუჯა,
იყო, როგორც ლანდი.

სავსე ბოხჩა, ღორის ჯაგრით
დაჰქონდა და ჰღლიდა,
მკეთებელი იყო ჯაბრის,
შრომდაც არ ღირდა.

ეშინოდა უხეშ ჩაფრის,
და სიმწრის ოფლს ჰღვრიდა,
და ებრაელს დღენი ჩაგვრის
მარად წელში ჰხრიდა...

გაქრა ის დრო, შავი წელი,
ლუკმა პურზე დარდის,
იოხანან ქლავი წვეთით
მხიარული დადის.

დღეს მის ოდას გადმოჰყურებს
ციდან მთვარე ბადრი
და შრიალებს სახლის ყურეს
ქორთა ალენდრი.

და მოხუცი უმზერს მთვარეს,
აივნის წინ დადის,
არ აწუხებს ფიქრი მწარე
და წარსულზე დარდი.

სიხარულით შეიმოსა,
ამდენ ხანს რომ სდუმდა,
იოხანანს ჭაღაროსანს
დღეს სიცოცხლე უნდა.

კოლექტივის თავმჯდომარე
გამოზრდია შვილი,
ყვავის ეზო, არე-მარე,
ლაღად გადაშლილი!

იოხანან მოხუცია,
მთვარესავით ბადრი,
შრომობს, აღარ მოუცლია,
არც აწუხებს დარდი.

დაასახლეს გაშლილ ველზე,
ჰყვავის მისი ბაღი,
ფიქრობს ახალ სიცოცხლეზე
იოხანან ღალი.

მის დიდ ოდას გადმოყურებს
ციდან მთვარე ბადრი
და შრიალებს სახლის ყურეს
ლალის ალენდრი!

კოლხეთა

კოლხიდის ძველი მოქალაქე

ფოთის ხიდზე დავინახე
კუზიანი, კოჭლი კაცი.
გატრეცილი ჰქონდა სახე
ციებისგან მარლი, ბაცი.

მოხარშული ფოთის ხაშმით,
მოდიდდა ის ხანმოკლე.
სევდა, დარდი ჰქონდა ხმაში,
ეძახოდნენ: „ჯიმა პროკლე!“

უდღეური, ვით ცინდალი,
მკლე გამხდარა, როგორც ფარგა,
მაგრამ ეშხი წინანდელი
არ უნდოდა დაეკარგა.

თუმც აჭკნობდა კოლო, ნესტი,
ტბა ჩამპალი და ბალახი,—
ფეხთ ჩაეცვა წულა-მესტი,
მხარს გადევდო ჩაბალახი.

სატევარი ვადიანი, —
ტანთ ემოსა დარაია,
ათთქო ედგა დადიანის
დიდი სახლი, სარაია.

მასში ვიცან გარდასული
ძველ კოლხეთის მოქალაქე,
სნეული და ხანდაზმული,
აზნაური მოლაქლაქე.

მიყვებოდა წარსულს, უკუნს,
ციებისგან გადამთვრალი.
ტანში მცრიდა ბაციკუკუ,
მისი ჯოჯო, მარლი თვალი.

ძველი ციხის ქვას ალაგებს,
იგონებდა პალეოსტომს,
წყლით დაფარულ ნოქალაქევს,
არგონავტებს და იმათ ტომს:

„აქ ფაზისი და რიონი
იყო საგსე ოქროს სილით.
შოდდოდა მყურიონი
და ბატონი ყოველ დილით.

გადაჰყრიდნენ ჩქარ ტეხურში
და ფსკერიდან მონახვეჭი,
მატყლზე ება ცხვარს ფერხულში
ოქროს ქვიშა, ფხვია კენჭი“.

იგონებდა, იაზონმა
ვით მოგეტაცა ოქროს ვერძი,
ოქრო,—კერპის ტოლი, წონა,
ომისა და ბრძოლის კერძი.

შუალე

იდარა: მთა, ციხე — ქანდაკი
კვლავ სთვლემდა თაკარა მზით.
წყაროზე მოდენეს ხვადაგი
მწყემსებმა დაჩრდილულ გზით.

ეხვევა საქონელს მწერები,
იქნევენ გაფანხულ კუდს.
აკეთებს ირაოს ძერები,
საყორნე ლოდები ყუდს.

აბოტდა ღრიანცილით თხა, ცხვარი.
ეძებენ ლორები რუს.

ფუტკარი მზის სხივით დამწვარი.
ეხვევა ცაცხვსა და ბუქს.

მზე აბრიალდა ალხით.
ზღვიდან ზვიადი ქვიშას
ტალდა ასველებს, ქშინავს,
თითქო ქოთქოთებს ხალხი.

ახალი კოლხიდა

ჩემ წინ იდგა ნავთსადგური,
იზრდებოდა დღედღე ფოთი,
სახლზე სახლი და სართული,
კაცის ხმა და ხალხის შფოთი.

ხარაჩოებს ქარი არხევს,
და ქარხნების ბოლს ანაბოტს,
მე კოლხეთის ვხედავ არხებს
და ჩიონის სხვა კალაპოტს.

ნახშირს ჰყრიდა გემში მუშა,
ამზიდავი დიდ ონკანით.
ჩვენ ვაჭრობას ვერ ჩაფუშავს
უცხოეთი—ყმა შორგანის.

ვხედავ მოვიდა გემი,
ნაპირს მოადგა ხელად.
ლუზა დაეცა რქებით,
შეხვდა კოლხიდა ბელადს.

გული ჩავიდა საგულეს,
ზღვაზე ტალღები მღერიან.
სამშობლოს მოჭირნახულე
გვერდში უდგია ბერია.

იქ, სადაც სჩანდა...

იქ, სადაც სჩანდა რიონის გაღმა
შემორკალული მთავორით ხონჩა,
სად მოგონება ომებზე გახმა,
როგორც ცალფეხზე შემდგარი ყანჩა,
სად ციებიან დობირო ველზე
არ უთიბნიათ ნადურით ჩალა
და თვის ავ ყოფას თუ საგონებელს
ტურების ჯოგით ჰკიოდა ჭალა, —
შეხედე ახლა როგორ დატორა
ძრავმა მზიდავმა ათასი ტონის!
დღეს ჭალადიდში მიდის ტრაქტორი
და მართავს მუშა მას უბატონო.

კოლხიდელებში ჩადგა ბელადის
ზრახვა და საქმე, სიმხნე ფოლადის,
რომ მომავალის საქმეს ჰბედავდნენ
და ასრულებდნენ გეგმას ბოლომდის.

ვინახულეთ ჭალადიდი
და ახალი მოსახლენი,
სახლი, კერა, გზა და ხიდი,
ბალი-ყანა გარდავლენით.

კაცმა შრომით ბედი იხმო,
აღისრულა წადილია
და სიმინდი მკლავის სიმსხო
ნატყეურზე გადირია.

ათლეწა, არ მოეშვა,
ეჯიბრება კიტრებს გოგრა.
ბოსტნეულში წვეს გომბეშო,
ჩვენ მანქანას თვალი მოჰკრა.

მხალს მიეყრდნო ზანტი მაგრა,
ღობილებიც დაობდიან:
როგორ დაშრა ან ვით გაქრა
ჭალადიდის ჭაობიო?

ჭინ მოთხარა კოლხეთს ხენი,
ეგ ათასი წლის აკვანი?
არ ესმოდა მოსალხენი,
საყვარელი ხმა, ყაყანი.

არე-მარეს თვალი ვკიდე:
ექსკავატორს ეხნა არხი,
დგას რიონზე რკინის ხიდი,
ველზე — ახალ სოფლის სახლი.

კრამიტებით დახურული,
ჩარაზბულა ჯარივითა,
სადაც იყო დაბურული
ტყე ავსილი ნავსი წყლითა.

ახალშენთან დგას მეურმე,
ჭიშკრის თავზე აბრა არი.
შეგვეგება კოლმეურნე
სამოცი წლის აბრაამი.

შვილი ახლდა თან მშრომელი —
კოლექტივის თავმჯდომარე.
მეორე კი ბრვე შოფერი,
ხელმარჯვეა და ჯომარდი.

„იფიქრებდა ვინმე განა
ებრაელთა ხენა და თესვას?
ბობოლებმა კიდევანა
ხითხითილა გამართესა.“

პურს ნუ თესავ შენ ხანაან,
ამოგვივა ისევ ადლი!
ახლა ნახე რა ყანაა,
ებრაელთა მაჯის მადლი!“

სთქვა და თვალი მოღიმარი
მომანათა ბერიკაცმა.
გვპატიუებდა შინ ღიმლამით
და გაგვაცნო თვისი დაძმა.

გამოვიდა მისი ქალი, —
ჩანს მოასწრო კოხტად ჩაცმა.
კომკავშირის ბრძენი თვალით
სარამ გულში ეშხი დამცა.

მომეწონა სუფთა ოდა,
არ მენახა ბარემ ადრე.
აიენის წინ იზრდებოდა
ალისფერი ალენდრი.

შორს გაშლილა უძლეველი
მშრომელები ჭილის ქუდით,
ზღვა ნარინჯი, ოჭროს ველი,
ევკალიპტი, გრეიფუტი.

ვინ მოჰტინა, ვინ შეჰმოსა
ფერადფერად ამ ნაბადით,

საკვირველი ვით ფორმოზა
მიწა გუშინ დასაბადი?!

ამოცურდა, ვით ნობათი
დაკარგული ოქრო მართლა,
დაიბერტყა აქ დოვლათით
საბჭოეთმა თვისი კალთა.

ჩვენი ოქრო ჩვენვე დაგვრჩა
და კოლხეთის ვართ ბატონო.
გადაშლილა ბალი, ბაღჩა,
მალლა ზეცის კაბადონი.

ბაციკუკუს ნაცვლად ნახე
დღეს კოლხეთის შენ მოსახლე,
ჯანით სავსე მისი სახე,
ნადურზე რო შემოსძახებს.

არ უშვებდა ცოცხალს გუშინ,
მტერს ჩააცვა მან სუდარა.
ჩაუნერგაეს ახლაც გულში
მტრების ზიზღი და მუქარა.

გეზი შისცა კაპიტანმა:
 თანაშემწემ ხარი დაჰკრა.
 მომეწონა სახე-ტანად
 დაძაგრული კაცი მაგრა.
 შორი ცურვის დროს ნაბიჯსა
 სად არ დგამდა მეზღვაური.
 ვაჟკაცია მხნე და დინჯი,
 ფოთელია აქაური.
 შენებრ იყო მხნე ოსტატი,
 მეფის ტახტი ვინც დალეწა.
 მომაგონდა კვლავ კრონშტადტი,
 ოქტომბერის ის ღამეცა,
 როს აწყვეტილ არწივს ჰგავდა
 ხალხის ბასრი რისხვა ბრძოლის.
 შიშისაგან მტერი ჰყავდა
 კიდითკიდე შენაძრწოლი.
 ყმა შესაჭე მოემზადა.
 ახმაურდა მძლე მანქანა.
 ცეცხლფარეში დგას უზადო,
 რეკავს ხარი და ბაქანი.
 შეტრიალდა, გაიშალა,
 წინ მივდივართ ფართო ზღვაში.
 რა გემია — ბარაქალა,
 რა ძალაა ძრავის ხმაში!
 ყელს მაწვება სიხარული.
 მოსჩანს ფოთი და მალთაყვა.
 შეგვეგება მხნე მხარულით
 ტანმორჩილი ჩვენ კატარა.
 დაგვეწია ჰიდროპლანი,
 მოუხადეთ მფრინავს ქუდი.
 საკვირველი კილობანი
 სად მიფრინავს აწვილ კუდით?
 მომაგონდა მძლე არწივი,
 ჩკალოვი და ჩვენი „ანტე“,
 ომში თავი ვინც გასწირა,
 მადრიდი და ალიკანტე.
 წინ მივდივართ. ჯანით სავსე
 მიგვაქანებს გემი ჩვენა.
 ვინ აუშვა ნეტავ ასე
 ზოლიათის ფართო ქნეშა?

გეშმა განვლო ხმელთა კიდე,
წინ მივიწევთ და მიხარის.
გამაგონე, ზღვაო, კიდევე
დამღერებით რაც მითხარი.
შენ ხარ ხალხთა ძალის დეღვა,
აღტკინება ბრძოლისადმი,
კაცთ გონების სწრაფვა, ელვა,
მილიონთა მაცჯის მადლი.
შენ გარეკე შორს მშრომელთა
სამშობლოდან ხალხის მტრები
და გიგონებთ ჩვენ, რომელთაც
გვახსოვს დიდი მიწისძვრები.
ვართ იმ კაცის ფიქრით სავსე,
ვინც ჩვენს გულში მარად სახლობს,
მწვერვალები ედგა თავზე,
მყინვარი და ბარისახო.
ვინც პოლუსზე მხნე და მშვიდი
გააგზავნა გასაკვირი
მფრინავები, ოტო შმიდტი
და გრომოვი, გმირთა გმირი.
ხალხთა ბელადს მან შეჰფიცა,
მისი ნება გაჰყვა თანა,
შემოაჭდო დედამიწას,
ამერიკას მიუტანა.
არ დაცხრება სიხარული,
მისი ძალა ამოდენა,
მანქანათა უხვი გული,
შრომით სავსე წელთა დენა.
არ დაცხრება უნაპირო
მილიონთა გაქანება,
აღტაცება საკავშირო,
უდგრომელი ხალხის ნება...
მან წარმოშვა ეს თაობა,
უძლევი და უშიშარი,
რას დააკლებს ვერაგობა,
დაწყევლილი მტრების შარი!
ზღვის გამზირი გაიშალა,
წინ მივდივართ ფართო ზღვაში.
რა გემია — ბარაქალა,
რა ძალაა ძრავის ხმაში!

1937

მ. ლეონიძე

სამიპაიდა

არაბთ უდაბურს, ცხელთ სამყაროთა
სამი ამაყი პალმა ხარობდა.

მათ შორის მიწის მწირი გულიდან
მოსჩქეფდა წყარო სიხარულითა.

მწვანე ფოთლებში თავს იფარავდა
და მზე, ხორშაკი მას ვერა სწევდა.

მრავალ წელთ განვლეს ასე ყრულ, წყნარად
და შორი მგზავრი მათ გასახარად

მწყურვალე გულით არა ჩნდებოდა,
რომ ჩრდილში წყაროს დასწაფებოდა.

მზე ედებოდა ცეცხლად სამყაროს,
ხმობას უქადდა პალმებს და წყაროს.

და საყვედური უთხრეს ღმერთს ავი:

„აქ მისთვის გავჩნდით, დავმტკნარიყავით?

ნუთუ ვევაოდით, უდაბნოს მდგარნი,

ქართ რხეულნი მზისგან დამწვარნი,

რომ არავისი დაგვეტკბო თვალი? —

ცაო, მკაცრიკ ეს სამართალი!“

სთქვეს ეს თუ არა, ცისფერ სივრცეში

ავარდა სვეტად ქვიშა და ხრეში:

მოისმა ზართა ხმა ყურის მჭრელი,

ტვირთხალიჩებიც გამოჩნდა ჭრელი

და, როგორც ზღვაში ხომალდი რხევით,

აქლემი აქლემს მოსდევდა რყევით.

ამათ კუზიან ზურგსა ჰფარავდა
გრძელი კალთები მგზავრულ კარავთა;
მათ ზოგჯერ შავი ხელით აპკეცდნენ
და შავი თვალით ნაპერწკლებს ჰკვესდნენ;
შვილდზე წახრილი არაბი, ნემსა,
შეახურებდა ყორანა ცხენსა.

ყალყზე დგებოდა ხანდახან იგი
და ხტოდა, როგორც დაჭრილი ჯიქი
და ნაოჭები თეთრ სამკაულთა
ფარისის მხრებზე ეყარა ტურფად;
სტვენით, ყიყინით, ცხენდაცხენ გზაში
ათამაშებდა შუბს მალლა ცაში.

პალმების ჩრდილში, ჩოჩქოლბარაქამ,
იმ ქარავანმა დაიბანაკა.
წყარო სიმღერით ავსებდა კოკებს
და, ყინჩად თავი რა შეატოკეს,
პალმებმა მისცეს სალამი სტუმრებს—
წყარომ მოუკლა წყურვილი მწყურვლებს.

მაგრამ რა ბინდი გაჩნა ცის პირას,
ცული დაემო პალმათა ძირას,
და დასცეს შვილნი საუკუნეთა
გასახარებლად ბავშვთა სულელთა.
შემდგომ დააპეს, დასჭრეს უეცრად
და მათ წინ ენთო დილამდე ცეცხლად.

ხოლო, როს ღამე გატეხა აღმა,
კვლავ გზა განაგრძო იმ ქარავანმა.
იქ კი, როგორაც ნაშთი და კვალი,
დასტოვა ფერფლი ცივი და მკრთალი.
რაც დარჩა, ისიც მზემ დასწვა ცხარმა,
ხოლო შემდგომად განფანტა ქარმა.

და დარჩა მხოლოდ უდაბნო შლილი,
აღარც წყაროა და აღარც ჩრდილი.
ეხლა მისანიც ვეღარას ჰშველის,
ეყრება ცხელი ქვიშა და მტვერი
და უკაცური ძერა მათ თავსა
ჰკორტნის და სჯიჯგენის საზრდოს, ნადავლსა.

თარგმანი ი. მკედლიშვილისა.

ქიზი

1

არ გასულა ბევრი წელი —
რაც იმ ხევთან, სადაც ღელვით
ჩახვეულან, როგორც დები,
არაგვის და მტკვრის ტალღები,
მონასტერი იდგა მაღლა.
მეზავრი მთიდან ნახავს ახლაც
ჩამონგრეულ ჭიშკრის სვეტებს,
მაღალ კოშკებს, საყდრის კედლებს;
მაგრამ არ ჩანს დღით, არც ღამით
საკმეველთა წმინდა კვამლი,
არც გალობა ისმის, ერთად,
ჩვენს სახსნელად მლოცველ ბერთა.
დღეს მოხუცი, ობლად მდგარი,
ნანგრევთ მცველი ცოცხალ-მკვდარი,
მინაფიწყი ღვთით და ერთი,
ჰგვის, თუ აკრავს ლოდებს მტვერი,
რომლებზედაც წანაწერი
იუწყება წარსულ სახელს —
და რომ მეფემ, ამდამ წელს,
გვირგვინმა რომ გაამწარა,
ერი რუსეთს ჩააბარა.

და ღვთის მადლი მოველინა
საქართველოს, ტანჯულს წინათ! —
ის ყვაოდა ბალთა ჩრდილში,
გარშემორტყმულს მოყვრულ ხიშტით,
აღარ ჰქონდა მტრების შიში.

2

გენერალი რუსი, დილით,
მიდიოდა მთიდან თბილისს:
თან მიჰყავდა მას ტყვე ბავშვი.
ავად გახდა იგი გზაში.
ვერ გაუძლო გზას ხანგრძლივსა.
იქნებოდა ექვსი წლისა;
მთის შველივით იყო ფრთხილს,
ლერწამივით ტანმოქნილი,
მაგრამ სნეულს, კუბოს კართან,
გაულღივდა წინაპართა
მძლავრი სული. მწარე ტკივილს
მხნედ იტანდა. კენესა-ჩივილს
არ ამხელდა ბაგე ჩვილი,
პური თვალსაც არ ანახა
და კვდებოდა ის ამაყად.
ერთმა ბერმა მას მიხედა,
მცველ კედლებში ჩაიკეტა —
ააცდინა საწყალს რისხვა,
მეგობრული ხერხით იხსნა.
შეუჩვევი ტკბილ შექცევას
გაუბრებდა ის ჯერ ყველას,
დადიოდა მუნჯად, ობლად,
თვალეზს ოხვრით მიაპყრობდა
აღმოსავლეთს, განაფითრი
სამშობლოზე მტანჯველ ფიქრით,
მაგრამ შემდეგ შეეთვისა
ტყვეობას და ენას სხვისა,
ის მონათლა წმინდა მამამ,
მოწყვეტილმა ყოფნას თამამს.
მოისურვა ახლა, მათთან,
წარმოეთქვა წმინდა აღთქმა.
უცებ, ბნელი ღამით იგი
სადღაც გაქრა. ტყეთა რიგი
გაწოლილ მთებს ერტყა ირგვლივ.
სამ დღის ძებნამ მთაში, ბარად,

უშედევოდ ჩაიარა.

ბოლოს ნახეს — ეგდო მინდვრად,
კვლავ სავანეს დასვეს, მშვიდად!
იყო მკრთალი და გამხდარი,
თითქო სიმშვილგადამხდარი,
ტიკვილ-ჯაფა-გამოვლილი,
ხმას არ სცემდა არვის ფრთხილი
და დნებოდა, როგორც ცვილი;
მოახლოვდა აღსასრულიც —
ხვეწნით, რჩევით მეგობრულით,
წარსდგა ბერი იმის წინა,
მან ამაყად მოუსმინა,
მოიკრიბა ღონე მთელი
და წარმოსთქვა სიტყვა გრძელი:

3

„აღსარების მოსასმენად
მოხველ ჩემთან, გმადლობ შენა.
მიჯობს მაინც ვინმეს გვერდით
დავიმშვიდო სიტყვით მკერდი.
აღარ ვმტრობდი კაცთ მე საღმე,
ამიტომაც ჩემი საქმე
არ შეგმატებსთ ახალ ცნობას,
და სული კი — მოითხოობა?
მე ვიცხოვრე ძლიერ ცოტა
და ისიც ტყვედ. ყოფნას მშფოთავს,
ერთს, ასეთის ორის ნაცვლად,
ავიღებდი — იყოს გაცვლა.
ერთი ფიქრი მფლობდა მძაფრად —
ერთი — მაგრამ მძლავრი სწრაფვა,
ჩემში იყო ის, ვით ჭია,
დაღრღნა სული, მტვრად აქცია.
ის ოცნებებს ჩემსა, ზვიადს,
ეძახოდა, წანაქეზებს,
ლოცვებიდან ბრძოლის-ველზე,
სად ჯანლი ფლობს კლდეებს აწვდილს,
სად კაცი ჰგავს შვებულ არწივს.
ბნელ ღამეში სწრაფვა ჩემი
გამოვკვებე ნაღვლით, ცრემლით.
დღეს ხმამალალ გადაცემით
ვაცნობ ცას, ბარს, მთათა წყებას
და არ ვითხოვ შეწყნარებას.

ჰე, მოხუცო, ხშირად ვისმენ —
 სიკვდილისგან თურმე შიხსენ.
 რისთვის?. ვადრი ჩემს თავს, ობოლს,
 მოწყვეტილსა მეხით ფოთოლს,
 გავიზარდე ბნელ ბჭის მზერიით,
 სულით ბავშვი, ბედით ბერი.
 ვერვის ვუთხარ მე თამამად
 წმინდა სიტყვა: დედა, მამა;
 მიმართავდი შენ ხერხს ნაცადს,
 გასურდა ამ ტკბილ სახელთ ნაცვლად.
 გულში სხვა რამ ჩამეწერა...
 და ამოდ: მათი ბგერა
 ჩემთან იშვა. აქ ტყვე, სხვისას
 მშობლებს, წყებას მოყვრებისა,
 მე ვხედავდი ცოცხლებს ნათლად,
 ჩემსას! — ვერც მათ, ვერც მათს საფლავს!
 მე უცრემლოდ მაშინ მტკიცედ
 სულში ასე დავიფიცე:
 ერთხელ, წუთით თუნდაც ერთით,
 მე მივაკრა კხელი მკერდი
 სხვა მკერდს, ჩემთვის თუნდაც უცნობს.
 შაგრამ მშობლურს, არა უცხოს.
 ვაგლან, ახლა ის ოცნება
 სრულ მშვენებით ჩემში ქრება,
 მე მოვკვდები უცხო სოფლად,
 ვით ვცხოვრობდი მონად, ობლად.

„არ ვთვლი საფლავს საშიშ ბინად:
 იქ, ამბობენ, ტანჯვას სძინავს,
 ცივ სიწყნარეს არ აქვს ბოლო.
 მე ცხოვრებას ვერ ვთმობ მხოლოდ.
 ჭაბუკი ვარ... გრძნობდი ამ დროს
 შენც აწყვეტილ გზების ამბორს?
 დაგავიწყდა მერე ალბათ —
 როგორ გაძულდა და გიყვარდა:
 ვით გიცემდა გული ჩქარა,
 როცა მზის შუქს ველზე დვარად,
 დიდ კოშკიდან სჭვრეტდი დილით,
 სად ჰაერი იყო გრილი,

სადაც კედლის ღრმა ნაპრალში,
ზოგჯერ, უცხო მხარის ბავშვი,
იმალება მტრედი ჩვილი,
ელვა-ჭექით დაფრობილი.
დაე, ახლა, ცის კამარა
ნულარ გატკობს სუსტს, ქაღარას.
არ გრძნობ გულში სურვილთ ტრიალს..
არც გჭირია. გიცხოვრია!
დაგრჩენია მისი ხსოვნა,
მეც შემეძლო, რომ მეცხოვრე!

6

„გინდა გითხრა მთებზე, გზაში
რას ვხედავდი? — მინდვრებს გაშლილს,
სერებს, შემკულს ხეთა რიგით,
რომ ხარობენ კლდეებს ირგვლივ
შხუილა და ქორფა კრებით,
ვით ფერხულში მდგარი ძმები.
მე ვხედავდი კლდეთა ზვინებს,
ნიაღვრებით დასერილებს
და ვწვდებოდი იმათ ფიქრებს, —
მომენიჭა იგი ციდან!
გაშვერილან დიდი ხნიდან
ქვის მკლავები ცაში მათი,
სურთ შეეხონ ურთერს თათით;
მაგრამ დღენი, წელნი რბიან,
კლდენი კო ვერ ერთდებიან.
მე ვხედავდი მათა წყებას,
გასაოცარს, ვით ოცნებას,
როს მწვერვალნი მათნი, ზევით,
საკურთხეველის მსგავსი კმევით
აბოლებდნენ ცაში წყნარა,
იქ სტოვებდა ღრუბელთ ფარა-
საიდუმლო ღამის სათევს,
და გარბოდა აღმოსავლეთს,
ვით შორიდან მომავალი
თეთრ ფრინველთა ქარავეანი!
შორს ვამჩნევდი ცად ატანილს,
მოელვარეს, როგორც აღმასს,
თმაჭალარა, მედგარ კავკასს;
და, რატომღაც, ჩემი გული
ივსებოდა სიხარულით.

ხმა მამცნობდა იღუმალი, —
რომ ერთ დროს მეც იქ ვიყავი...
და გარკვევით თვალწინ, სრული,
წარმომიდგა მე წარსული.

7

„მომავონდა მშობლიური
სახლი, ხევი და აული,
ჩრდილოვანი მისი ვაკე;
ვგრძნობდი უკვე შინისაკენ
თქარა-თქურით მავალ ნახირს,
ნაცნობ ძაღლთა ყეფას, ძახილს.
ვიგონებდი მოხუცთ ჯგუფებს,
მთვარიანი ლამის შუქზე,
მამაჩემის მოაჯირთან
რომ მსჯელობდნენ ბრძნულად, მშვიდად.
ვარაყიან ქარქაშთ ელვას,
მზზინავ ხანჯლებს... და ეს ყველა
სიზმარივით, მკრთალ ლანდებად,
რიგრიგობით თვალწინ მედგა.
მამაჩემი ბრგე და ქველი,
საომარი საჭურველით
წარმომიდგა ნათლად წინა:
აბჯრის რეკა, თოფის ბრწყინვა,
თვალი ჭალად ანანთები...
და პატარა ჩემი დები:
იმათ თვალთა შუქი, ფერი,
ხმა იმათი, სიტყვის, მღერის,
ჩემს აკვანთან ტკბილად მყდერი...
იქ ნაკადი რბოდა ხევში,
თუმც პატარა — ზათქით ხრეშით:
მის კრიალა ქვიშა ხრეშში
ვთამაშობდი იშვებე მეცა,
და ვხედავდი იქვე მერცხალთ,
როს წვიმის წინ, მწერთა მტრები,
ქებბოდნენ ტალღებს ფრთებით.
მომავონდა სახლი ჩვენი,
ბინდზე ცეცხლი, შუქთა მფენი,
გრძელი თხრობა მზიბლავ ენით:
ვით ცხოვრობდნენ ქვეყნად, ვიდრე
მეტე იყო აქ სიმდიდრე.

— გინდა გითხრა მთებზე, მაღლა,
 რას ვშვრებოდი? ვიყავ ლალად —
 არ მეცხოვრა ის დღე სამი —
 ამავესებდა ყოფნა შხამით,
 ვით სიბერის მწარე ჟამი.
 მქონდა მისწრაფება ძველი,
 დამენახა ფართო ველი,
 სილამაზე მეგრძნო მიწის,
 მეგრძნო, ქვეყნად რისთვის ვიშვით,
 შვებისა თუ ტყვეობისთვის.
 და, როცა აქ, ჟამსა მწუხრის,
 თქვენ უფრთხოდით, ქექა-ქუხილს,
 როს ხატის წინ თავმოყრილნი
 იყავით თქვენ დამზობილნი,
 მე მოვკურცხლეთ. ვძთ ძმა ღვიძლ ძმას,
 ვებვეოდი ხევში გრიგალს.
 ვუყურებდი ღრუბელთ ღელვას
 და ვიჭერდი ხელით ელვას.
 აბა მითხარ, აქ თქვენ ძალა
 თუ შეგწევდათ — შეგეცვალათ
 ის კავშირი მეგობრული
 გრგვინვისა და მშფოთარ სულის?

„მე განვაგრძე დიდხანს რბენა,
 არ ვიცი კი საითკენა!
 გზა ვარსკვლავმაც არ მიჩვენა.
 მაშინ, მთებში გაჭრილს, მსურდა
 ტანჯულ მკერდში ჩამესუნთქა
 გრილი სიო ვრცელი ტევრის...
 და ვირბინე ასე ბევრი.
 ბოლოს, რბენამ რომ დამღალა,
 ჩავუგორდი მაღალ ბალახს;
 ყური ვუგდე, აღარ მდევენ,
 არც გრიგალი არბევს ხევებს;
 ვნახე მკრთალი შუქის ზოლი,
 ბნელ ცასა და მიწის შორის.
 ზედ შევნიშნე ღრუბლებს იქით,
 მთაგრეხილის წვერთა რიგი.
 მე ვიწექი გარინდულად.

სეობაში ზოგდჯერ ტურა
გაპკიოდა ბავშვის ხმაზე;
ქერცლთა ბზინვით ქვიდან ქვაზე
სრიალებდა გველი ბინდში,
არ მიპყრობდა მაინც შიში,
გავურბოდი კაცის თვალსა,
და ვხოხავდი გველის მსგავსად.

10

„ნათის ნაკადი შორს, ჩემს ქვევით,
ამღვრეული, ღვართა ხვევით
ხმაურობდა და ხმა მისი
ას ხმას ჰგავდა, სავსეს რისხვით.
მე ვწვდებოდი სრული სიღრმით
უსიტყვოდაც იმ ყრუ ბაასს,
განუწყვეტელ დრტვინვას, დავას
წინ აზვინულ ჯიუტ ქვებთან;
ხან წყდებოდა, ხან კი მკვეთრად
გაისმოდა მისი ღრენა;
იი მაღლა, ნისლთა ფენაც,
შეარხია ჩიტთა სტვენამ,
ცა ცისკარმა დაამშვენა;
ფოთლებს არხევს ნელი ქარი,
გაეღვიძა მიწდვრად ყვავილს,
მეც წამოვყავ მასთან თავი,
შესახვედრად ნათელ დღისა.
გავიხედე; სწორედ გითხრა,
შემეშინდა, ხრამის პირთან
ვწევარ. ხრამი აულია
გაბრაზებულ ზვირთთა ღრიალს,
მისკენ ღორღთა ხვეულია,
ზედ ბოროტ სულს თუ უვლია,
როცა ციდან მოწყვეტილი,
ქვესკნელს ჩაძვრა, ვით აჩრდილი.

11

„ჩემს გარშემო იყო ბაღი.
მორთულობა მისი ლაღი
ზეცის ცრემლთა თქორს მოერწყო,
და ხვეული ვაზის ლერწოთა,

ჩრხვოდა ხეზე ნორჩი
გამჭვირვალე მწევანე ქოჩრით.
მას მტევნები მარცვლოთ სავსე,
საყურეთა ძვირფასთ მსგავსი
ზედ ეკიდა; მისკენ მალვით,
ფრინველთ გუნდი ფრენდა მფრთხალი.
ისევ მიწას მივეკარი,
ისევ ყური მივაბყარი,
ხმებს საოცარს, ხმებს საშინელს.
რომ გასდევდნენ ჩირგვებს, ტინებს,
მოუთხოვდნენ იმათ ფიცით
საიდუმლოს ცის და მიწის
და ბუნების ძალთა ხმები
ერთდებოდნენ, მხოლოდ ქვების
საზეიმო წუთში კაცას
არ ისმოდა ხმა მამაცი.
რასაც ვგრძობდი. გაჭრა ყველა,
ხადმე კვალის დაუმჩნევლად.
მსურს ვიამბო, რაც ვიგრძენი,
ღაღტკბე მისი წარმოდგენით.
იქ ცა ისე იყო წმინდა,
რომ ანგელოსთ ფრენას კლდიდან
შეამჩნედი ბეჯით თვალით;
კამკამებდა გამჭვირვალი
ქა კრიალა ლურჯი ფერით!
მის სიღრმეში სულით, მზერით
ვინთქმებოდი, სანამ ცხელი
მზის სხივები ჩამწვდნენ უზვად
და წყურვილმა შემაწუხა.

12

„ნაკადისკენ მაშინ ფრთხილად
ჩავყევ დაბლა ფილით ფილას:
ჩირგეთა ტოტით ქეიდან ლორღზე
ვეშვებოდი. ფეხქვეშ ზოგჯერ
ჩოსწყდებოდა ქვა და ქვევით
მიგორავდა მტვერში ჩწევით,
ბული იდგა კლდიდან კლდემდე,
ქვას ლაწანით მხტუნავს, შემდეგ,
ნთქავდა ტალღა შფოთით სავსე,
მე ვეკიდე ხრამის თავზე:
ჭაბუკს ძალა შესწევს დიდი!

სიკვდილს აღარ შეეუშინდი.
კლდეთა ძირას როცა მიველ,
მთის ნაკადმა წყლის სიგრილზე
შემომბერა. ბროლად ნაფერ
ტალღას ხარბად დავეწაფე.
უცებ ხმაურს მოგკარ ყური.
ავეფარე ბუჩქებს ბურვილს,
და კანკალით ატანილმა
ვუგდე ყური, თანაც ფრთხილად
დავაცქერდი იქვე მალლობს...
სულ უფრო და უფრო ახლოს
მოისმოდა ქართველ ქალის
ხმა უბრალო, ხმა ცოცხალი,
ისე სავსე ტკბილი შვებით,
თითქოს მხოლოდ დამტკობ ხმების
შეესწავლა გამოთქმები.
ის სიმღერა იყო სადა,
მაგრამ გულში ჩამეხატა,
და მას ჩემთან ყოველ ღამით
მღერის სული უხილავი.

13

„მხარზე კოკა შემოედგა
ქართველ ქალს და მაღალ კლდეთა
ვიწრო ბილიკს ჩამოსდევდა.
ფეხნამსხლტარი დახრილ ლოდთან
თვის სიტლანქეს დასცინოდა.
ლარიბულად ეცვა ტანზე,
ხვეულებად, უკან, განზე,
გაეშალა ჩადრის კალთა —
მოდიოდა გიჟმაჟწყალთან.
სახე, მკერდი, სხივთა ღაღარს
ოქროსფერად დაედლა.
ლაწეს აღმური ასდიოდა,
თვალს ისეთი სიღრმე ჰქონდა
სავსე ტრფობის ფარულ კდემით,
რომ მუხნებარე აზრი ჩემი,
აირია. — მხოლოდ ჩაფის
რეკა მახსოვს, როცა სწრაფი
ჩადიოდა შიგ ნაკადი...
ჩქამს ბურანში გადავყავდი...
როცა ისევ გამოვფხიზლდი

და გარეკა გულმა სისხლი,
ის შორს იყო ჩემგან დიდად,
მიდიოდა კობტად, მწვიდად,
აშოლტილი თავის ტვირთქვეშ,
როგორც ალვა. მდგარი იქვე
შორიასლოს, ბინდით მჩრდილავ
კლდეს შეზრდოდა მიყრდნობილად
ჩირი ქოხი მოყვრულ წყვილად.
იმ ქოხთაგან ერთის ჩარდახს
ეხვეოდა ბოლოს ფარდა.
ახლაც ვხედავ თითქოს ყველას...
ვით გაიღო კარი ნელა,
და ისევე დაიხურა....
შენ ვერა გრძნობ, ვიცი, თუ რა
ნაღველი და დარდი მზინდავს,
და რომ გრძნობდე არც კი მინდა!
მოგონება მისი მოკლე,
დაე, ჩემში, ჩემთან მოკვდეს.

14

„ღამის ჯაფით მოქანცული,
მივწექ ჩრდილში. ტკბილი რულით
ღამეხუჭა უცებ თვალი...
და ხელახლა ქართველ ქალის
მე სიზმარში ვნახე სახე!
შეუცნობელ ალში ნახვევს,
კვლავ ამტკივდა გული მწარედ...
ძილში სუნთქვა ავაჩქარე.
გამელვდიდა. უკვე მთვარე
კამკამებდა — მისკენ მალვით
მიიწევდა ღრუბლის რკალი,
ვით მტაცებელს, ხარბი მკლავი
მოსახვევად გაეშალა,
შარს წყვილიადის ჰფლობდა ძალა,
მხოლოდ ჩემ წინ, შორს და მკრთალად
სჩანდნენ ვერცხლის ელვარებით
თოვლიანი მწვერვალები.
მუჟს ნაპირებს სცემდა წყალი,
ნაცნობ ქოხში ცეცხლის ალი
იღვოდა ხშირ კამკამით...
მისი ჭრობა ჰგავდა ღამით
მოწყვეტილსა ცაში ვარსკვლავს!

მე მინდოდა... მაგრამ ასე
ვერ გავბედე. ერთი ზრახვა —
შზობლიური მხარის ნახვა
მჭონდა გულში და სიმშილი
ავიტანე კვლავ სიმშვიდით.
კლდეთა შორის სწორად შექრილ
გზას გავეყევი მუნჯად ხევში,
მაგრამ მალე უღრან ტყეში
მთებს თვალითაც ვეღარ გავსწვდი,
და თანდათან გზასაც ავსციდი.

15

ზოგჯერ ფუჭად, ბრაზმორევით,
უიმედოდ გაწვდილ ხელით
სჭროხვეულ კვრინჩხნარს ვგლეჯდი,
ტყე მართავდა ირგვლივ მეჯლისს,
უფრო სქელი, უფრო ავი
მილიონი შავი თვალით
მიყურებდა ყოველ ბუჩქის
ტოტებიდან ლამე ქუში.
გზის დაკარგვა თავბრუს მხვევდა,
ავდიოდი წვერზე ხეთა,
მაგრამ შორს, ცის დასავალსაც
უდაბური ტყე ჰფარავდა.
ძირს დავეცი ჩირგვის გვერდით,
ბრაზოსაგან ვქვითინებდი,
დუღამიწის ენატ მკერდს ვღრღნიდი,
და შივ ცხარე ცრემლებს ვღვრიდი,
ვით მდულარე ცვარის ნაკადს....
მაინც აღარ მომენატრა
დახმარება კაცთა ხელით,
გაეურბოდი მათ, ვით მხეცი.
შეკვივლება თუნდაც ერთი,
წამცდენოდა — გქონდეს რწმენა —
მოვიგლეჯდი ჩემს მხდალ ენას!

16

„შენ თუ გახსოვს, ბავშვსაც, ოდნავ
სადმე ცრემლი რომ მდგენოდა,
იქ ვტუროდი, არ მრცხვენოდა.
ვინ მნახავდა? — მხოლოდ ბნელი

ტყე და მთვარე ცაში მსვლელი.
იმის შუქზე, ხეების თავში,
დაფარული ქვიშით, ხაესით,
ველო კედლებ-შემორტყმული,
სჩანდა, როგორც ხელის გული,
ზედ დაეცა უცებ ჩრდილი
და გამოკრთა ცეცხლი წყვილი...
ერთის დაკვრით ტყიდან, მარდად
რაღაც მხეცი გამოვარდა,
და თამაშით, ცემით ტორთა,
ის ქვიშაზე წამოგორდა.
უიციან, მთის ჯიქს შევხვდი გულადს,
წელს ძვალს ღრღნიდა ავზნებულად,
და ყმუოდა მზიარულად,
ზოგჯერ გრძელი კუდის ქნევით,
სისხლ-მორეულ თვალებს ზევით,
სავსე მთვარეს მიაპყრობდა —
ბეწვი ვერცხლად კიაფობდა.
ხმელ ტოტის კაპს ხელი ვსტაცე,
და ველოდი შებმას ასე,
ბრძოლის უინით, გულმა ჩქარი
ძგერა იწყო... ჰო, სხვაგვარი
გზით მატარა ბედისწერამ,
მაგრამ ახლა მაინც მჯერა,
რომ, მშობლიურ მთებში მყოფი,
შეც ყოჩალი ვიქნებოდი.

„მე ველოდი, ღამის ბინდში
იგრძნო მტერი რაღაც ნიშნით,
წამოიჭრა, მითვალთვალა,
ერთი გაბმით იღრიალა...
მერე ბრაზით თხარა მიწა,
შედგა ყალყზე, უცებ მიწვა
და პირველი მისი ხტომა
მე მწირავდა მოსაკვდომად,
მაგრამ აქ მას დავასწარი.
ჩემი დარტყმა იყო ჩქარი;
ნაჯახივით ბასრად ჩასწვდა
ძძლავრი კაპი შუბლს და თავსა,
დაიგმინა ყაყის მსგავსად,

და დაემხო.— მაგრამ რისხვით,
თუმც სდიოდა ღვარად სისხლი,
კვლავ შემება — ღრენა... ძრწოლა...
და გაჩაღდა მწვავე ბრძოლა!..

18

„ის პირდაპირ დამეძგერა,
მაგრამ უცებ ყელში ვერაგს
ღრმად ჩავარტყე ჩემი კაპი...
მან იყმუვლა. უფრო მძაფრო
გაშმაგებით მეცა, სწრაფი,
და ჩვენ, მკერდით მკერდს ჩაკრულნა,
წყვილ გველივით დახლართულნი,
ძირს დავეცით — ბნელში წოლაც
არ გვიშლიდა ცხარე ბრძოლას.
მეც ავენთე ბრაზით მაშინ,
ნადირს ვგავდი ველურს, საშიშს,
მთის ჯიქივით შმაგი ვიყავ,
თითქოს გველად ვშობილიყავ
გრილ კალთის ქვეშ შეაბნელ ტყეთა
ძძლავრ ოჯახში ჯიქთა, მგელთა.
დამავიწყდა კაცთა სიტყვა,
და ჩემს მკერდში ნაცვლად იშვა
ის კივილი, ბრაზით ღრენა.
ბავშვობიდან თითქოს ენას
არ სჩვეოდა სხვა ხმის დენა...
მტერს კუნთები მოუდუნდა,
შეუწუნდა მძიმე სუნთქვა,
შემიკრუნჩხა კიდევ მკერდი
და უძრავმა მზერამ ერთი
რისხვის ცეცხლად გაიღვია,
მერე ძილმა შეკრა ნელა;
მაგრამ მძლველ მტერთან ველად
ისე შეხვდა სიკვდილს მაინც,
ვით შეშვენის მამაც რაინდს.

19

„ჰა, ჩემს მკერდზე, კიდევ ნათლად.
სჩანს ღრმა კვალი იმის ბრჭყალთა:
ჯერ იარა კიდევ მეწვის,
არ შეზრდილა, მაგრამ მიწის

მოაშუშებს კალთა გრილი,
და მოარჩენს მას სიკვდილი.
არც მიგრძენია მაშინ, ვგონებ.
მოვიკრიბე ისევ ღონე
და კვლავ უგზო-უკვლოდ წავეღ...
ბედს ამოღდ შევეცადე —
დამცინოდა იგი მწვავედ.

20

„გავეღ ტყიდან. შემოვბრუნდი,
თენდებოდა, ვარსკვლავთ გუნდი
დღის ნათელში გაქრა სრული
და ტყე ნისლით დაბურული
ამეტყველდა. შორს აულმა
გააბოლა და ხმაურმაც
გაირბინა ვაკე ქართ...
დავჯექ, ყური მივაპყარი,
ძაგრამ მიწყდა ქართან ერთად.
დავაკვირდი წყებას სერთა:
მეცნაურა იგი მხარე
და დავღონდი ძალზე მწარედ...
გულში დიდხანს ვერ გავივლე,
რომ მივადექ კვლავ ჩემს დილეგს.
რომ ნაყოფი არ დასტოვა
ამდენი ხნის სწრაფვამ, ლტოლვამ,
ტანჯვამ, თმენამ, მწვავე ბრძოლამ.
მხოლოდ თვალი თუ შევაველე
ლამაზ მთებს და გაშლილ ჭალებს,
გრილ მალნარის ჟრიაშულით
წუთით ვიგრძენ შეება სრული,
და საფლავში მიმაქვს ახლა
სამშობლოზე ფიქრი ნაღვლად,
გაცრუებულ იმედთ წყლული
და შემრცხვენი სიბრალული.
კვლავ ვეჭვობდი: სად ვარ ნეტა?
იქნებ საშიშ სიზმარს ვხედავ?
უცებ ზარის ხშირმა რეკამ
რომ შეაკრთო მყუდრო სერა —
გამოირკვა ყველაფერი...
მე ვიცანი ხმა იმ ზარის,
ჩემს თვალთა წინ მას სიზმარი
არა ერთხელ წაუშლია;

ის სიზმარი, რომელშიაც
მე ვხედავდი ღვიძლთა წყებას,
გალაღებულ ველთა შვებას:
ცხენებს, ბრძოლას თავგანწირულს,
გამარჯვებას მტერზე გმირულს,
და ვუსმენდი ცოცხალმკვდარი...
მე შეგონა, რომ ის ზარი
ჩემში ქუხდა, თითქოს მძლავრი
მცემდა მკერდზე რკინის ჯოხი...
და შევიგენ მაშინ ოხვრით,
რომ მშობლიურ მთებს და კორდები
ვერ მიუვალ ვერასოდეს.

21

„ჩემი ხვეწორის იარ მე ღირსა.
უცხო ველზე რაში კისრით
ჩამოაგდებს უძღურ მხედარს,
შორს სამშობლოს გადახედავს,
გზას მოსძებნის მისკენ მოკლეს.
მე ზრახვებმა ფუჭად მომკლეს
და ფუჭადვე შფოთავს გული:
მის ცეცხლს არ აქვს ძალა სრული,
ის ლანდია მხოლოდ მკრთალი, —
ტყვეობაში გავხდი მხდალი.
ყვაილს ვევეარ ჩრდილში ნაზარდს
მარტო რომ დგას მორცხვად, ნაზად,
ბნელ. ნესტიან ფილებს შორის,
დიდხანს ქოროა მას ქოჩორი
არ გაშლია, მზეს ელოდა...
და ვილატამ გაიწოდა
გულკეთილად მისკენ ხელი,
შეუცვალა ყოფნა ძნელი
და გადარგო ბაოში ვაროთან.
ირგვლივ ყოფა ნორჩთა, მზარდთა,
უმღეროდა მას ტკბილ ნანას,
მაგრამ დილამ მოატანა.
და დააქანო მზემ ყვაილი.
ბნელ კედლებში განოზრდილი.

22

„მეც მტრუსავდა, ვით იმ ყვაილს,
უწყალო დღის ცეცხლის ალი,

ფუჭად ვცადე, სადმე ბალახს
 ჩემი თავი დაემალა;
 გამხმარ ფოთლით შუბლთან იგი
 ჰგავდა ეკლით მოწნულ გვირგვინს,
 და სახეში ცეცხლის ღადარს
 თვითონ მიწა მომბერავდა.
 ცეცხლის ჰავლი ცას სერავდა,
 კლდეებს ბუღი ასდიოდა
 და ქვეყანას, ქცეულს ლოდად,
 ღრმად ეძინა, მძიმე ძილით
 სასოება წარკვეთილს.
 არსად ღალდას დაძახილი,
 ან კრიჭინას კრიმანჭული,
 არც რაკრაკა ნაკადულის
 ხმა არ იყო... მხოლოდ გველი
 შრიალებდა შამბზე მსვლელი...
 მოელვარე ყვითელზურგა —
 სხეული რომ ხმაღს მიუგავს,
 ოქროს ლამაზ წარწერიანს —
 მიჰლარავდა ქვიშას მტვრიანს,
 მერე უცებ სწყვიტდა სრიალს.
 დაიწყებდა თამაშს, სრბოლას,
 იხვეოდა სამკეც რგოლად;
 ხან უეცრად, ვით დამწვარი,
 მიბოროტავდა ხტუნვით ჩაირი —
 შორს მალავდა მას ბუჩქნარი...

23

„ცის კამარა იყო წყნარი
 და ნათელი. ბუღში ლანდად
 ორი შავი გორა სჩანდა.
 ერთ მათგანზე, თეთრად, ჩვენი
 მონასტრისა კრთოდნენ ბჭენი.
 არავგის და მტკერის ტალღები
 ელვარებით, გალღებით
 ევლებოდნენ გრილ კუნძულებს
 და ბუჩქთა რიგს, მოჩურჩულეს
 ჩაურბოდნენ ერთგულები...
 მე შორიდან შევეყურებდი!
 ავიწიე... და ტრიალი
 ყველაფერმა იწყო ნალი!

მსურს ვიკივლო: ენა მშრალი
მდუმარებდა, არ იძვროდა.
მე ვკვდებოდი. მწარე ბოდვა
მაწვალებდა...

და მეგონა,
რომ ლოგინად იქ მე მქონდა
ღრმა მდინარის სველი ფსკერი —
ჯანღს მოეცვა ყველაფერი....
და მიკლავდა მტანჯველ წყურვილს
მორაკრაკე ნაკადული,
ცივი დენით მკერდში ღვრილი...
მეშინოდა მხოლოდ ძილის, —
ისე იყო იგი ტკბილი...
და ჩემს ზევით, წყალში, მადლა,
ეკვრებოდა ტალღას ტალღა;
ტალღის ბროლში მოიხაზა
მზე მთვარეზე უფრო ნაზად,
და თევზების ჭრელი ფარა
თამაშობდა შუქზე წყნარად.
მე იმათგან მახსოვს ერთი:
იგი სხვაზე უფრო კეთილ
გულთბილობით მომეფერა.
ზურგზე ქერცილი ოქროსფერად
უბზინავდა. — წყალში, ზემოდ,
ტრიალებდა ჩემს გარშემო,
მისი მწვანე თვალთახედვა
ნაზი სიღრმით ცეცხლში მხვევდა...
ვერ ვძლებოდი მისი მზერით! —
წკრიალა ხმით და სიმღერით
უცნაურად მეტყველებდა,
სწყვეტდა და კვლავ აგრძელებდა.

ის ამბობდა: „ბავშვო ჩემო,
შენ აქ, ჩემთან დარჩი:
ხალგათად ვართ ტალღებს ქვემოდ
ავდარსა და დარში.

მე მოვიწვევ ჩემს დებს, ნაზებს,
ჩვენ ფერხულით ღალით,
შენს დანისლულ თვალს აღვაგზნებთ
და შენს სულსა დაღლილს.

დაიძინე! ქვეშ გიგია,
გაქვს ლაჟვარდის ჭერი,

წელნი, უამნი გაივლიან
სიზმრის ტკბილი უღერით.

ოპ, ძვირფასო, გამცნობ კრძალვით,
რომ შენ მეტრფი კდემით,
შენ მიყვარხარ. ვით წყლის ქავლი,
ვით სიცოცხლე ჩემი...”

„მე ვუსმენდა დიდხანს; ახლა
მეგონა, რომ მეფერი ტალღა
თავის დუღუნს, წყნარს და მზიბლავს,
უერთებდა თევზის სიტყვას.
აქ ჩამთვლიმა. ქვეყნის ლანდიც
გაქრა თვალწინ. ბოდვამ ნამდვილ
უღონობას გზა უტია...”

24.

„ასე მნახეს და ამწიეს...
დანარჩენი იცი. კმარა!
დაიჯერებ თქმულს თუ არა,
სულერთია ახლა ჩემთვის.
მე მაწუხებს მხოლოდ ერთი:
ჩემს გვაძსაც ვერ მიიბარებს
მშობლიური მიწის არე,
და ტანჯვათა ჩემთა თხრობა,
ყრუ კედელთა შორის, ობლად,
კაცთ გულისყურს, ნაღვლით სავსეს,
ვერ მიაბყრობს ჩემს ბნელ სახელს.

25

„მაშ მშვიდობით... ხელი მომე:
გრძნობ ცეცხლს ჩემში დაუდგრომელს...
იცი? — მკვრდში მე ეს ალი
ბავშვობიდან მენტო მალვით;
ახლა საზრდო გაუთავდა,
საპყრობილის გარსი გასწვა
და მოვიდა ისევე მასთან,
ვინც ურიგებს ჯერით ყველას
ტანჯვასა და განსვენებას...
მაგრამ ში რა? — თუნდაც მზრწყინავ
ციურ მხარეს, ედემს შინა.

ჰპოვოს სულმა ჩემმა ბინა...
წუთისათვის, თუნდაც ორის —
იმ დაბურულ კლდეთა შორის,
სად ბავშვობამ გამახარა —
მე სამოთხეს დავთმობ მარადს.

26

„როს სიკვდილის პირზე მივდგე,
— შორს არ არის, გწამდეს, ის დღე —
გამიტანეთ მაღალ კორდთან,
აქ, ჩვენს ბაღში, სად ყვაოდა
აკაცია ორი ძირი...
ბალახია მათ ქვეშ ხშირი!
იქ ჰაერო ატკობს ყნოსვას,
ტოტებს ფოთლის კაბა მოსავს,
ოქროსფერად მოელვარე!
დამასვენეთ იქვე, გარეთ,
ერთხელ კიდევ გავიხარებ
კაშკაშა დღის ლურჯ კამკამში.
იქიდანვე სჩანს კავკასი!
აქნებ, მისმა მწვერვალებმა
სალამი და მოკრძალება
დააბარონ ნიავს გრილსა
და ჩემს ახლოს მშობლურ მთის ხმე
ააჟღეროს ნელმა ქარმა!
მეგონება, მეგობარმა
ან ჩემამ, ჩემს წინ თავდახრილმა,
ჩამომწმინდა მე სახიდან
განსვენების ცივი ოფლი,
და მიმღერის ჩემი სოფლის
ახალ ამბებს ხშირთა ნელით...
დავიძინებ ამ აზრთ ღელვით...
და არავის არ დავწყევლი!“

თარგმანი ანდრო სიჭინავასი

ტამანი

ტამანი უსაძაგლესი ქალაქია ზღვის სანაპირო ქალაქთა შორის რუსეთში. მე იქ კინალამ შიმშილით მოვკვდი, ამას გარდა წყალში დაღრჩობაც მომინდომეს. ის სალამოს გვიან მივედი ფოსტის ცხენებით. მეეტლემ დაღლილი ტროიკა ერთერთი ქვის სახლის ქიშკართან გააჩერა, რომელიც ქალაქის შესავალში სდგას. ახლადგამოფხიზლებულმა გუშაგმა, ჩერნომორელმა ყაზახ-რუსმა ზარის წკრიალის გაგონებისთანავე ველური ხმით დაიძახა: „ვინ მოდის?“ გამოვიდნენ ურიადნიკი და დესიატნიკი, მე მათ ავუხსენი, ოფიცერი ვარ, მომქმედ ჯარში მივდივარ სახელმწიფო საქმეზე მეთქი, და სახელმწიფო ბინა მოვითხოვე. დესიატნიკმა ქალაქში წამიყვანა. რომელ ქოხსაც კი მივადექით, დაკავებული აღმოჩნდა. ციოდა. მესამი ღამე არ მძინებოდა, გაწვალებული ვიყავი და ჯავრობა დავიწყე: „სადმე წამიყვანე, ავაზაკო, თუნდ ეშმაკთან, მხოლოდ დამაბინავე!“ დავუყვირე მე.—არის კიდევ ერთი ფატერა — მიპასუხა დესიატნიკმა კისრის ფხანით: მხოლოდ თქვენს კეთილშობილებას არ მოეწონება; იქ უწმინდურობაა! უკანასკნელი სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა როდი გამიგია; მე მას ვუბრძანე წინ გამიძებ მეთქი, და ტალახიან შუკებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, სადაც ორივე მხრით მხოლოდ ძველი ღობეები სჩანდა, მომცრო ქოხს მივადექით, ზედ ზღვის პირას.

ჩემი ახალი ბინის ჩალის სახურავს და თეთრ კედლებს ბადრი მთვარე აწყნათებდა; ეზოში, რომელსაც ყორე ჰქონდა შემოვლებული, მეორე ქოხი რდგა დოინჯშემოყრილივით, პირველზე უფრო მცირე და დაძველებული. თითქმის მის კედლებთან ხრამი იწყებოდა, ხოლო ქვემოთ მუქი ლურჯი ტალღები ბუტბუტობდნენ შეუჩერებლივ. მთვარე წყნარად უცქეროდა მოუსვენარ, მაგრამ მის მორჩილ სტიქიონს, ხოლო მე მის შუქზე. შორს ნაპირიდან ორი გემი გავარჩიე; რომელთა შავი ანძები, ობობას ქსელის მსგავსად, უმოძრაოდ იხატებოდნენ ცის ტატნობის ფერმკრთალ

ზოლზე. ნავთსადგურში გემებია, გავიფიქრე მე: ხვალ გელენჯიკში გავემგზავრები.

შინამსახურად ყაზახ-რუსი მყავდა. ვუბრძანე ჩემოდნები გადმოიღე და შეეტლე გაუშვი შეთქი, და სახლის პატრონს დაუქდახე. სდუმან. დავაკაკუნე — სდუმან... ეს რა არის? ბოლოს დერეფნიდან ბიჭი გამოძვრა, ასე თოთხმეტი წლისა იქნებოდა.

„სადაა სახლის პატრონი?“ — არ არის. — როგორ? სრულიად არ არის?“ — სრულიად. „დიასახლისი?“ — გარეუბანში გაიქცა. „მაშ კარს ვინ გამიღებს?“ ვთქვი მე და კარს ფეხი ეკარი. ის თვითონ გაიღო; ქონიდან სინესტის სუნი მეცა. წუმწუმის ასანთი გავკარი და ბიჭს ცხვირთან მივუტანე: ასანთმა ორი თეთრი თვალი გაანათა. ის ბრმა იყო, სრულიად ბრმა ბუნებით. ის ჩემ წინ იდგა უმოძრაოდ, და მე მისი სახის ნაკეთების თვალთვლება დავიწყე.

უნდა ვალიარო, მე რაღაც გული მითქვამს ყველა ბრმისა, ბრუტეანი-სა, ყრუსა; მუნჯისა, უფეხოსა; უხელოსა, კუზიანისა და სხვათა წინააღმდეგ. შემომჩნევია, რომ არსებობს რაღაც უცნაური დამოკიდებულება ადამიანის გარეგნობასა და მის სულს შორის: თითქო სხეულის ასოს დაკარგვასთან ერთად სული რომელიმე გრძნობას ჰკარგავს.

ამრიგად მე ბრმის სახის თვალთვლება დავიწყე; მაგრამ რას მიბრძანებთ წავიკითხო სახეზე, რომელსაც თვალეები არ აქვს?.. დიდხანს უცქირე უნებური სიბრაღულით, როცა უცებ მის ვიწრო ტუჩებს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა, რამაც, არ ვიცი რად, ჩემზე მეტად არასასიანოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. თავში ექვი დამებადა, ეს ბრმა არც ისე ბრმაა, როგორც სჩანს შეთქი; ამაოდ ვსცდილობდი თავის თავი დამეჯერებინა, რომ თვალზე ლიბრის გადაკვრა შეუძლებელია, და ან კი ამას რა მიზანი უნდა ჰქონდეს? მაგრამ რა გაეწყობა? მე ხშირად ვემორჩილები გულისთქმას...

„შენ სახლის პატრონის შვილი ხარ?“ ვკითხე ბოლოს. — არა. — „მაშ ვინ ხარ?“ — ობოლი, უპატრონო. — დიასახლისის შვილები ჰყავს? — არა; ქალი ჰყავდა, ზღვაში გაიპარა თათართან. — „რომელ თათართან?“ — ეშმაკმა იცის მისი თავი! ყირიმელი თათარი იყო, მენავე ქერჩიდან.

ქოხში შევედი; მთელს მის ავეჯეულობას სკამლოგინი, მაგიდა და ლუმელთან მიდგმული უზარმაზარი სკივრი შეადგენდა; კედელზე არც ერთი ხატი არ ეკიდა — ეს კუდი ნიშანი იყო! გატეხილ მინაში ზღვის ქარი იჭრებოდა. ჩემოდანიდან სათლის ნამწვი ამოვიღე, ავანთე და ნივთების დალაგება დავიწყე: კუთხეში ხმალი და თოფი მივაყუდე, მაგიდაზე დამბაჩა დავდე, სკამლოგინზე ნაბადი გავშალე, ხოლო ყაზახ-რუსმა თავისი ნაბადი მეორე სკამლოგინზე გაშალა; ათი წუთის შემდეგ მან ხვრინვა ამოუშვა, მე კი არ დამეძინა: ჩემ წინ სიბნელეში თეთრთვალეებიანი ბიჭი ტრიალებდა.

დაახლოვებით ერთმა საათმა განვლო. ფანჯარაში მთვარე ანათებდა, მისი შუქი ქოხის მიწის იატაკზე თამაშობდა. უცებ იატაკის განათებულ

ზოლზე ჩრდილმა გადაირბინა. წამოვდექი და ფანჯარაში გავიხედე: ვი-
ლაცამ მეორეჯერ გაირბინა და ღმერთმა იცის სად მიიმალა. მე არ შემიძ-
ლო წარმომედგინა, რომ მან ფლატეზე ჩაირბინა მეთქი; მაგრამ მას სხვა
გზაც არ ჰქონდა. წამოვდექი, ახალუხი წამოვისხი, ხანჯალი შემოვირტყი
და ფეხაკრფით გავედი ქოხიდან; ჩემსკენ ბრმა ბიჭი მოდიოდა. მე ლობეს
აგვეკარი, მან კი მტკიცე, ფრთხილი ნაბიჯით ჩაიარა. ილიაში რალაც
ბოხჩა მიჰქონდა, ნავთსადგურისაკენ შეუხვია და ქვევით დაუშვა ვიწრო
დაქანებული ბილიკით. „იმ დღეს მუხჯნი ილაღადებენ, ზოლო ბრმანი
თვალთ აახელენ“, გავფიქრე მე და უკან დავედევნე ისეთს მანძილზე,
რომ არ მიმფარებოდა.

ამასობაში მთვარე ღრუბლებში გაეხვია, ხოლო ზღვაზე ნისლი აიშალა;
ფანარი ოდნავ ბჟუტავდა უახლოესი გემის კიჩოზე; ნაპირს აქაფებული
ზვირთები სცემდა, თითქოს წალეკას ეშუქებოდა. მე ფლატეზე დიდი გა-
ჭირვებით ვეშვებოდი და აი რა დავინახე: ბრმა შეჩერდა, შემდეგ მარჯ-
ვნივ შეუხვია; ისე ახლო მიდიოდა ზღვის ნაპირას, რომ გეგონებოდათ, აი
ტალღა გაიტაცებებს და ჩანთქავსო: მაგრამ ეტყობოდა ეს მისი პირველი
ვასეირნება არ იყო, ისე მტკიცედ მიაბიჯებდა ქვიდან-ქვაზე და მხარს უქ-
ცევდა ოღროზოღროებს. ბოლოს ის შეჩერდა, თითქო რალაცას ყური მი-
აპყრო, მიწაზე დაჯდა და გვერდით ბოხჩა დაიდო. მე თვალს ვადევნებდი
მის მოძრაობას; ცხვირწაწეულ კლდეს ვიყავი ამოფარებული. რამდენიმე
წუთის შემდეგ მოპირდაპირე მხრიდან თეთრი ფიგურა გამოჩნდა; ის
ბრმასთან მივიდა და მის გვერდით დაჯდა. ქარს ღროგამოშვებით ჩემთან
მოჰქონდა მათი საუბარი.

„დახე ბრმავ, მოისმა ქალის ხმა: ძლიერი ქარიშხალია; იანკო არ მო-
ვა.“ — იანკოს ქარიშხალის არ ეშინია, უპასუხა მან. — „სქელი ნისლი
წვება“, ხელახლა უპასუხა ქალის ხმამ სევდის გამომეტყველებით. — ნის-
ლში უფრო ადვილია სადარაჯო გემების გვერდით გავლა. „რომ დაიღ-
რჩოს?“ — რა ვუყოთ? კვირას ეკლესიაში ისე წახვალ, რომ ახალ ლენტს
აღარ გაიკეთებ.

ღუმილი ჩამოვარდა; მე ერთმა რამემ განაკვირვა; ბრმა მე წინათ მა-
ლორუსულად მელაპარაკა, ახლა კი წმინდა რუსული ენით საუბრობდა.

— ხედავ, მე მართალი ვარ, სთქვა ხელახლა ბრმამ და ტაში შემო-
ჰკრა: იანკოს არ ეშინია არც ზღვისა, არც ქარებისა, არც ნისლისა, არც
სანაპირო დარაჯებისა; აბა ყური დაუგდე: ეს წყლის შხაპუნი კი არაა, მე
ვერ მომატყუებ, — ეს მისი გრძელი ნიჩბებია.

ქალი წამოხტა და შორს დაიწყო ცქერა შეშფოთებული სახით.

„შენ ბოდავ,“ სთქვა მან, „ვერაფერს ვერ ვხედავ“.

უნდა გამოვტყდე, რომ რაც შემიძლო ვცდილობდი შორს სივრცეში
ნავის მაგვარი რამ აღმომიჩინა, მაგრამ აზოოდ. ასე განვლო ათმა წუთმა,
და აი ზვირთების მთებს შორის შავი წერტილი გამოჩნდა: ის ხან მატუ-
ლობდა, ხან კლებულობდა. ნავი ნელა ადიოდა ზვირთების ქედზე, ჩქარა
ეშვებოდა იქიდან და თანდათან უახლოვდებოდა ნაპირს. გამბედავი უნდა

ყოფილიყო მენავე, რომელსაც გადაეწყვიტა სრუტე გადაეცურა ასეთს ღამეში ოცი ვერსტის მანძილზე და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამის ზაიძულელებელი მიზეზი. ამ ფიქრებში წასული, მე უნებური გულის ძვერით ვუცქეროდი საბრალო ნავს; ის კი იხვივით ყურყუმალაობდა, ხოლო შემდეგ ნიჩბების სწრაფი აქნევით უფსკრულისაგან ხტებოდა ქაფის შხეფებს შორის: მეგონა გაქანებული დაეტაკება ნაპირს და ნამსხვრევებად იქცევა მეთქი, მაგრამ ის ცქვიტად მოსრიალდა გვერდით და პატარა ყურეში შეხტა უვნებლივ. იქიდან შუატანის მამაკაცი გადმოვიდა, რომელსაც თათრული კრაველის ქუდი ეხურა; მან ხელი გაიქნია, და სამთავემ რაღაცის გადმოლაგება დაიწყო ნავიდან; ტვირთი იმდენად დიდი იყო, რომ დღემდე ვერ გამიგია, როგორ არ ჩასძირა ნავი. თვითეულმა მხრებზე თითო ფუთა გაიღო, შემდეგ ისინი ნაპირს გაჰყვნენ და ჩქარა თვალთაგან მიეფარენ. შინ უნდა გაებრუნებულიყავი; მაგრამ გულახდილად ვიტყვი, რომ ამ უცნაურმა ამბებმა შემაშფოთა, და მე მოუსვენრად ვიყავი დილამდე.

ჩემს ყაზახ-რუსს დიდად გაუკვირდა, როცა გაღვიძებისთანავე ჩაცმული დამინახა; მაგრამ მე ამის მიზეზი როდი ვუთხარი. კარგა ხანს ვტკბებოდი სანახაობით, რომელიც ფანჯრიდან იშლებოდა: ღრუბლის ქულებით დაფენილი ცით, ყირიმის შორეულ ნაპირით, რომელიც სოსანისფერ ზოლად მოიკლავნება და ციცაბო კლდით თავდება, ხოლო ამ კლდის თავზე თეთრად კიაფობს შუქურას კოშკი. შემდეგ ფანაგორიის ციხე-სიმაგრეში წავედი, რათა კომენდანტისაგან გამეგო როდის გამამგზავრებდნენ გელენჯიკში.

მაგრამ სამწუხაროდ კომენტანტმა ვერაფერი ვერ მითხრა გადაჭრით. ნავისადგურში მდგომარე გემები ყველანი ან სადარაჯონი იყვნენ ან სავაჭრონი, რომელთაც ჯერ კიდევ არც კი დაეწყოთ დატვირთვა. „შიძლებმა სამი-ოთხი დღის შემდეგ საფოსტო გემი მოვიდეს,“ მითხრა კომენდანტმა: „მაშინ ვნახოთ.“ შინ პირქუში და გულმოსული დავბრუნდი. კარებში ჩემი ყაზახ-რუსი. შემხვდა შეშინებული სახით.

— საქმე ცუდათაა, თქვენო კეთილშობილებავ! მითხრა მან.

— ჰო, ძმაო, ღმერთმა იცის, როდის წავალთ აქედან!

აქ ის კიდევ უფრო შეშფოთდა. ჩემსკენ დაიხარა და ჩურჩულვით მითხრა: — აქ უწმინდურობაა! მე დღეს ჩერნომორელი ურიადნიკი შემხვდა; მაგრამ სამწუხაროდ კომენდანტმა ვერაფერი ვერ მითხრა გადაჭრით. მიპასუხა: — იქ, ძმაო, უწმინდურობაა, ბოროტი ადამიანები არიან!.. და, მართლაც, ეს რა ბრმაა! ყველგან მარტოდ-მარტო დადის, ბაზარშიც, პურისთვისაც, წყლისთვისაც... ეტყობა, აქ ამას შეჩვეული არიან.

„მერე? დიასახლისი თუ გამოჩნდა მაინც?“

— დღეს თქვენი აქ არ ყოფნის დროს დედაბერი მოვიდა, ხოლო მასთან ერთად ქალიშვილიც.

„რომელი ქალიშვილი? მას ქალიშვილი არ ჰყავს.“

— ღმერთმა იცის მისი თავი ვინაა. თუ მისი ქალიშვილი არაა; ან ახლა დედაბერი თავის ქოხში ზის.

მე ქოხში შევედი. ღუმელი გახურებული იყო, მასში იხარშებოდა სადილი, რომელიც საკმარის უხვი იყო ღარიბებისთვის. ყველა ჩემს კითხვაზე, დედაბერი მიპასუხებდა, ყრუ ვარ, არ მესმისო. რა უნდა მექნა? მე მივმართე ბრმას, რომელიც ღუმელთან იჯდა და ცეცხლში ფიჩხს უქეთებდა. „შენ კი, ბრმა ჭინკავ“, ვუთხარი მას და ყური ავუწვი: „მიამბე, სად ეთრეოდი ღამე ბოხჩით?“ ჩემმა ბრმამ უცებ ტირილი, ყვირილი, ოხვრა დაიწყო: „სად დავდიოდი?... არსად არ ვყოფილვარ... ბოხჩით? რომელი ბოხჩით?“ დედაბერმა ახლა გაიგონა, და ბუზღუნით დაიწყო: „რას არ მოიგონებენ, და ისიც უპატრონო ბავშვზე! რას ერჩით? რა დაგიშავათ?“ მე ამან თავი მომაბეზრა, და გარეთ გავედი; მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ამ ამოცანის გასაღები მეპოვნა.

მე ნაბადში გავეხვიე, ქვაზე ჩამოვჯექი ღობესთან და შორს დავიწყე ცქერა; ჩემს წინ ღამის ქარიშხალით აღელვებული ზღვა მძვინვარებდა, მისმა ერთფეროვანმა ხმაურობამ, დასაძინებლად გამზადებული ქალაქის დრტვინვის მსგავსმა, ძველი წლები მომაგონა და ჩემი აზრები ჩრდილოეთისკენ გადაიტანა, ჩვენს ცივსატანტო ქალაქში. მოგონებებით აღელვებული, მე თავდავიწყებას მივეცი... ასე განვლო საათმა, შეიძლება მეტ-მეტ... უცებ ჩემი სმენა რაღაც სიმღერის მსგავსმა მიიპყრო. მერთლაც, ეს სიმღერა იყო, ქალის წკრიალა ხმა გაისმოდა, — მაგრამ საიდან?... ყური დავუგდე — ჰანგი შეწყობილი იყო, ხან გაბმული და სევდიანი, ხან აჩქარებული და მკვირცხლი. მიმოვიხედე — ახლო-მანლოს არავინ არ იყო; ხელახლა დავაყურე — ხმები თითქო ზეციდან ცვივოდა. ზემოთ ავიხედე: ჩემი ქოხის სახურავზე ქალიშვილი იდგა, ზოლებიან ტანსაცმელში გამოწყობილი, ნაწნავებგაშლილი, ნამდვილი ალქაჯი. თვალები მზის სხივებისაგან ხელისგულით დაეფარა, შორს იცქირებოდა, ხან იცინოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან ისევ სიმღერას იწყებდა:

როგორც შეება მოკისკასე,
ისე ლურჯსა ზღვაზე
დასცურავენ ხომალდები
სიხარულით სავსე.
იმათ შორის არის ჩემი
პაწაწინა ნავი,
სულ უბრალოს ამკობს მხოლოდ
ორი ნიჩბის თავი.
როს გრიგალი აიშლება,
ძველ ხომალდთა დასი,
აღმართავს რა მალლა აფრას,
განიბნევა ზღვაში.
მაშინ მე ზღვას ვევედრები

თრთოლვით, უღიმღამო:
 „ზღვავ ჩემს ნავსა ნურას ერჩი,
 ბოროტო და ავო.
 ჩემს ნავს მოაქვს განძი დიდი,
 დაუფასებელი,
 იმას ჰმართავს ბნელს ღამეში
 მამაც ვაჟის ხელი“.¹⁾

ძალაუნებურად თავში აზრმა გამიელვა, რომ ღამით იგივე ხმა გავი-
 გონე; ერთი წუთით ჩავფიქრდი, ხოლო როცა ხელახლა სახურავზე შევი-
 ხდე, ქალი იქ აღარ იყო. უცებ გვერდით ჩამირბინა; ახლა რაღაც სხვას
 დაჰლიინებდა; თითების ტკაცუნით დედაბერთან შეიბრინა, და მათშორის
 მაშინვე დავა დაიწყო. დედაბერი ბრაზდებოდა, ის კი ხმამაღლა ხარხა-
 რებდა. და აი ვხედავ ხელახლა ხტუნაობით მორბის ჩემი უნდინა;²⁾ რო-
 გორც კი გამისწორდა, შეჩერდა და თვალეზში ჩამაშტერდა, თითქო გაო-
 ცებული ყოფილიყო ჩემი დანახვით; შემდეგ დაუდევრად შეტრიალდა და
 წყნარად წავიდა ნავთსადგურისკენ. ამით როდი დაკმაყოფილდა: მთელი
 დღე გარს უტრიალებდა ჩემს ბინას; სიმღერა და ხტუნაობა ერთი წუთი-
 თაც არ შეწყვეტილა. უცნაური არსება! სახეზე არავითარი ნიშანი არ
 ეტყობოდა სიგიჟისა; პირიქით, როცა თავის მკვირცხლ და განმგმირავ
 თვალებს მომაპყრობდა, მეგონა ისინი რაღაც მაგნეტური ძალით არიან
 აღჭურვილი მეთქი: ისინი თითქო ყოველთვის კითხვას ელოდნენ. მაგ-
 რამ როგორც კი ლაპარაკს დავიწყებდი, ის გარბოდა ვერაგი ღიმილით.

არასოდეს მე ასეთი ქალი არ მინახავს. ის სრულიადაც მზეთუნახავი
 არ იყო, მაგრამ მე წინარწმენა მაქვს სილამაზის შესახებაც. მასში
 ჯიში სჩანდა... ჯიში ჭალში, ისევე როგორც ცხენში, დიდი საქმეა:
 ეს აღმოჩენა ახალგაზრდა საფრანგეთს ეკუთვნის. ის, ე. ი. ახალგაზრდა
 საფრანგეთი კი არა, არამედ ჯიში უმეტეს ნაწილად, სიარულსა, ხე-
 ლებსა და ფეხებში მჟღავნდება; განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს ცხვირი;
 სწორი ცხვირი რუსეთში უფრო იშვიათია, ვიდრე პატარა ფეხი. ჩემი მომ-
 ლერალი, როგორც ეტყობოდა, 18 წელზე მეტისა არ იყო. არაჩვეულებ-
 რივად მოქნილი ტანი, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
 თავის დახრა, გრძელი, ქერა თმა, ოდნავ მზემოკიდებული კანის ოქროს-
 ფერი ლივლივი კისერსა და მხრებზე, ხოლო, განსაკუთრებით, სწორი
 ცხვირი, ყოველივე ეს ჩემთვის მომხიბლავი იყო. თუმცა მის აღმაცერ
 გამოხედვაში მე რაღაცას ველურსა და იჭვნეულს ვკითხულობდი, თუმ-
 ცა მის გაღიმებაში რაღაც გაურკვეველი იყო, მაგრამ ასეთია წინარწმე-
 ნის ძალა: სწორმა ცხვირმა ჭკუაზე შემშალა; მე წარმოვიდგინე, გოეთქი³⁾
 მინიონი აღმოვაჩინე, ეს ახირებული ქმნილება გერმანული ფანტაზიისა

1) ლექსის თარგმანი ეკუთვნის ი. მკედლიშვილს

2) უნდინა — წყლის ფერიაა, რომელიც სცდილობს მომაკვდავ მამაკაცს შე-
 უშლდეს: წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „უნდა“ — ტალღა. — მთარგმ. შენიშ.

მეთქი; — და მართლაც, მათ შორის ბევრი მსგავსება იყო: იგივე ჩქარი გადასვლა უდიდესი მოუსვენრობიდან სრულ უმოძრაობაზე, იგივე იღუპილი სიტყვები, იგივე ხტუნაობა, უცნაური სიმღერები...

დალაშვებისას კარებში გავაჩერე და შემდეგი საუბარი გავუბი:

„აბა, მიაბე, ჩემო ლამაზო, რას აკეთებდი დღეს სახურავზე?“ — ვუცქეროდი საიდან ჰქრის ქარი. — „ეს რად გჭირდება?“ — საიდანაც ქარი ჰქრის, იქიდან ბედნიერება მოდის. — „მერმე? განა ბედნიერებას სიმღერებით იწვევდი?“ — სადაც სიმღერის გუნებაა, იქ ბედნიერებაცაა. — „სიმღერით თავს უბედურება არ დაიტეხო“. — რა ვუყოთ? სადაც უკეთესი არ იქნება, იქ უარესი იქნება, ხოლო ცუდიდან კარგამდე აჩლოა. — ვინ გასწავლა ეს სიმღერა?“ — არავის არ უსწავლებია: მომენტურიანება — ვიმღერებ; ვინც უნდა გაიგონოს, ის გაიგონებს: ხოლო ვინც არ უნდა გაიგონოს, ის ვერ გაიგონებს. — რა გქვიან, ჩემო მომღერალო?“ — ვინც მომნათლა, იმან იცის. — „ვინ მოგნათლა?“ — რა ვიცი. — „როგორ გულჩათხრობილი ყოფილხარ! მე კი რაღაც გავიგე შენს შესახებ“ (ის სახეზე არ შეცვლილა, ტუჩები არ შეუბრუნებია, თითქო საქმე მას არ ეხებოდა). „მე გავიგე, რომ შენ წუხელის ნაპირზე იყავი“. და აქ მე მას მეტად სერიოზულად ვუამბე ყოველივე, რაც ვნახე; ვფიქრობდი შემეშფოთებია; ეს ასე არ მოხდა! მან გადაიხარხარა. — ბევრი დაგინახავთ და ცოტა იცით; ხოლო რაც იცით, დაკეტილში იქონიეთ.

— „მე რომ, მაგალითად, კომენდატს, დავასმინოთ?“ და აქ მე მეტად სერიოზული, თვით მკაცრი სახის გამომეტყველება მივიღე. ის უცებ გადახტა, სიმღერა დაიწყო და დაიმალა დამფთხალი ჩიტივით, რომელიც ბუჩქიდან ამოაგდეს. ჩემი უკანასკნელი სიტყვები უადგილო იყო; მე მაშინ არ მესმოდა მათი მნიშვნელობა, მაგრამ შემდეგ შემთხვევა მომეცა მომენანიებია ისინი.

ეს იყო დაბინდა, მე ყაზახ-რუსს ვუბრძანე სამგზავრო ჩაიდანი გაცეხელებინა, სანთელი ანთო და მაგიდას მივუჯექი, რათა ჩიბუხი გამებოლებია. მეორე ჭიქა ჩაის ვათავებდი, როცა უცებ კარმა გაიჭრიალა და ჩემს უკან კაბის მსუბუქი შრიალი და ნაბიჯების ხმა მოისმა; მე შევეკრთი და უკან მივიხედე, — ის იყო, ჩემი უნდინა; წყნარად და უსიტყვოდ ჩემს პირდაპირ დაჯდა და თვალები მომაპყრო; არ ვიცი რად, მაგრამ ეს შეხედვა უცნაურად ნაზი მეჩვენა; მან ერთი ის შეხედვათაგანი მომაგონა, რომელნიც წარსულ წლებში ასე თვითნებურად ათამაშებდნენ ჩემს სიცოცხლეს. ის თითქო კითხვას ელოდა, მაგრამ მე ვსლუმდი, აღსავსე გაურკვეველი შეშფოთებით. მისი სახე ფერმკრთალი იყო, ეს მის სულიერ მღელვარებას ამჟღავნებდა, მისი ხელი უმიზეზოდ დაფათურობდა მაგიდაზე, მე მას მსუბუქი თრთოლვა შევამჩნიე; მისი მკერდი ხან შალდა იწვედა, ხან თითქო სუნთქვას აკავებდა. ეს კომედია მე მომწყინდა, და მზად ვიყავი დუმილი მეტად პროზაულად შემეწყვიტა, ე. ი. მისთვის ჭიქა ჩაი შემეთავაზებინა. რომ უცებ ის წამოხტა. ხელები მომხვია კისერზე და ჩემს ტუჩებს ცეცხლოვანი კოცნა დააქლო. თვალთ დამიბნელდა,

თავბრუ დამეხვა, მე ის მკერდზე მივიკარი მთელი ახალგაზრდული ვნება—
თა ლელვის სიძლიერით. მაგრამ ქალი გველივით გამისხლტა ხელებიდან,
მხოლოდ ყურში ჩამჩურჩულა: „ამ საღამოს, როცა ყველას დაეძინება,
ნაპირზე გამოდი“. და ისარივით გავარდა ოთახიდან. დერეფანში ჩაიდანა
და იატაკზე მდგომარე სანთელი წააქცია. „რა ეშმაკის კერძი გოგოა!“
წამოიძახა ყაზახ-რუსმა, რომელიც ჩალაზე წამოწოლილიყო და ოცნებობ-
და დარჩენილი ჩაით გათბობას. მხოლოდ ახლა მოვედი გონს.

ორი საათის შემდეგ, როცა ნავთსადგურში ყოველივე ხმაურობა მისწ-
ყდა, მე ჩემი ყაზახრუსი გავადვიძე. „თუ დამბაჩა გავისროლო, ნაპირისკენ
გამოიქეცი“, ვუთხარი მას. მან თვალები გააჭყიტა და შექანიკუ-
რად მიპასუხა: „მესმის, თქვენო კეთილშობილებავ“. სარტყელში დამ-
ბაჩა გავირტყვე და გარეთ გავედი. ქალი დაღმართის პირას მელოდა; მისი
ტანსაცმელი მეტად მსუბუქი იყო. მოქნილ ტანზე თავშალი ერტყა.

„უკან გამომყევით!“ მითხრა მან, ხელში ხელი ჩამჭიდა, და ჩვენ ქვე-
ვით დავეშვიით. არ მესმის, როგორ არ მოვიტეხე კისერი; ქვემოდ მარჯვ-
ნივ შევუხვიეთ და იმავე გზით წავედით, რომლითაც მე წინაღლით ბრმას
კვალდაკვალ მივყვებოდი. მთვარე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, და მხო-
ლოდ ორი ვარსკვლავი, როგორც ორი მაშველი შუქურა, მუქ-ლურჯ
გუმბათზე ციმციმებდა. მძიმე ზვირთები მწყობრად და თანაბრად მის-
დევენენ ერთი მეორეს და ოდნავ არხევდნენ განმარტოვებულ ნავს, რო-
მელიც ნაპირზე იყო მობმული. „ნავში ჩავჯდეთ“, მითხრა ჩემმა თანამგ-
ზავრმა. მე ვყოყმანობდი — მე არა ვარ მოყვარული სანტიმენტალური
გასეირნებისა ზღვაზე: მაგრამ უკან დახევის დრო აღარ იყო. ის ნავში
ჩახტა, მეც მივყევი: მოხედვაც კი ვერ მოვასწრე, რომ შევამჩნიე, უკვე მი-
ვცურავდით. „ეს რას ნიშნავს?“ ვთქვი მე გულმოსულად.

— ეს ნიშნავს, მიპასუხა მან, რომ მე შენ მიყვარხარ; ამასთანავე სკამზე
დამსვა და წელზე ხელები მომხვია. მისი ლოყა ჩემს ლოყას მიეკვლო, და
მე სახეზე მისი ანთებული სუნთქვა ვიგრძენი. უცებ რაღაცა ხმაურობით
ჩავარდა წყალში: სარტყელზე ხელი ვიტაცე, დამბაჩა აღარ იყო. ოჰ, აქ
სულში საშინელი ეჭვი შემეპარა, თავში სისხლი ამივარდა! მოვიხედე —
ნაპირს, დაახლოვებით, ორმოცდაათი საჟინით ვიყავით დაშორებულნი, მე კი
ცურვა არ ვიცი! მიწოდდა მისთვის ხელი მეკრა, ის კატასავით ჩაეჭიდა ჩემს
ტანისამოსს, და უცებ ძლიერმა ბიძგმა კინალამ ზღვაში გადამაგდო. ნავი
შეირხა, მაგრამ მე ღონე მოჭიკრიფე, და ჩვენს შორის სასოწარკვეთილი
ბრძოლა დაიწყო: გაათრებამ ძალა მომიმატა, მაგრამ ჩქარა შევამჩნიე,
რომ ჩემი მოწინააღმდეგე სიმარჯვით მჯობნიდა... „რა გინდა შენ,“ წა-
მოვიძახე მე და მაგრად მოვუჭირე მის პაწია ხელებს; მისმა თითებმა ტკა-
კუნნი დაიწყო, მაგრამ მან როდი დაიყვირა: მისმა გველურმა ბუნებამ
აიტანა ეს წამება.

— შენ დაგვინახე, მიპასუხა მან: შენ დაგვასმენ! და ზებუნებრივი
ძალდატანებით ქიმზე დამაწვინა; ჩვენ ორივენი წელთამდე ჩამოვეკიდეთ
ნავიდან; მისი თმა წყალს ეხებოდა: გადამწყვეტი წუთი დადგა, მე მუხ-

ლი მივაბჯინე ნავის ფსკერს, ერთბ ხელი ნაწნავში ჩავკიდე ქალს, მეორე ყელში, მან ხელი გაუშვა ჩემს ტანისამოსს, და მყის ტალღებში გადავისროლე იგი.

უკვე საკმაოდ ბნელოდა; მისი თავი ორჯერ ამოყურყუმალავდა ზღვის ქაფში, შემდეგ არაფერი არ დამინახავს...

ნავის ფსკერზე ერთი ნახევრად გატეხილი ძველი ნიჩაბი აღმოვაჩინე და როგორც იყო, ნაპირს მივადექი. ძალაუნებურად გავიხედე იმ მხრისკენ, სადაც წინა ღამით ბრმა ბიჭი ღამის მენავეს ელოდა; ცაზე უკვე მთვარე მოსცურავდა, და მომეჩვენა, რომ ნაპირზე ვიღაცა თეთრად ჩაცმული იჯდა: მე მას მივეპარე, ცნობის მოყვარეობით წაქეზებული, და ბალახზე დავწექი ხრამის პირას; საკმაო იყო თავის ოღნავ წაწევა, რათა კლდიდან ყველაფერი დამენახა, რაც ქვემოდ ხდებოდა, და ძალიან არ გამკვირვებია, თითქმის გამიხარდა კიდევ, როცა ჩემი ფერია ვიცანი: ის ზღვის ქაფს სწურავდა თავისი გრძელი თმიდან; სველს პერანგში ნათლად ისახებოდა მისი მოქნილი ტანი და მალალი მკერდი. ჩქარა შორს ნავი გამოჩნდა, ის სწრაფად ახლოვდებოდა; იქიდან, ისევე, როგორც წინა ღლით, თათრული ქუდიანი მამაკაცი გადმოვიდა: თმა ყაზახურსივით ჰქონდა შეკრეჭილი, ზოლო ღვედის სარტყელში დიდი დანა ჰქონდა გარკობილი. „იანკო“, უთხრა ქალმა, „ყოველივე დაილუპა!“ შემდეგ მათი საუბარი გაგრძელდა, მაგრამ ისე ზმადებლა, რომ მე ვერაფერი ვერ გავიგონე. — ბრმა სადღაა, სთქვა ბოლოს იანკომ უფრო ხმამაღლა. „მე ის გავვზავნე, უპასუხა ქალმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბრმა გამოჩნდა, ის ზურგით ტომარს მოათრევდა, რომელიც ნავში ჩადეს.

„ყური დამიგდე, ბრმაე!“ სთქვა იანკომ: „შენ იმ ადგილს გაუფრთხილდი... ხომ იცი? იქ ძვირფასი საქონელია... უთხარი (სახელი ვერ გავიგონე), რომ ამიერიდან შენი მოსამსახურე აღარ ვარ-თქო: საქმე ცუდად წავიდა, აწ ველარ დამინახავს; ახლა სახიფათო ვახდა: სხვა ადგილას წავალ სამუშაოს საძებნელად, ის კი ჩემსავით ყოჩაღს კაცს ველარ იშოვის. ისიც უთხარი, — ღუ შრომა უკეთ დაგეჯილდოვებია, იანკო არ მიგატოვებდა-თქო; მე კი ყველგან გზა ხსნილი მაქვს, სადაც ქარი ჰქრის და ზღვა ხმაურობს!“ ცოტაოდენი ღუმილის შემდეგ იანკომ განაგრძო: „ეს ქალი მე მიმყვება; მისი აქ დარჩენა შეუძლებელია; დედაბერს კი უთხარი, ღროა მოკვდე, ცას გაკვირხარ, სინიღისიც კი საქონელია-თქო. ჩვენ კი მეტს ველარ გვნახავს.“

— მე? იკითხა ბრმამ საცოდავი ხმით.

„შენ რად მინდიხარ?“

ამასობაში ჩემი უნდინა ნავში ჩახტა და ხელი დაუქნია ამხანავს; მამაკაცმა ხელში რაღაც ჩაუღო ბრმას და უთხრა: „ჰა, პრიანიკები იყიდე“.

— მეტი არაფერი? სთქვა ბრმამ. — „აი, ჯიდევ“ — და ძირს დავარდნილი ფული ქვას მოხვდა და დაიწკრიალა. ბრმას ის არ აუღია. იანკო ნავში ჩაჯდა: ქარი ნაპირიდან ჰქროდა: მათ პატარა აფრა გაშალეს და სწრაფად გაქანდნენ. თეთრი აფრა დიდხანს სჩანდა მთვარის შუქზე შავ ზვირ-

თებს შორის; ბრმა კი ისევ ნაპირზე იჯდა, და აი მე რაღაც ქვითინის მსგავსი მომესმა: ალბათ ბრმა ბიჭი ტიროდა, და დიდხანს, დიდხანს... სევდა შემომაწვა. რად დასჭირდა ბედს პატიოსანი კონტრაბანდისტების მშვიდობიან წრეში ჩავეგდე? მე მათი სიმშვიდე შევაშფოთე, როგორც წყაროში ჩავარდნილმა ქვამ, და თვითონაც კინალამ ქვასავით ჩავიძირე!

შინ დავბრუნდი. დერეფანში ჯამზე სანთლის ნამწვავი ტკაცუნობდა, ხოლო ჩემს ყაზახურს ორივე ხელით თოფი დაეჭირა და მაგრად ეძინა. ის აღარ შემიწუხებია, სანთელი ავიღე და ქოხში შევედი. სამწუხაროდ ჩემი პატარა ყუთი, მოსევადებული ხმალი, დაღესტნური ხანჯალი, — მეგობრის საჩუქარი, — ყოველივე გამქრალიყო. ახლა კი მივხვდი, რა ნივთებს მიათრევდა შეჩვენებული ბრმა. ყაზახურსი გავაღვიძე საკმაოდ არათავაზიანი ბიძგით, გავუწყერი, გავლანძღე, მაგრამ რაღა გაეწყობოდა! და განა სასაცილო არ იქნებოდა მთავრობასთან მეჩივლა, რომ ბრმა ბიჭმა გამქურდა, ხოლო თვრამეტი წლის ქალმა კინალამ წყალში დამალრიმეთქი? მადლობა ღმერთს, დილით გამგზავრების შესაძლებლობა მომეცა, და მე ტამანი დავტოვე. არ ვიცი რა მოუვიდა დედაბერსა და საბრალო ბრმას. და ან რა შესაქმება ადამიანურ სიხარულსა და მწუხარებასთან მე, მოხეტიალე ოფიცერს და ისიც სამოგზაურო მოწმობით და სახაზინოს საქმეებზე.

თარგმანი გერონტი ქიქოძისა

აილას
იოსებ ცაფელს ქუცენ ილიძეს
ნოცში გენენენ სილინს
აილენდუხლენ
აილას

პ რ ი მ ი ა

ა. ბაქრაძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თემა და სტილი

1.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქართული პოეზიის განვითარებამ ახალი მიმართულება მიიღო: ერთის მხრით ჩვენი პოეტები აგრძელებენ მე-18 საუკ. მიწურ.ულის ტრადიციებს, ხოლო მეორეს მხრით აძლიერებენ დასავლეთიდან მომდინარე გავლენის ნაკადს. ასე მაგ. აღმოსავლური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იმავე დროს ვოლტერისა და პუშკინის მთარგმნელიც იყო. გრ. ორბელიანი კი თავისუფლად ათავსებდა აშუღურ რომანსის კანონიზაციას („სავანის მონაღვას შიბაძვა“, მუხამბაზები) ლექსის ევროპულ ფორმებთან. ნ. ბარათაშვილი ასცდა ამ თავისებურ სინთეტიურ ხაზს, თუმცა უფროს ამხანაგებთან მას ბევრი საერთო ჰქონდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გრ. ორბელიანის გავლენა; ორივეს ახასიათებდა ერთიდაიგივე უკმაყოფილება ემოციებისათვის შესაფერი გამოთქმის ძიებისას; — გრ. ორბელიანი ხწერს:

„და მით უფრო ვარ უბედურ,
რომ ვერ აღმოსთქვამ მსგავსად სხვათ,
ნამდვილი ტრფობა გინა რამ
სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოებს,
რათა გამოსთქვას თავის გრძნობა
და მისთვის ოხრავს, მღუმარებს.“

(„გამოსალმება.“ 1831).

თითქმის ამასვე აღნიშნავდა ნ. ბარათაშვილიც:

„მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“
(„არ უკვირო“, 1841.)

ნ. ბარათაშვილი არ ართულებს ლექსის სინტაქსიურ კონსტრუქციას ისე, როგორც გრ. ორბელიანი. და თუ ამ უკანასკნელთან მაინც აქვს საერთო, ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში უკიდურესი არქაიზმი უფრო ნაგვიანევი მოვლენაა. ნ. ბარათაშვილი კი საშუალო არქაისტთა პლეადის წარმომადგენელია და საფიქ-

რებელია, რომ ისიც ალექსანდრე ორბელიანივით აღმაცერად უცქეროდა უკიდურესი არქაიზმის დამცველთ. (თვით გრ. ორბელიანიც არ იცავდა ფ. წ. „საეკლესიო ენას“ 70-იანი წლების ცნობილი პოლემიკის დაწყებაზე).

ქართული რომანტიული პოეზიისათვის დამახასიათებელ ფორმათა გამოყენების მხრით (კერძოდ ქანრში) ბარათაშვილი მისდევს იმ საერთო ხაზს, რომელსაც გრ. ორბელიანიც იცავდა. მაგრამ ალ. ჭავჭავაძის მიერ აღდგენილი აშუღური რომანსი კი მისთვის უცხო მოვლენას წარმოადგენს.

2.

ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსები დაწერილია სამი მეტრით: „შავთელურით“, „დიდბესიკურით“ და „შვირე ბესიკურით“. ამ მეტრებს ბარათაშვილის ლექსებში ჩამოცილებული აქვს მათი ადრინდელი და დამახასიათებელი ელემენტი — შინაგანი რითმა. ბესიკის ლირიკულ ლექსებსა და შავთელის ოდებში შინაგანი რითმები აუცილებელი იყო. ბარათაშვილის ლექსებში კი, როგორც ვსთქვით, შინაგანი რითმა იშვიათად გვხვდება. ტაეპები:

„მას ჰგავდა მთვარე, ნახად მოარე, დისკო გადახრით შუქმბინ-
დული“

„ჰოი, სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებ-
ლად“

არ წარმოადგენენ ტიპურ შემთხვევებს, თუმცა მათს არსებობას ბარათაშვილის ლექსის ტაეპში თავისი ახსნა მოეპოვება.

ბესიკისა და შავთელის მეტრების ხმარების ფაქტი არკვევს შემდეგს: ბარათაშვილი ახლო იცნობს ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს და, რაც მთავარია, ამ პოეტების ლექსების კულტურა გავლენას ახდენდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაზე.

ნ. ბარათაშვილი, უეჭველია შეგნებულად იქცეოდა, როცა თავის ლექსებში — „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „მერანი“ — ბესიკური და შავთელური მეტრებით აგებულ სტროფებს „ახამებდა“ ერთმანეთთან (გამოთქმა უმიკაშვილისა). მას გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ ამ მეტრებს ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან: ბესიკის მეტრი, შინაგანი რითმებითა და ტავტოლოგიით, საწყისს შავთელისა და ჩახრუხაძის ოდებიდან იღებს. განსაკუთრებით ბესიკის ინტონაციამ გააცოცხლა ეს დავიწყებული ელემენტი მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში; არა მარტო პრინციპის (ფონეტიური შემადგენლობის განმეორება) მხრით, არამედ ზოგჯერ ლექსიკის მხრითაც ცოცხლდება მის ლექსებში ოდების სტილი. მაგალითისათვის:

შავთელი: „იხმარის მკლავნი, კაფად მომკლავნი“

(ქებანი, სტროფი 29)

ბესიკი: „ზილფო მკლავებო, მომკლავებო...“

(„ტანო ტატანო“)

ნ. ბარათაშვილმა სრულად შეგნებულად მიმართა საუკუნეებით და-
შორებული პოეტების მეტროთა კომბინაციას. რომ ის გაცნობილი იქნებო-
და ბესიკის პოეზიას, ეს არ იწვევს იჭვს *) — ბესიკის საკმაო პოპულარობით
სარგებლობდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ „შავთელის“
გამოყენება მკითხველმა შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩასთვალოს.
ნამდვილად კი ეს ასე არ არის.

1835 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა პ. იოსელიანმა, რომე-
ლიც დიდი რეპუტაციით სარგებლობდა გემოვნებისა და ერუდიციის
მხრით, 1837-8 წლებში პირველად დაბეჭდა ჩახრუხადისა და შავთელის
ოდეები ტფილისში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამით რედაქტორმა შეასრულა,
უწინარეს ყოვლისა, არქაისტების ლიტერატურული დაკვეთა; მათ შორის
„ქებათა“ ავტორები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ. ჯერ კიდევ
ცნობილი არქაისტი სოლომონ დოდაშვილი სწერდა 1832 წელს:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მა-
ღალსა ხარისხისა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათ-
ლებულსა სჯასა ლექსნი რუსთველისანი — ვეფხის ტყაოსანი.

მეორე ლექსი ჩახრუხადისა თამარიანი — ქება თამარ დედოფლისა ზემა-
გალითოჲსა თანხმობისა გამო თვისისა და ძნელისა გუარისა გამო სტიხ-
თასა ფრიად შესანიშნულ არს.

ზომიერი და განწყობილი ხმა მისი აწარმოებს სმენისათვის სასიამოვ-
ნოსა სიმფონიასა; ხოლო გამოხატვა იდეათა, ცვალება და ხმარება სხუა-
დასხუათა მნიშვნელობათა მსგავს ხმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგენენ
მახვილგონიერებასა აზრთასა.“ (იხ. „მოკლე განხილუა ქართულისა ლი-
ტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. თურნ. „სალიტერატურონი ნაწილნი
ტფილისის უწყებათა“ 1832. № 2. გვ. 31).

ეს ექსკურსიცი არ იქნებოდა საკმარისი, რომ არ მოიპოვებოდნენ სხვა
ნიშნებიც, რომელნიც გვითვალისწინებენ ნ. ბარათაშვილის დაინტერესე-
ბას ოდების ავტორების (და კერძოდ შავთელის) სტილით. საბედობრ:
შავთელის „ქების“ უკანასკნელი ოდის დასასრული (სტროფი 103) მო-
გვაგონებს ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვას“ ბოლოს:

შავთელი: „გვედრებ თქვენ სულად, ქებისა წილად

ჩემგან დუმილი თვით შიით ვალუთ“.

ბარათაშვილი: „და ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა სათქმელად,
შაშა დუმილიც მიმით ვალენ შენ და მილოცვად.
ყოველივე ამის შემდეგ საკითხავია: რატომ განდევნა ნ. ბარათა-
შვილმა დასესხებულ მეტრებიდან შინაგანი რითმა?

შავთელისა და ბესიკის მეტრები მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენენ
იმ თანრულ სისტემაში, რომელსაც ბარათაშვილის ლექსის კულტურა
უარყოფდა: ოდებსა და სასიმღერო ლექსებში. კერძოდ მუხამბაზებში ში-

*) ბესიკი: „ღამე მთოვარე, ქველ მოარე...“ („ტრემლთა ისარნი“) და ბარათაშვი-
ლი: „მას ჰგავდა მთოვარე, ნახად მოარე“... („შემოდ. მთაწმ.“).

ნაგანი რითმა აუცილებელი ატრიბუტი იყო ტაეპისათვის. ნ. ბარათაშვი-
ლის ლექსში კი ყოველი ტაეპი მქიდრო კავშირშია სტროფის დანარჩენ
ტაეპებთან. შინაგანი რითმა კი ამთვისებლის ყურადღებას აჩერებს სიტ-
ყვიერ ერთეულების (შერთმულ სიტყვათა) ბგერითს განმეორებაზე. ეს
უკანასკნელი დააბრკოლებდა ნ. ბარათაშვილის ლექსის საერთო დინამი-
კას: ჟანრის მხრით ის უარყოფდა მუხამბაზების სტილს და ოდებში გა-
ბატონებულ, შინაგან ტავტოლოგიას. ამიტომაც არის ახალი ნ. ბარათა-
შვილის ინტონაცია, მიუხედავად მისი ლექსების ნაცნობი მეტრისა.

3.

ვიდრე ვუბასუხებდეთ კითხვას თუ რამ გამოიწვია გადახვევა მუხამ-
ბაზური სტილის პოეზიიდან ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, რამდენი-
მე სიტყვა მისი სტროფიკისა და ფილოსოფიური მოტივების შესახებ.

ნ. ბარათაშვილმა შეცვალა ქართულ ლექსში ტაეპების ურთიერთმო-
ნაცვლეობის წესი და თვითონ კონსტრუქცია ლექსისა. ის ფაქტი, რომ
მან სხვადასხვა მეტრიული წყობის სტროფთა შეერთებას მიმართა, თა-
ვისთავად მიუთითებს ძველი ფორმების შეგნებულ დეფორმაციაზე. მარ-
თალია, პირველ ჩანასახს ასეთი ხერხისა ჩვენ გურამიშვილისა და ბესიკის
ლექსებშიაც ვხედავთ, ბარათაშვილის რითმების ძირითადი რიგიც AABB-
მამუკა ბარათაშვილისა და გურამიშვილის სტროფსაც ახასიათებს, მაგ-
რამ ნ. ბარათაშვილის ლექსებში ის სულ სხვა ფუნქციით არის აღჭურ-
ვილი.

ნ. ბარათაშვილი უმთავრესად მიმართავს მომიჯნე რითმებს. სტროფა,
რომელიც მეტწილად 4 ტაეპს აერთებს, კლასიკური მხრით იყოფა ორ-
ჯგუფად და რითმების რიგიც ასეთ სახეს ღებულობს — AABB. ამ მწკრი-
ვიდან პირველი ჯგუფი (AA) მეორე ჯგუფთან (BB) შედარებით თით-
ქოს ჩაკეტილია ინტონაციის მხრით. ტაეპთა თვითველ ჯგუფში დამოუ-
კიდებელი ემოციური შეფერვა იქცევა ყურადღებას: სტროფის მეორე
ჯგუფში მეტია ინტონაციური სიმკვეთრე, ვიდრე პირველში:

„ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მამინ იყო ლამაზი, მინაზებული A
ჰე, ცაო, ცაო ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მატებს დაჩნეული A
აწცა რა თვალნი ლაყვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოის-
წრათიან, B

მაგრამ შენდამი ვერ მოალწევენ და ჰაერშივე განიბნევიან. B
(„შემოლ. მთაწმ.“).

პირველი მწკრივი უფრო აღწერიითია, მეორეში კი სტროფის სურათს
აძლიერებს მიმართვა და ინტონაციური ეესტი („... და ჰაერშივე განიბ-
ნევიან!“)

ამ წესით არის აგებული „მერანი“ც. პირველი მწკრივიდან მეორეზე
გადასვლას აძლიერებს ლექსის სიმკვეთრე დაბოლოებაში:

კვენსა გულისა, ტროფობისა ნაშთი, მიეცე ზღვის ღელვას, A
და შენს მშვენიერს, ალტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას! A
გაჰსწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი B
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი. B

ბარათაშვილის ლექსისათვის საერთოდ დამახასიათებელია ასეთი გა-
დასვლები სტროფის ფარგლების შიგნით. რაც შეეხება ემოციურ ტონს
და სახეების კულტურას, ამ მხრით მისი პოეზია თავისუფალია მუხამბა-
სური პოეზიის სიმსუბუქისაგან.

რასაკვირველია, ნ. ბარათაშვილის ლექსებს აკლია კლასიკური სი-
სუფთავე და გურამიშვილის უბრალოება. ძველს ქართულ პოეზიაში
ჩვენ ვერ მოვიტოვებდით ნ. ბარათაშვილის ზოგიერთ მსახური სი-
ტყვებით (რომ, რამ და სხვ.) დამძიმებულ ტაეპებს. სამაგიეროდ
თვითეულ მის ლექსს ინდივიდუალობის დადი აზის, პოეტის ხმა არ არის
ეპიგონური პოეზიის სარეკელა. ბარათაშვილის „მძიმე“ ლექსი უფრო
მომქმედი და ახალი იყო, ვიდრე ის „ჰარმონიული“ ლექსები, რომელთაც
ნოვატორი კი არ სწერდა, არამედ თვითონ ლიტერატურის ინერცია.

ნ. ბარათაშვილმა შესძლო ასეთი ჰარმონიისათვის გვერდის ავლა. მიუ-
ხედავად იმისა, რომ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა არც ასე
მდიდარია რიცხობრივად, ის მაინც იწვევს ჩვენს განცვიფრებას: „შე-
მოღამება მთაწმინდაზე“ ხომ 19 წლის ყმაწვილის მიერ არის დაწერილი...
მის პოეზიაში ხშირია ფილოსოფიური ლირიკის მოტივებიც. მაგ.

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების...“

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“...

„მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“*)
და სხვ.

(იხ. აგრეთვე ყველასათვის ცნობილი ადგილები ლექსებიდან
„მერანი“ (სტროფი 8) და „ფიქრნი მტკვრის პირას“ (სტრ. 8), რომლე-
პიც ანთავისუფლებენ მის პოეზიას სახეებისა და დიდაქტიზმის გაცვე-
თილ ფორმებისაგან).

ბარათაშვილის ლექსს სხვა თავისებურებაც ახასიათებს. აღსანიშნავია
ორი მომენტი: 1. რიტმიული იმპულსის ტაეპის დასაწყისში გადატანა და
2. eniambement (სინტაქსისა და მეტრის ურთიერთმოქმედება — გადატა-
ნა). პირველის მაგალითებია:

აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;

აქ ღბილს მდებლობზე სანუგეზოდ ვინაჲე ცრემლით;

აქა ყოველი არე-მარე იყო მოწყენით...

(„ფიქრნი მტკ. პირ“.)

*) შდ. ტოტჩხევი: Мысль изреченная есть лож („Silentium“).

არა, არა მწამს, რომე ბედმა შე მოიგულოს („ნაპოლეონი“)
მარქვი, რა უყავ, სად წარიღე სულის მშვიდობა...
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?..

(„სულთ ბოროტო“).

ნუ თუ აღშიინდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;
ნუ თუ შენ ჰფინო შევების სხივი ჩემს გულსა კვალად...

(„აღმკობდა მნათი“).

ნუ ვინ ზივის თავის უთვისტომობას...

(„სული ობოლი“)

და ასე თითქმის ყოველ ლექსში. ტაეპის დასაწყისში მახვილის ასეთი გაძლიერება სრულიად თავისებური მანერაა და ბარათაშვილის ლექსებს ის ემოციურ პათეტიკას სძენს. „მერანი“, მაგალითად, ასეთი პათეტიკით არის ძლიერი (ნახე უარყოფის ფორმის „ნუ“-ს ხშირი განმეორება ამ ლექსში).

რაც შეეხება მეტრისა და სინტაქსის ურთიერთობის საკითხს ბარათაშვილის ლექსებში, პოეტი აქაც მიმართავს ქართული კლასიკური პოეზიისათვის უცნობ მეთოდს. ცნობილია, რომ მანამდე ტაეპის დაბოლოება ყოველთვის ემთხვევოდა მეტრისა და ინტონაციის დასასრულს. ამიტომ არაფერი იყო მოულოდნელი ლექსის სინტაქსიურ წყობაში — მეტრი ბატონობდა ყველგან.

ნ. ბარათაშვილმა პირველად შეარყია ეს კონსერვატიზმი. შედარებისათვის კმარა ორი ადგილი მისი ლექსებიდან — ერთი, რომელიც ამ კონსერვატიზმს იცავს და მეორე, რომელიც მას არღვევს.

პირველი:

„რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მანც გიცნობ მშვენიერის ცის მჩენო;
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მაღხინებელ დაბინდულის გულისა

(„ჩემს ვარსკვლავს“).

თვითეული ტაეპის დაბოლოება ამ სტროფში ბუნებრივია და ინტონაცია არსად იცვლება — სინტაქსი ემორჩილება აკცენტუაციის რიგს...

„თვითონ მეფენიც უძლეველნი, II რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლით არღა არის სხვა რამ დიდება II
ჰმფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან II როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს II და აღიძვრიან
იმავე მიწისთვის II რაც დღეს თუ ხვალ, თვითვე არიან. II

იმდენად თვალსაჩინოა ამ სტროფში სინტაქსის როლი, რომ იგი განმარტებას არ საჭიროებს... მართალია enjambement არ არის დამახასიათებელი ნ. ბარათაშვილის ლექსებისათვის, მაგრამ თითო-ორგულა შემთხვევაც სიმპტომატიურია.

ყოველივე ეს ცხადყოფს ნ. ბარათაშვილის ლექსის კულტურის სიან-
ლეს თანამედროვე პოეზიაში. პოეტი კრიტიკულად ეპყრობა ქართული
ლექსის ფორმებს.

4.

„მუხამბაზური“ სტილის პოეზიიდან გადახვევას ჰქონდა თავისი გა-
მართლება. როგორც ირკვევა, ნ. ბარათაშვილი სრულიად შეგნებულად
უარყოფდა „მუხამბაზის კილოს“ (ვ. ორბელიანის გამოთქმას).

ზემოდ ჩვენ აღნიშნული გვექონდა, რომ თავისი არქაული მეტყველე-
ბით ნ. ბარათაშვილი ახლო დგას გრ. ორბელიანთან. ამავე დროს მის-
თვის სრულიად უცხოა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მიერ კანო-
ნიზებული აშულური რომანსი.

ნ. ბარათაშვილის სტილის ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავინახეთ,
რომ პოეტისათვის ეს გზა აუცილებელი იყო. მაგრამ აქ სხვა მომენტიც
არის მხედველობაში მისაღები. საკითხავია: რატომ არ გაერთიანდა ბარათა-
შვილის ლირიკაში ჩვენ მიერ აღნიშნული ორი ხაზი მე-19 საუკუნის
პირველი ნახევრის ქართული პოეზიისა — მუხამბაზური და არქაულ-
მწიგნობრული? ამის მაგალითს ხომ უფროსი რომანტიკოსები იძლეოდ-
ნენ; ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი დაგვიანებით იმეორებ-
დნენ ბესიკისა და საათნოვას პოეტურ ხმას, რომელსაც შემდეგი ნიმ-
უნები ახასიათებდა:

1 ამღერება (напев). ბესიკის ლექსში სიტყვიერი მასალა ისეა შერ-
ჩეული, რომ ბგერათა წყობა საშუალებას იძლევა ტაეპის მუსიკალურ
რეჩიტატივთან დასაახლოვებლად. სტროფში ტაეპი მჭიდრო ურთიერთ-
ბაში არ არის მეორე ტაეპთან. „ტანო ტატანოს“ სტროფში შესაძლებე-
ლია ტაეპების გადასმა და ამით არ დაირღვევა არც სემანტიური ჩარჩო
და არც ინტონაცია ლექსისა; (ამ ლექსში კავშირის ფორმა „და“ არც
ერთხელ არაა ნახმარი). ტაეპის სასიმღეროდ გამიზენა ასუსტებს თვითონ
ტაეპის სიმტკიცეს სტროფში (მნიშვნელობის მხრით).

ნ. ბარათაშვილის ლექსის ჩარჩო კი მტკიცედ არის შეკრული. აზრო-
ბრივ მხარეს პოეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ
ამიტომ ჰყოფს თავს მის ლექსში ენის ზეგავლენა მეტრსა და რიტმზე
(enjambement)

2. მუხამბაზურ პოეზიას ახასიათებდა მეტყველების დაბალი სტილი.
ეს უკანასკნელი ვერ ითმენდა მეტყველების არქაიზმს და, პირიქით, არქა-
ული მეტყველება ვერ ითმენდა მუხამბაზების სტილს.

ვერც ალექსანდრე ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა შესძლეს ამ ორი
ხაზის გაერთიანება უ ა ნ რ შ ი. პირველის „მუხამბაზები“ ერთის მხრით და
„გოგჩის ტბა“ მეორე მხრით — სხვადასხვა პოეტური კულტურის ლექსე-
ბია. გრ. ორბელიანის „საათნავას მიბაძვას“ საერთო არაფერი აქვს მის-
სავე ლექსთან „ჩემს დას ეფემიას“.

„მუხამბაზურ კილოს“ წინააღმდეგ შიმართულია ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული შეგნება: ის არ იზიარებდა უფროსი რომანტიკოსების მისწრაფებას „სასიმღერო“, „სუფრის“ პოეზიისადმი.¹) სამაგიეროდ ბარათაშვილს შეეძლო სავსებით გაეზიარებინა ვახტანგ ორბელიანის სიტყვები, დაგვიანებით თქმული:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა,
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო,
მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიყინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი,
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?
(„პოეტს“)

ვახ. ორბელიანს კარგად ესმოდა, რომ ამ ლექსებში გაბატონებული იყო „მდაბიური“ სტილი:

„რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,
ან ლოპიანას ან დიმიტრი ონიკოვს?“²)
ჩემი გული სხვაგვარ სურათებს ითხოვს,
მაინც ხმით ვცდი, რომე რამ ვიამბოთ
მდაბიური, — იქნება, ზოგს ვიამოთ“ (იქვე).

განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილი უარყოფდა „მდაბიურ“ სტილს პოეზიაში. ეს სჩანს ერთი წერილმანიდან, რომლისათვისაც დღემდე არ მიუქცევიათ ყურადღება.

¹ ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა ალ. ჭავჭავაძის ლექსის დანიშნულება, როცა სწერდა:

„მისი ლექსი შვებით, ლხნით.
ხან სუფრაზე მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს,
გამღერებს და ამღერდება“ („ალ. ჭავჭავაძე“)

თვითონ ა. ჭავჭავაძე სათაურშივე აღნიშნავდა თუ რომელ ხმაზე იმღერებოდა მისი ლექსები („ჯანყულში ბუიელარდის ხმა“, „მანჰა განჯალუ დეგულამის ხმა“, „მუხამბაზი, ბოი სალბუჩინარის ხმაზე“ და სხვა.) წინააღმდეგ ნ. ბარათაშვილისა, შინაგანი რითმების ბესიკურ სისტემის განსაკუთრებით იცავს ალ. ჭავჭავაძე. იხ. „მუხამბაზი“:

„ალვისა ტანი, ბალოვანი, ვერ გიცანია,
ღერწამ ახატოს, ვინც დახატოს შენი ტანია“ და სხვ.

მისი სასიმღერო ლექსებისათვის ეს ელემენტი საჭირო იყო.

² იგულისხმება გრ. ორბელიანის ლექსებში: „დიმ. ონიკაშვილის დარდები“ და სხვ. მისთ.

ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოიყოფა მისი საპაექრო ეპიგრამები და მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ორი პატარა (თითო სტროფიანი) ლექსი. ამ ლექსებში სჭარბობს მეტყველების „დაბალი“ სტილი და სიმღერის მომენტი. ნ. ბარათაშვილის პოეტიკა, როგორც ვიცით, სწორედ ამ მომენტებს რიცხავდა (მისი ლექსი უფრო დეკლამაციურია, ვიდრე სასიმღერო). საილუსტრაციოდ კმარა მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ლექსი: „მაღლი შენს გამჩენს“.

„მაღლი შენს გამჩენს ლამაზო, შავთვალეზიანო,
დღისით მზევ, ღამით მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხშიანო!
შენის ლოდინით ვჰსულდგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა;
დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!“

ამ ლექსში არ ისმის „სულო ბოროტოს“ ავტორის დიქცია, სამაგიეროდ ისმის ნაცნობი ხმა — ფოლკლორიდან, „დაბალი“ სტილის პოეზიიდან. ნ. ბარათაშვილი თვითონვე აღნიშნავს ამ ფაქტს: მაიკო ორბელიანს ის წყერს: „აი ამ ქართულს ლექსს (იგულისხმება ზემოდ მოყვანილი კუპლეტი, ა. გ.) გიგზავნი მ და ბ ი უ რ უ ლ ა დ დაწერილს, რ ო გ ო რ - ლ ა ც ფ ი ქ რ შ ი მ ა მ ი ვ ი დ ა, — შ ე ვ ა რ დ ა ჩ ე მ ი ნ ა - ზ ა ტ ი ი მ ის ხ მ ა ზ ე“ (ლექსები... 1922 წ. გვ. 120 პირველი და მეორე კურსივი ჩვენია. ა. გ.). მაშასადამე ნ. ბარათაშვილს „მდაბიური“ ლექსები შემთხვევით („როგორღაც თავში მამივიდა“) დაუწერია. აქედან დასკვნა: მისი არქაიზმი ნაყოფია პოეტური ენისადმი შეგნებული დამოკიდებულებისა.

5

მე-19 საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის შესახებ არსებობს ერთი უცნაური შეხედულება: თითქოს ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის „მძიმე მეტყველება“ შედეგი იყო ქართული ენის დაცემისა ამ პერიოდში. ეს მოსაზრება ნაყოფია იმ გარემოებისა, რომ არქაისტების ლიტერატურულ როლს ჩვენ ვაფასებდით შემდგომი, გამარჯვებული თაობის პოზიციებიდან. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არქაისტებს საკუთარი მხატვრული კოდექსები გააჩნდათ. ეს ცხადყო ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლამ 60-ან წლებში. ამჟამად გამორკვეულია ისიც, რომ ზვითონ არქაისტების ბანაკში არსებობდა ორი ფრთა: უკიდურესნი (გრ. ორბელიანი, პ. იოსელიანი და სხვ.) და საშუალონი (ალ. ორბელიანი და სხვ.).

ნ. ბარათაშვილის არქაიზმსაც თავისი სათავეები გააჩნია. პოეტის დის, ბარბარე ვეზირიშვილის ცნობით „ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“ (ლექსები, 242). ეს საგულისხმო ცნობაც რომ არ არსებულებოდა, ჩვენ მაინც შეგვეძლო გამოგვერკვია მისი მეტყველების სათავეები ლექსებიდან მიღებულ შთაბეჭდილების მიხედვით.

ბარათაშვილის ლექსებში უთუოდ ჩანს ქართული ჰიმნოგრაფიის გავლენა. ამ მოსაზრებას ადასტურებენ ლექსები: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სულო ბოროტო“ და განსაკუთრებით კი „ჩემი ლოცვა“, რომელიც კომპოზიტორმა მთლიანად მოგვყავს:

ღმერთო მამაო, მომიხილე მე შეცდომილი
და გამასვენე ვნებათაგან ბოროტ ღელვილი!
ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდლეში შემცოდე შვილი!
ჰოი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვირ ადამამაც ჰსცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება, —
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება.
ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!
გულთა მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად,
მაშა ღუმილიც მიმიტვალენ შენდამი ლოცვად.

სიტყვიერი მასალა და თვითონ ინტონაცია ლექსისა სავსებით სამართლებს სათაურს.

ყოველივე ეს მიუთითებს ნ. ბარათაშვილის ენის საერთო სათავეებზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ბარათაშვილისა და არქაისტ სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული ურთიერთობა.

6

სოლომონ დოდაშვილი (1804—1836) მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ცნობილი ქართველი ინტელიგენტია. განათლება მიიღო ყოფ. პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იონა ხელაშვილის უშუალო დახმარებით სწავლობდა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ტფილისის გიმნაზიაში და ბეჭდავდა გაზეთს — „ტფილისის უწყებანი“. ს. დოდაშვილი ერთერთი ორგანიზატორთაგანია 1832 წლის ცნობილი შეთქმულებისა, რომლის აღმოჩენის შემდეგ ის გადაასახლეს რუსეთს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.*

სოლ. დოდაშვილს ეკუთვნის საინტერესო ფილოსოფიური შრომა რუსულ ენაზე „ლოგიკა“, რომელიც 1827 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში**)

*) მასალები: Акты, т. VIII, გვ. 392; 2) ხ. ჯ. სოლომონ დოდაშვილი. ტფილისი 18—; 3) Воспоминание о Соломоне Ивановиче Додаеве—Магарском (იხ. Кавказ, 1856, № 44). 4) გ. გოხალიშვილი: 1832 წლის შეთქმულება, ტფილ., 1935 და 163.

**) იხ. Курс философии часть первая, Логика. Сочинение Соломона Додаева — Магарского. СПб. 1827.

ამ წიგნში ავტორი იცავს ლოგიკას, როგორც ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებელ ნორმატიულ მეცნიერებას და რუსული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული. მისი ავტორი ერთ-ერთი კანტიანელია და ამჟღავნებს თავისი დროისათვის შესაფერ კულტურას *).

ს. დოდაშვილის ნაწერებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც დაიბეჭდა „ტფილისის უწყებათა“ დამატების, ჟურნ. „სალიტერატურონი ნაწილი“-ს პირველ და მეორე ნომრებში (მისი რუსული თარგმანი მოთავსებულია ტფილისის გამნაზიის ხელნაწერ ჟურნალში, რომლის თანამშრომელიც ნიკ. ბარათაშვილი იყო). ს. დოდაშვილი ამ წერილში ქართულ ენას იცავს უცხო ენიდან შემოპარულ სიტყვებისაგან და, საერთოდ, ამჟღავნებს დიდს პატრიოტიზმს ძველი ქართული მწერლობისადმი.

ლიტერატურული შეხედულებების მხრით ს. დოდაშვილი არქაისტად უნდა ჩაითვალოს. ამის მკაფიო საბუთს, გარდა ზემოდ დასახელებულ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებისა, იძლევა მისი გრამატიკა, რომელიც ტფილისის გამნაზიაში იხმარებოდა 30-ან წლებში, **) განსაკუთრებით დაფასებული „ქართული სიტყვიერების მცოდნეთა მიერ“ ***). ავტორს ის დაუმუშავებია ანტონ პირველისა და ნაწილობრივ რუსი გრამატიკოსების (ვოსტოკოვისა და გრეჩის) სახელმძღვანელოთა მიხედვით. რაც შეეხება ს. დოდაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ის საკმაოდ ცნობილია ჩვენს საისტორიო მწერლობაში. ამ თავისებური რომანტიკოსის მსოფლ-მხედველობის დასახასიათებლად კმარა თარგმანები იმ ლექსებისა, რომელნიც მას აღმოაჩნდა დაპატიმრებისას 1832 წელს. თარგმანები დაბეჭდილია „აქტებში“ (ტ. VII გვ. 398, შენიშვნაში). ასეთია ძალიან მოკლეც ს. დოდაშვილის მოღვაწეობის ზოგადი ხასიათი.

ნ. ბარათაშვილისა და ს. დოდაშვილის პირადი ურთიერთობის შესახებ მკრთალი ცნობები შენახულა. ჩვენ არ ვიცით, რას ემყარება ერთი ბიოგრაფი, ზ. ჭიჭინაძე, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს დოდაშვილისა და ბარათაშვილის ურთიერთობის შესახებ თავის ბროშურაში: „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“ (ტფილისი, 1920წ.). საინტერესოა პოეტ ვახტანგ ორბელიანის ცნობა, თუ მას დაახლოვებით მაინც გადმოგვცემს ბროშურის ავტორი: „აი რა სიტყვა ერთხელ პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო მან მამულიშვილური მიმართულება; თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლებოდა ჩრც ბარათაშვილი ყოფილიყოს“. (გვ. 15). ზ. ჭიჭინაძის ცნობით ახალგაზრდა ბარათაშვილი ახლო დამოკიდებულებაში ყოფილა 32 წლის შეთქმულების წევრებთან.

*) ამ ნაშრომმა თავის დროზე გამოხმაურება ჰპოვა რუსულ მწერლობაში (იხ. Кавказ, 1856, № 48, გვ. 4).

**) იხ. შემოკლებული ქართული ლრამმატიკა. გამოცემული სოლომონ დადავის მიერ. ტფილისი, 1830 წ.

***) იხ. Кавказ, 1856, № 48, გვ. 4.

ყოველ შემთხვევაში, თუ საეჭვოა ცნობა პოეტის დაპატიმრების შესახებ (გვ. 17), მისი ურთიერთობა ს. დოდაშვილთან და ზოგიერთ პოლონელ მოღვაწესთან კი ეჭვს არ იწვევს.

ცხადად გამოხატული ბონოპარტიზმი (ლექსი „ნაპოლეონი“) და კონსტიტუციური იდეებით გამსჭვალული ზოგი ადგილი პოემიდან „ბედი ქართლისა“, უსათუოდ მხედველობაშია მისაღები, როცა ბარათაშვილის ძსოფქმხედველობას ვეჭვებით. ამ მხრით სრულიად არ არის გამორიცხული სოლ. დოდაშვილის გავლენა.

არა ნაკლებ საინტერესოა ის ლიტერატურული შეხვედრა, რომელიც ცხადყოფს ს. დოდაშვილის გრამატიკული სისტემის გავლენას ბარათაშვილის ლექსების სტილზე. ისევე, როგორც ანტონ პირველის გრამატიკამ დიდი გავლენა იქონია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო ენაზე, ხოლო პ. იოსელიანის გრამატიკულმა წესებმა — გრ. ორბელიანის ენაზე, — დოდაშვილის გრამატიკამ თვალსაჩინო დალი დაასვა ნ. ბარათაშვილის ლექსების სტილის ზოგიერთ მხარეს.

* *

როგორც ცნობილია, ტფილისის გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილს ქართულ ენას ასწავლიდა ს. დოდაშვილი. ახალგაზრდა გიმნაზიელს ერთხელ შენიშვნაც კი მისცა მასწავლებელმა სახელმძღვანელოს („გრამატიკის“) უქონლობის გამო და აიძულა შეეძინა ის.

რასაკვირველია, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ელემენტალურ გრამატიკულ წესებს, რომელიც პოეტმა ისწავლა გიმნაზიაში. ს. დოდაშვილის სახელმძღვანელოს გავლენა ამ გრამატიკულ სისტემის ათვისების იქით მიდის. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ს. დოდაშვილის მიერ გამომუშავებულ კლასიფიკაციებს გავლენა მოუხდენია ნ. ბარათაშვილის ენასა და სტილზე. აქ მოგვყავს ერთი შემთხვევა, როგორც სტილიური მოვლენა და არა როგორც მართოდენ გრამატიკული ფაქტი.

დაკვირვებული მკითხველი ნ. ბარათაშვილის ლექსებში შენიშნავს ერთს საგულისხმო დეტალს: ე. წ. მსახურ სიტყვებს დაკისრებული აქვთ წმინდა სტილიური ფუნქცია: გადმოცემა ემოციური ტონისა. პოეტი ხშირად ხმარობს ფორმებს: ოჲ, ოჰ, ოე, ვაჲ, ჯლან, — აქსესუარებს, რომელნიც განსაკუთრებით აძლიერებენ ლექსის ემოციურ ელფერს. მაგალითად:

ჰი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ... („შემოდ. მთაწმ.“)

ჰი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს... (იქვე)

ჰი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ... (იქვე)

ჰი ჩონგურო, ნეტავი ოდეს... (იქვე)

ჰი საყურეო, გრძნებით ამრეო... („საყურე“).

ჰი სახიერო, რად წარმიკვეთ მე სასოებას...

(„ჩემი ლოცვა“)

განვედი ჩემგან, ჰი მაცდურო, სულო ბოროტო

(„სულო ბოროტო“)

ჰი ნაპირნო, არაგვის პირნო... („ბედი ქართლისა“)

ჭე, ცაო, ცაო, ხატება შენი... („შემოდ. მთაწმ.“)

ცე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ქუამი და ბოლო
(„სუბმული და მწირი“)

ცე, დაღისტენელნო.... („ომი ქართველთა“)

ცე, ძმანო, ნუ თუ არ გესმით... (იქვე)

ვაა, თუ მასაც უდროოდ აქნობს უწყალო ველი
(„სუბმული და მწირი“)

ვაა მას, ვისაც მოხვდეს შენი მსახვრალი
(„სული ბოროტო“)

ახ, რად არ ძალუძს განცხოველება წმინდას აჩრდილსა
(„საფლავი მეფის ირაკლისა“)

რად შემბყარ მე გ ლ ა ხ გული („ქეთევან“) და სხვ.

ამ მაგალითებში ყურადღებას იქცევს არქაული ფორმებით დაწყებული ტაეპების თავისებური „ბსიქოლოგიზაცია“, რომელიც ბარათაშვილის ლექსებს უაღრესად სუბიექტურ ელფერს აძლევს. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არც ერთი პოეტი არ იცავს ამ ფორმებს ისე მკაცრად და შეგნებულად, როგორც ნ. ბარათაშვილმ. და აქ ჩანს უტყუარი გავლენა ს. დოდაშვილის გრამატიკული სისტემისა. „გრამატიკაში“ ვკითხულობთ (იხ. გვ. 55. „თავი მერვე შორისდებულისათვის“):

„§ 68. შორისდებული არს ნაწილდ სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს ვითარსამე გრძნობილებასა ანუ მოძრაობასა სულისასა.

§ 69. შორისდებულნი, მნიშვნელობისამებრ თვისისა აჩვენებენ:
1) განკარგულებასა: ოჰ! ეჰა! ზ! ბ) საღმობასა: ვაა, ზი, ვაამე, ზმე
გ) შევბასა: ვიშ! ვახ!... 3) იღუმალობასა: სუ! სუსუ! ჩუმად! ჰსდუ-
ნინინ!... 4) წოდებასა: ეი! ეიეი! ზ! თ) დაღადებასა: ოჰ! ზ! ი) შეწყ-
ალებასა: ვაა! გლახ! ია) განმხნობასა: შაბაშ! შაბაშ-შაბაშ! იბ) ნატვ-
რასა: ნეტარ! ვაში! ნეტარძი!“. (როგორც ვხედავთ ს. დოდაშვილიც „შო-
რისდებულებს“ ემოციურ ელმეენტს უკავშირდება: „შორისდებუ-
ლი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს ვითარსამე გრძნობიერებასა ანუ მოძრაობასა სუ-
ლისასა“-ო).

შეიძლებოდა კიდევ სხვა მაგალითების მოყვანა, მაგრამ ამჟამად ესეც კმარა.

ზემოდ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ ს. დოდაშვილისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ ურთიერთობას. შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსი. წვრილმანებშიაც კი იცავს დოდაშვილის პოეტიკის წესებს. იდეოლოგიური სიახლოვე 1832 წლის შეთქმულებების ერთერთ ორგანიზატორთან კი არკვევს ნ. ბარათაშვილის თემატიკის ზოგიერთ საკითხებს.

ნ. ბარათაშვილს უხდება ცხოვრება თავისებურ ისტორიულ სიტუაციაში: 1832 წლის შეთქმულებების დამარცხებას მოჰყვა შეთქმულების მონაწილეთა გადასახლება რუსეთში, ლიტერატურული ტფილისი დაცალიერებული იყო. მიუხედავად ამისა, მის ლირიკაში ჩანს დაინტერესება იმ საკითხებით, რომელზედაც დამარცხებული თაობა ჰფიქრობდა („ბედოქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“). შეთქმულთა ლიტერატურული ინტერესების ახლო გაცნობის საფუძველზე უნდა იყოს წარმოშობილი მისი ბონოპარტიზმიც („ნაპოლეონი“), რომელიც საერთოდ რომანტიკოსებს და რადიკალ მწერლებს ახასიათებდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (ბერანჟე, ლერმონტოვი, ჰაინე *).

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი გვერდს უხვევდა ნაპოლეონის, როგორც სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის, დახასიათებას. თემის ზელოსოფიური ლირიკის ხაზებში გაშლით „ნაპოლეონი“ ორიგინალურა მოვლენაა. ლექსის სტროფებიდან ლაპარაკობს ადამიანი — ინდივიდუალისტი:

— ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი...

ან:

— თვითონ სამარც მწიწროვოს თუ ტოლი მყვანდეს...
და სხვა.

ნაპოლეონის ასეთი ზოგადი ნიღბის ჩვენებით ნ. ბარათაშვილი უფრო უახლოვდება ფ. ტიუტჩევს, ვიდრე ბერანჟეს ან ჰაინეს.

შეთქმულების წევრებთან ბარათაშვილის სიახლოვეს ადასტურებს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: პოეტის ნაადრევი სიკვდილი შესაფერისად გამოიტირეს შეთქმულების ყოფილმა წევრებმა — გიორგი ერისთავმა (ლექსი „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვის გარდაცვალებაზე“) და ალექსანდრე ოჭბელიანმა. ეს უკანასკნელი უფრო გვიან (1856 წ.) ე. „ცისკარში“ სწერდა: „...ცოდო არ არის ეხლა შორსა გზაზედ იყო შენ — შენ კაცის გულის გამომთქმელი სინაღვლისა, შენ ჩვენო საქართველოს უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, თავადო ნიკოლოზ ბარათაშვილო. იმ დაუღეველს გზაზედ იდგე, სადაც სანატრელი სიმართლეა, მხოლოდ იქა? ჯერ არ იყო დრო: გემოვნება გაგელო შენ, რომელმა მსაჯულებამ წაიღო ეგ შენი სხივმოსხმული, ნათელი სული პოეტობისა? აკი ძლიერ ჰფლობდა, პატრონობდა, მას დაწმენდილს სულსა შენსასა?.. შენ ქართველების დიდო პოეტო! მაინც რაღაც უნდა იყოს, შენა წევხარ უნაკლულოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, რომელთა გენიის ღმერთა შენს

* ამ საკითხზე მიმითითა პოეტმა ს. ი. მ. ჩიქოვანმა. ა. გ.

ძილსა მშვიდობას უაღერსებს, შენსა მიღულებულს თვალებს ჰკოცნის, უმანკოს და წრფელის გულით. ან! უდროვო ესე ძილო, ესე მშვიდობიანო... ასე ბედკრულო შენ უბედურო! ობლობის ცრემლსა იხოცს შენს საფლავზე საქართველო“. ასე დაიტირა არქაისტმა და პატრიოტმა ალ. ორბელიანმა ნიკ. ბარათაშვილი. და ამ გამოტირებას ჰქონდა თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი სარჩული.

ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა

1. ლერმონტოვი და კავკასია

მ. ლერმონტოვი ჯერ კიდევ ათი წლის ბავშვი იყო, როდესაც პირველად იხილა კავკასიის მარად თოვლიანი მთების დიადი მშვენება. ეს იყო პირველი და დაუეწყარი შთაბეჭდილება, რამაც მძლავრი დალი დააჩნია მომავალი გენიალური პოეტის შთაგონებას. „Горы кавказские для меня священы“—ო, — შენიშნავდა ლერმონტოვი ერთგან თავის დღიურში, როდესაც იგონებდა კავკასიაში ყოფნას, თავის პირველ ბავშვურ გატაცებას... უფრო უკეთესად ამ გრძნობებს გამოხატავდა იგი 1830 წ. დაწერილ ლექსში „კავკასი“:

„Хотя я судьбой на заре моих дней,
О южные горы, отторгнут от вас,
Чтоб вечно их помнить, там надо быть раз;
Как сладкую песню отчизны моей,
Люблю я Кавказ“...

ეს ლექსი 16 წლის ჭაბუკის კალამს ეკუთვნის. ამ დროს ლერმონტოვს კავკასიის მთების მარტო გარეგნული მშვენება როდი ხიბლავდა. მან უკვე იცოდა, რომ ამ მთებში ცხოვრობდენ თავისუფლების მოყვარე, ამაყი და გმირო ხალხები, რომლებიც იცავდენ თავის ქვეყანას მეფის რუსეთის შემოსევისაგან. ახალგაზრდა პოეტი თანაუგრძნობდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიის ტომებს, იგი გულისტკივილით სწერდა „გასაჭირში ჩავარდნილ და ბრძოლებით გასისხლიანებულ“ ქვეყნის შესახებ, ლექსში „Кавказу“ (1830 წ.):

Кавказ! далекая страна!
Жилище вольности простой!
И ты несчастьями полна
И окровавлена войной!..

კავკასიის ხალხების ბრძოლის შინაარსი და მნიშვნელობა ლერმონტოვს ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ჰასაკში ჰქონდა შეგნებული. შემდეგში ის, როგორც რუსეთის არმიის ოფიცერი, მართალია, იბრძოდა კავკასიაში, მაგრამ როგორც ადამიანი და პოეტი, იგი მუდამ აღტაცებული

იყო მთიელთა რაინდული და ვაჟკაცური ბუნებით. თავისი მაღალი შეხედულება მათ შესახებ ლერმონტოვმა გამოხატა კიდევ კავკასიის თემანზე დაწერილ ლექსებსა და პოემებში.

2. საქართველოში

1837 წელს პუშკინის დაღუპვით შეძრწუნებულმა ახალგაზრდა პოეტმა დასწერა თავისი ცნობილი ლექსი: „პოეტის სიკვდილი“. ამ ლექსმა შეარხია მთელი რუსეთის საზოგადოება. ლერმონტოვის თანამედროვე ვ. სტასოვი სწერდა, რომ „არასოდეს რუსეთში ლექსებს არ მოუხდენიათ ასეთი დიდი და ერთობლივი შთაბეჭდილებათ“. პანაევის სიტყვით „ლერმონტოვის ლექსს პოეტის სიკვდილზე ათეული ათასი ეკზემპლიარობით იწერდნენ, კითხულობდნენ და იზებირებდნენ“. მესამე მწერლის — ვ. სოლოგუბის სიტყვით „პუშკინის სიკვდილმა რუსეთს აუწყა ახალი პოეტის — ლერმონტოვის მოვლინება“. მართლაც, ეს ლექსი მეხივით გავარდა იმ დროს და მანამდე თითქმის უცნობი გუსართა პოლკის კორნეტი ლერმონტოვი უეცრად უპოპულარულესი პოეტი შეიქნა მთელ რუსეთში. ამ ლექსის უკანასკნელი 16 სტრიქონი პირდაპირ მიმართული იყო ნიკოლოზ პირველის წინააღმდეგ და ცხადია, პოეტს თავისი გამბედავი გულახდილობა დაუსჯელად არ ჩაუვლიდა. 1837 წლის 27 თებერვალს გამოვიდა მეფის ბრძანება ლერმონტოვის ჩინით დაქვეითებისა და საქართველოში მდგომ ნიჟეგოროდის დრაგუნდა პოლკში გადაყვანის შესახებ. პოლკი მაშინ დაბანაკებული იყო კახეთში, ყარაღაჯში.

ეს იყო პირველი გადმოსახლება ლერმონტოვისა კავკასიაში. იმავე წლის მარტის დამლევს ლერმონტოვი უკვე სტავროპოლში იყო ჩამოსული. სტავროპოლი იმ დროს საოლქო ცენტრი იყო და კავკასიის ჯარების სარდლის რეზიდენციას წარმოადგენდა. ამ ქალაქში იყრიდა თავს რუსეთიდან მოვლინებული ოფიცრობა, რომ შემდეგ დარიგებულები იყვნენ მომქმედ არმიის სხვადასხვა ნაწილებში.

ლერმონტოვი კახეთში უნდა წასულიყო, მაგრამ სტავროპოლში დაყოვნდა და შემდეგ გაემგზავრა გელენჯიკისაკენ, სადაც მონაწილეობა მიიღო საომარ ოპერაციებში.

ამ ადგილებიდან ლერმონტოვი გაემგზავრა მინერალურ წყლებზე, რადგან „გზაზე გაცივდა და რევმატიზმით იყო დაავადებულ“.

წყლებზე ლერმონტოვმა 1837 წლის მთელი ზაფხული დაპყრო, ცხოვრობდა პიატიგორსკში. ამ პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებები და განცდები ლერმონტოვმა ასახა თავის „ჩვენი დროის გმირში“.

1837 წლის აგვისტოს ნახევარი და სექტემბრის დამდეგი ლერმონტოვმა ისევ მომქმედ ჯარში გაატარა, გელენჯიკის მხარეზე. გელენჯიკზე ლაშქრობის დროს ლერმონტოვი ხვდება დეკაბრისტ ა. ოდოევსკის.

სექტემბრის დამლევს ლერმონტოვი მიემგზავრება ტფილისისაკენ. იმავე წლის დამლევს ს. რაევსკისადმი გაგზავნილ წერილში იგი სწერდა: „მას შემდეგ, რაც რუსეთიდან წამოვედი, ეს ხანი განუწყვეტელ მგზავ-

რობაში გავატარე, ხან ფოსტის ურმით, ხან ცხენით. მოვიარე მთელი საზი ყიზლარიდან მოყოლებული ტამანამდე, ვადავიარე მთები, ვიყავი შუშაში, ყუბაში, შემახაში, კახეთში, — ჩერქეზულად გამოწყობილი, მხარზე თოფ-გადაკიდებული. ღამეს ვათევდი ტრიალ მინდორში, ვიძინებდი ტურების ქყავილში, ვჭამდი მჭადს, ასე გასინჯე, კახურსაც ესვამდე...”

ეს წერილი, როგორც სჩანს, ლერმონტოვს საქართველოდან აქვს მიწერილი. ცოტა ქვემოდ იგი უამბობს თავის მეგობრებს ჩვენი ქალაქის ამბებსაც: „კარგი ყმაწვილები აქ ბლომად არის, განსაკუთრებით ტფილისში შეხვდები წესიერ ადამიანებს; მე ნაჩქარევად გადავიღე ყველა ღირსშესანიშნავი ადგილების ხედი, რომელიც კი მოვინახულე და მომაქვს თან საკმაო კოლექცია...”

როგორც კი გადავლახე უღელტეხილი და საქართველოში გადავედი, მაშინვე მივატოვე ურემი და ცხენით დავიწყე მგზავრობა. ავცოცდი თოვლიან მთაზე (ჯვარის მთა), სულ წვერზე, რაც მთლად ადვილი როდია. იქიდან მოსჩანს ნახევარი საქართველო, როგორც ტინჯანზე და, მართალი ვითხრა, მე არ ძალმიძს აფხსნა ან ავწერო ეს საოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი — ბალზამია, სევდა ქრება, გული ძვრს, მკერდი ფართოდ სუნთქავს — ასეთ წუთში არაფერი არ გსურს; ასე ვიჯდებოდი და ვუცქერდი მთელი სიცოცხლე“.

ტფილისში ლერმონტოვის ყოფნის შესახებ ზუსტი ცნობები არ არის დარჩენილი. შავად დაწერილ დღიურში, ერთ ადგილას, ლერმონტოვი ამბობს, რომ იმყოფება პეტრე გ-სთან. იქვე იხსენიებს „სწავლულ თათრებს ალის და ახმეტს“, შემდეგ აღწერს ტრალიკულად დასრულებულ რომანტიულ ამბავს, რომლის მსხვერპლი გამხდარა რუსი ოფიცერი. ეს ამბავი შეიძლება რეალური შემთხვევა არ ყოფილიყოს. ჩვენის აზრით, იგი წარმოადგენს მხოლოდ სიუჟეტს რომელიმე განზრახული ნაწარმოებისათვის. იგი მოგვაგონებს სტენდალის სიუჟეტებს „იტალიური ქრონიკებიდან“.

ოთხი წლის შემდეგ ლერმონტოვმა ეს რომანტიული სიუჟეტი ნაწილობრივ გამოიყენა ლექსში „პაემანი“ (1841 წ.). ამ მშვენიერ ნაწარმოებში ლერმონტოვს, სხვათა შორის, დახატული აქვს 30-იანი წლების ტფილისის პეიზაჟი:

1.

Уж за горой дремучей
Погас вечерний луч,
Едва струей гремучей
Сверкает жаркий ключ;
Сады благоуханием
Наполнились живым,
Тифлис об'ят молчаньем,
В ущельи мгла и дым...

• • • • •

Внизу огни дозорные
 Лишь на мосту горят
 И колокольни черные
 Как сторожи стоят;
 И поступью несмелою
 Из бань со всех сторон
 Выходят цепью белою
 Четы грузинских жен,
 Вот улицей пустынной
 Бредут, едва скользя..
 Но под чадкою длинною
 Тебя узнать нельзя.

4.

Твой домик с крышей гладкой
 Мне виден вдалеке;
 Крыльцо с ступенью шаткою
 Купается в реке;
 Среди прохлады веющей
 Над синей Курой
 Он сетью зеленеющей
 Опутан плющовой;
 За тополью высокой
 Я вижу там окно...

ტფილისში ჩამოსული ლერმონტოვი შეესწრო არაჩვეულებრივ ზემს, რომელიც მოაწყო რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებამ და აგრეთვე ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლის გამო. 10 ოქტომბერს გაიმართა ჯარების აღლუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკმაც, სადაც გამომწესებული იყო სამსახურში ლერმონტოვი. ამ პოლკს იმპერატორის მადლობა დაუშსახტრებია, რისთვისაც დაუჯილდოვებიათ ოფიცრები და ჯარისკაცები. სხვათა შორის ლერმონტოვსაც ზედა ამ დროს წარჩინება: მისთვის უპატივებით „დანაშაული“ და კვლავ გვარდიაში, გროდნოს გუსართა პოლკში გადაუყვანიათ კორნეტის ჩინით.

სამხედრო ისტორიკოსი პოტტო სწერს ამ ამბის შესახებ: „ქართველი თავადები ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ ტფილისს, თახ ახალგაზრდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფისთვის ეჩვენებიათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდს სახალხო დღესასწაულში“ (მეფის მოხელეებისა და გენერლების ზემს ქართველ თავადაზნაურობასთან ერთად პოტტო „დიდ სახალხო დღესასწაულს“ უწოდებს, რაც, ცხადია, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. სოციალურ და ნაციონალურ ჩაგვრის პირობებში ქართველ ხალხს საზეიმო არაფერი ჰქონდა იმ დროს. ჩვენ გვინტერესებს ამ ისტორიკოსის ნაამბობის მხოლოდ ფაქტიური მხარე). იმავე პოტტოს სიტყვით ქართველმა თავადაზნაურობამ მეფის საპატივცემოდ გამართა „ბრწყინვალე ბალი, რომელზედაც იმპერატო-

რი მეტად მზიარული იყო და რომელზედაც მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოლაშვილის ქალთან.*)

ახალგაზრდა პოეტი და დრავუნთა ოფიცერი ლერმონტოვი, ალბათ, დაესწრო ამ ბალს და საფიქრებელია, რომ შეხვდა გამოჩენილ წარმომადგენლებს მაშინდელი ქართული საზოგადოებისას: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც წინად ლერმონტოვთან ერთად გუსართა გვარდიის პოლკში მსახურებდა, გრიგოლ ორბელიანს, მაშინ ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანს, ახლად დაბრუნებულს რუსეთიდან და იქნებ ნიკო ბარათაშვილსაც, ოცდაერთი წლის ჭაბუკ პოეტს, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „ფიქრნი მტკვრის პირად“. ამ დროს თვით ლერმონტოვი ~~თქდა~~ წლისა იყო...

1837 წლის 11 ოქტომბერს გამოვიდა ბრძანება ლერმონტოვის გადაყვანის შესახებ ლეიბ-გვარდიის გროდნოს პოლკში. ამის შემდეგ ლერმონტოვმა დასტოვა საქართველო. ზამთარში ჩვენ მას ვხვდავთ სტავროპოლში, სადაც იგი ეცნობა გადმოსახლებულ დეკაბრისტებს.

8. ბართაშვილისა და ლერმონტოვის საერთო მეგობარი

1840 წლის დასაწყისში ლერმონტოვი კვლავ იგზავნება კავკასიაში. ამის მიზეზი შეიქნა ლერმონტოვის დუელი საფრანგეთის დესპანის ვიკონტ დე-ბარანტის შვილთან. მართალია, დუელი შერიგებით გათავდა, მაგრამ იგი მაინც გახმაურდა და გაგებულ იქნა მთავრობის მიერ. ლერმონტოვი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. 13 აპრილს იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებას: „პორუჩიკი ლერმონტოვი გადაყვანილ იქნას ტენგინის ქვეითა პოლკში იმავე ჩინით“.

ამგვარად ლერმონტოვი მეორედ იქნა გადასახლებული კავკასიაში, ფაქტიურად—სასიკვდილოდ. გაგზავნილი ბრძოლის ველზე, რადგან ამ დროს გაცხარებული სამხედრო მოქმედება სწარმოებდა შამილის წინააღმდეგ. ლერმონტოვი ჩარიცხეს გენერალ გალაფეევის ჩინის რაზმში. 17 ივნისს იგი სტავროპოლიდან სწერდა ხუმრობით თავის ბიძაშვილს ა. მ. ლოპუხინს: „ხვალ მივემგზავრები მოშქმედ რაზმში მარცხენა ფლანგზე ჩინეთში, რომ დავიჭირო წინასწარმეტყველი შამილი, რომელსაც იმედი მაქვს ვერ დავიჭერ, მაგრამ თუ დავიჭირო, ვეცდები შენ გამოგღვწავნო“...

ლერმონტოვმა მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში. ოფიციალურ მოხსენებაში აღნიშნული იყო ლერმონტოვის შესახებ, რომ „მას მინდობილი ჰქონდა მეთაურობა მოხალისე ყაზახთა ცხენოსანი გუნდისა, რომელიც იმყოფებოდა რა მუდამ რაზმის წინ, პირველი ხვდებოდა მტერს, იგერიებდა მის იერიშს და ძალიან ხშირად უკუაქცევდა ხოლმე ძლიერ ლაშქარსო“...

*) იხ. „მოამბე“ — 1897 წ. № 11. გვ. 54.

ლერმონტოვის თავგანწირული მამაცობა ამ ბრძოლებში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული მისი უშუალო უფროსების მიერ. იგი თითქოს განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მდ. ვალერიკთან ბრძოლის შესახებ. იმავე ა. ლაშქარისადმი 1840 წ. 12 სექტემბერს მიწერილ ბარათში ლერმონტოვი სწერს: „ჩვენ ყოველ დღე გვქონდა ბრძოლები და ერთი მათგანი საკმაოდ ცხარე, რომელიც ზედიზედ 6 საათს გაგრძელდა. ჩვენ ვიყავით სულ 2000 ქვეითი ჯარი, ისინი კი 6 ათასამდე: ვიბრძოდით სულ ხიშტე-ბით. ჩვენ მოგვიკლეს 30 ოფიცერი და 300-მდე ჯარისკაცი, მათი კი 600 გვაში დარჩა ადგილზე... წარმოიდგინე, რომ ხრამში, სადაც ეს სეი-რი მოხდა, ბრძოლის გათავების შემდეგ ერთ საათს იდგა სისხლის სუნი“... რაზმის უფროსი გენერალი ვალაფეევი ვალერიკთან მომხდარი ბრძოლის შესახებ მოხსენებაში სწერდა: „ლერმონტოვს, ტენგინის ქვეითი პოლკიდან მინდობილი ჰქონდა მდინარე ვალერიკზე მტრის ხერგების იერიშის დროს თვალყური ედევნებინა მოწინავე საშტურმო კვლონის მოქმედებისათვის და მოეწოდებინა უფროსებისათვის ცნობები მისი წარმატების შესახებ, რაც უაღრესად სახიფათო საქმეს წარმოადგენდა მისთვის, რადგან მტერი ჩასაფრებული იყო ტყეში, ხეებსა და ჩირგვებში. მაგრამ ეს ოფიცერი მიუხედავად ყოველგვარი საშიშროებისა, დაკისრებულ დავალებას ასრულებდა ჩინებული ვაჟაკობით და გულდამშვიდებით — იგი მამაცთა პირველ რიგებში შეიჭრა მტრის ხერგებზე“.

ეს ცნობილი ბრძოლა ვალერიკთან, როგორც ვიცით, ლერმონტოვმა აღწერა თავის შესანიშნავ ლექსში:

И два часа в струях потока
Бой длился. Резались жестоко
Как звери, молча, с грудью грудь.
Ручьи телами запрудили“...

ამ მცხარე ბრძოლებში ლერმონტოვი გაეცნო და დაუახლოვდა ახლოგაზრდა ქართველ არტილერიის ოფიცერს, შემდეგში კავკასიის ომებში დაწინაურებულ გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილს. „მე დაახლოვებით ვიცნობდი ლერმონტოვს 1840 წელს, — სწერს კ. მამაცაშვილი, — მთელი წელიწადი ლაშქარში ერთად ვიყავით, ჩაჩანში ხშირად მქონია იმასთან დროს გატარება და ლაპარაკი“.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტახანს შევიჩერდეთ ამ კ. მამაცაშვილზე. იგი საინტერესოა ამჟამად ჩვენთვის, როგორც ახლო მცნობი და მეგობარი ორი უდიდესი თანამედროვის, ორი შესანიშნავი პოეტის, რომლებიც ასე მონათესავენი იყვნენ თავისი სულისკვეთებით და პოეტური შთაგონებით, მაგრამ უცხო და უცნობად დარჩნენ ერთმანეთისათვის მთელი მათი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

კ. მამაცაშვილი იყო ნ. ბარათაშვილის შკოლის ამხანაგი (დაიბადა 1814 წელს) და ახლობელი მეგობარი პოეტისა მისი სიყრმის წლებიდან მოკიდებული სიკვდილამდე. *)

*) კ. მამაცაშვილის ბიოგრაფია იხ. „კვალი“ 1893 წ. № 11.

შემდეგში მან დასწერა პატარა ბიოგრაფიულ-მემუარული ხასიათის ნარკვევი ნ. ბარათაშვილზე, რომელიც 1893 წელს გამოცა ზ. ჭიჭინაძემ ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსის დართვით.

„ჩემი პირველი გაცნობა ნიკოლოზისა, — სწერს კ. მამაცაშვილი თავის ნარკვევში, — იყო 1828 წელსა, როდესაც შევედი საკეთილშობილო სასწავლებელში... მე წავედი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში, კურსი შევასრულე და არტილერიის აფიცრად მოვედი 1837 წელსა ტფილისში. ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურსშესრულებული (1835 წელსა) და მსახურებდა სტოლონაჩაღნიკად პალატაში. ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით, ნიკოლოზს სიკვდილამდისინ ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათს შორის ჩემთანაც *).

ახალგაზრდა მეგობრები სხვა ყმაწვილკაცობასთან ერთად ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს; მათი საუბრის საგანს ხშირად შეადგენდა ქართული ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საკითხები. „იმ დროს ტფილისში არაფერი გასართობელი ადგილი არა გვექონდა: არც კონცერტები, არც კლუბები: ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან მელიქოვთან, ხან სადილათ გარეთუბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ხშირად გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზედ: ერთ საღამოს ბარათაშვილს სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-5-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა“. **

კ. მამაცაშვილი ეკუთვნოდა ოცდანათიანი წლების ქართულ ახალგაზრდა მოწინავე ინტელიგენციის რიცხვს, რომლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. კ. მამაცაშვილის იმდროინდელი ინტერესების და გონებრივ მომზადების საკმაო დამახასიათებელ მომენტს შეადგენს მისი ახლო მეგობრობა ნ. ბარათაშვილთან და ის საკითხები, რაც მათი ხშირი საუბრების თემას შეადგენდა. „საინტერესოა ამ მხრივ კ. მამაცაშვილის ერთი მოგონებაც: „მახსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო (ნ. ბარათაშვილი ლ. ა.) წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ეზღანდელი რუსთველის ქროსპექტი ლ. ა.), ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურათ მშვენივრად ზუმრობდა, მემრე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულების გამო, უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვ...“

*) კ. მამაცაშვილი — „ნ. ბარათაშვილი“ ტფილისი, 1893 წ. გვ. 3.

***) იქვე გვ. 3—4.

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღლავებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი, ჩვენი ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავჩალუნულნი და მოწყენილნი“..*)

ჩქარა ახალგაზრდა მეგობრებს დაშორება მოუხდათ. კ. მამაცაშვილი კავკასიის ფრონტზე იქნა გაგზავნილი მოქმედ ჯარში, სწორედ იმ რაზმში, სადაც მსახურობდა ლერმონტოვი. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ზემოდმოხსენებული პოეტო თავის წერილში „ვენერალი კ. კ. მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო **). მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი ამ სტატიიდან: „1840 წელს, — სწერს პოეტო, — ახალგაზრდა მამაცაშვილი, უკვე პოდპორუჩიკი, გაგზავნილი იქნა კაპიტანის ვარაპაევის სამთო ბატარეასთან ერთად ვენერალ გლაფეევის ჩეჩნის ჯარში, რომელიც ის იყო, გროზნაში წასასვლელად ემზადებოდა“. ის დრო პოეტოს სიტყვით, რუსეთისათვის მეტად „სამწუხარო და სავალალო“ დრო იყო: შავი ზღვის ნაპირებზედ მდებარე სიმაგრეები მთლად ჩეჩნებმა დაქციეს და გაანადგურეს და მეფის ჯარებო ეხლა ხელ-ახლა უნდა შესდგომოდნენ იმის აღდგენა-აგებას. ყუბანზედ ლაბის გამო გაცხარებული ბრძოლა იყო ატეხილი. საჩეჩნეთი კვლავ აღდგა თავისი სამშობლოს დასაცავად და მთელი მხარე, სუნჯიდან დაწყებული შავ მთებსა და ანდიის ყოისუმდე, დაემორჩილა შამილის რკინის მარჯვენას, რომელმაც ამ დროს პირველად დაირქვა ჩეჩნისა და დალესტნის იმამის სახელი. თერგის ნაპირებზე, რომელიც ჩეჩნების გაქცევის შემდეგ გაცარიელებული იყო, ყუმისის და შამხალის ვაკეებში — მისვლა-მოსვლა რუსებს მხოლოდ შეიარაღებული კაცების შემწეობით შეეძლოთ. გლაფეევის ჯარი კავკასიის აღმოსავლეთ ნახევარში შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გაგზავნილი.

„ეს დრო, — სწერს პოეტო, — კონსტანტინე ქრიტეფორეს ძეს დაახლოვდა სხვათა შორის იმითაც, რომ მაშინ გაიცნო და დაუახლოვდა შესანიშნავს პოეტს მ. ლერმონტოვს, რომელიც თუმცა ტენგინის ჯარში ითვლებოდა, მაგრამ თავგადადებულ ყაზახთა და თათართა თავისუფალ შემართაგან შემდგარ რაზმს უფროსობდა. ლერმონტოვი, რომელიც ძვირად უახლოვდებოდა ვისმეს, მალე დაუმეგობრდა ახალგაზრდა მამაცაშვილს და მას გულითა და სულით შეუყვარდა საერთოდ არტილერიის ყველა აფიცრები.

„მე კარგად მახსოვს ლერმონტოვიც, — ამბობს ხოლმე კონსტანტინე ქრიტეფორეს ძე, — ხშირად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ ხან თავის წითელ ხალათში, ხან კიდევ საყელო გადაწეული და გვერდზედ ჩერქეზულ ხმაღ გადადებულ აფიცრის უეპოლეტო სერთუკში, სწორედ ისე-

*) იქვე. გვ. 5.

***) იხ. უკრ. „მოამბე“ № 11. 1897 წ.

თი, როგორსაც სურათებში ხატავენ ხოლმე. ლერმონტოვი დაბალი ტანის კაცი იყო, ფერმკრთალი და დიდი ჭროლა თვალები ჰქონდა. იმისი ბუნება მაღალი და ძნელი მისაწვდენი იყო. თავის ამხანაგებში, გვარდიის აფიცრებთან, რომელნიც იმასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ექსპედიციაში, ის მეტად მხიარული და გულ-გახსნილი იყო. უყვარდა ოხუნჯობა, მაგრამ ხშირად იმის ოხუნჯობა წრეს გადადიოდა ხოლმე და მისი მოხერხებული და მახვილი ენა ბევრისათვის სასიამოვნო არ იყო. როდესაც მარტო, ან გულის მეგობრებთან რჩებოდა, ის ფიქრს ეძლეოდა და მაშინ იმის სახე მეტად გამომეტყველი ხდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე გვარდიელს ფეხი შემოედგა, რომ ის ისევ გამხიარულებულიყო და უწინდებურ ყველანი სიცილით დაესოცნა. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა იმის სულის-სიღრმეში. იმას მუსიკაც უყვარდა, მხატვრობაც, მაგრამ ხატვით მხოლოდ კარიკატურებსა ჰხატავდა. ყველაზედ ძალიან კი მას ჭადრაკი იზიდავდა, რომელსაც ხშირად თავდავიწყებამდის მიეცემოდა ხოლმე. ლერმონტოვი მუდამ კარგს მოთამაშეებს ეძებდა და ძალიან ხშირად კარავში იმისა და ახალგაზრდა არტილერიის პარუჩიკის მოსკალევის შორის მთელი ბრძოლა იშართებოდა. მოსკალევი მართლაც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ლერმონტოვს მაინც ძვირად უგებდა... კოსტანტინე ქრისტეფორეს ძის აზრით, სამხედრო სამსახურში ლერმონტოვი ძალიან წინ ვერაოდეს ვერ წავიდოდა, — ამისთვის საჭირო მასალას — მოთმინებას და გამოჯეკას ის მოკლებული იყო. ლერმონტოვის სიმაძაქცეს სამზღვარი არა ჰქონდა, თავის ვაჟკაცობით კავკასიის ძველ გამოცდილ მეჯირითეებსაც კი აკვირებდა, მაგრამ მაინც იგი სამხედრო სამსახურისთვის არ იყო გაჩენილი და სამხედრო მუნდირს მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ მაშინდელი საუკეთესო გვარის ახალგაზრდობა გვარდიაში მსახურობდა და ისიც სხვების კვალს უნდა გაჰყოლოდა. ამ ომშიაც კი ის არავითარ წეს-რიგს არ ემორჩილებოდა თავის რაზმით, გზა-კვალ დაბნეული ვარსკვლავით, ხან აქ ამოჰყოფდა თავს, ხან იქ. ბრძოლაში ისეთ ადგილებს ეტანებოდა, სადაც უფრო საშიში იყო, და, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ასეთს ადგილს ძალიან ხშირად მამაცაშვილის ზარბაზნებთან ჰპოვებდა ხოლმე“.

პოტტოს მოჰყავს რამდენიმე ეპიზოდი. ბრძოლისა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ კ. მამაცაშვილი და ლერმონტოვი.

„პირველი ცხარე ბრძოლა, რომელშიაც მამაცაშვილმაც მიიღო მონაწილეობა და რომელმაც მას ყოჩაღის და მოხერხებულის არტილერიის აფიცრის სახელი გაუთქვა, მოჰხდა 11 ივლისს, როდესაც ჯარი გოტიჩის დაბურულ ტყეში მიდიოდა. მამაცაშვილი ოთხი იარაღით ჯარის ბოლოში იქმნა დატოვებული და ის ყუმბარების შემწეობით მარტოდ-მარტო იგერიებდა თავზედ ხელ-აღებულ და გალომებულ ჩიჩნებს, რომელთა ვაჟკაცობას და მამაცობას საზღვარი არა ჰქონდა“... მამაცაშვილმა მოწინააღმდეგე „შეაჩერა და შეძლება მისცა მთელ ჯარს ტყიდან პატარა მინდორზედ გამოსულიყო, სადაც ვალერიკის ნაპირებზედ გაიშართა მთელი ჯარის ცხარე და სისხლის-მღვრელი ბრძოლა. ამ ბრძოლას თავის

სიდიადით კავკასიის ომებში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი მშვენივრად აქვს აწერილი ლერმონტოვს ერთს ლექსში, რომელსაც სახელი „ვალერიკი“ ეწოდება და ვისაც წაუკითხავს, აშკარად მიხვდება, რა ხოცვა-ჟლეტა და განსაცდელი გამოიარა ჩვენმა ჯარმა.“

ტყიდან გამოსვლისას მამაცაშვილი, როგორც სჩანს, თავისი არტილერიით განსაცდელში ჩაეარდნო. „იმის გარშემო ამ დროს არც ერთი ჯარის-კაცი არ იყო. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ლერმონტოვი გამოჩნდა, რომელმაც შეამჩნია რა არტილერიის გაჭირვება, თავის რაზმით იმისაკენ გაეშურა. მაგრამ მალე მან ზარბაზნებს ისევ თავი მიანება და თვალთავან მიიშალა. იგი შიგ უშაგულ მტერს შეესია. ეს ამბავი ეხლაც ნათლად ახსოვს კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძეს“.

„შემოდგომამდე ჯარი საჩქინეთში დარჩა.—განაგრძობს პოტოტო—მას ყოველ დღე უხდებოდა მტერთან შეტაკება, მაგრამ ისეთი ცხარე ბრძოლა, როგორ 27 ოქტომბერს ავტურინის ტყეებში მოუხდა, როდესაც ჯარი პატარა ბილიკზედ მიდიოდა, არც ერთხელ არა ჰქონია. მტერმა ტყვია ყველა მხრიდან დაუშინა, ყოველ ნაბიჯის გადადგმავზედ, რამდენიმე კაცი ეცემოდა ძირს ტყვიით განგმირული. ასეთს გარემოებებში ჯარი ნება-უნებურად ჰკარგავდა წეს-რიგს და ირეოდა. ბოლო ბატალიონი, რომელთანაც მამაცაშვილი იყო თავის ზარბაზნებით, ძალიან საჩქაროდ გამოვიდა ტყიდან და არტილერია მარტოდ-მარტო დასტოვა. ჩქინეთ ხელად გაარღვიეს ჯაჭვი და ზარბაზნებს მიესივნენ. ამ დროს მამაცაშვილმა თავის გვერდით ლერმონტოვი დაინახა, რომელიც თავის რაზმით თითქოს მიწიდან ამოძვრაო. რა მშვენიერი რამ იყო ამ დროს წითელი აბრე-შუმის პერანგში გამოწყობილი. ხელი ხანჯალზედ ედო. დამალული, იგი წითელების ზარბაზნებთან მიახლოებებს უყურებდა, რომ როგორც ვეფხი ისე სძვებოდა მათ. მაგრამ ეს არ მომხდარა. მამაცაშვილმა განგებ მიუშვა მტერი ახლო და მერე ყველა ზარბაზნები ერთბაშად დასცალა. შეშინებულიმა ჩქინებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე მოიკრიბეს გონება და ახალა ძალით მიესივნენ ზარბაზნებს. ისეთი საზარელი და საშინელი ბრძოლა გაიმართა. რომ იმის კალმით აღწერა ყოველად შეუძლებელია...“

...არა ნაკლები შეტაკება მოხდა 4 ოქტომბერს ალდინის ტყეში, სადაც ლაბინთა რაზმი მთელი რვა საათ-ნახევარი ტყის ვიწრო ბილიკზე მტერს ებრძოდა. მხოლოდ ტყიდან გამოსვლის შემდეგ დაინახეს პატარა მოედანი. მამაცაშვილმა ამ მოედანზე გააწყო თავისი ზარბაზნები და დაუშინა გზას, რომ უკანა ჯარისთვის შეძლება მიეცა სამშვიდობოს გასულიყო. მთელი ბრძოლა ამ დღეს არტილერიას დააწვა კისერზედ... მალე მეორე რაზმი გამოჩნდა, რომელიც სუნჯის მარცხენა ნაპირიდან მამაცაშვილის საშველად მოდიოდა. ყველაზე ადრე ზარბაზნებთან ლერმონტოვი დაიბადა თავისი მეომრებით, მაგრამ გვიან-ლა იყო. მამაცაშვილმა უკვე განდევნა ჩქინები“.

„აქ, 4 ოქტომბერს. — ამბობს მამაცაშვილი, — უკანასკნელად მომიხდა ჰოეტის ნახვა. ექსპედიციის შემდეგ ის დროებით პეტერბურგში წავიდა“

და მხოლოდ მეორე წელიწადს. გავიგეთ იმის ტრაგიკული სიკვდილის გულსაკლავი ამბავი“.

ასე ჩქარა გათავდა კ. მამაცაშვილის და მ. ლერმონტოვის მეგობრობა. პოეტის დაღუპვა მეტად სამწუხარო იყო მისთვის. მაგრამ რას იფიქრებდა იგი, თუ რაღაც ოთხი წლის შემდეგ დაკარგავდა მეორე, უფრო საყვარელს და ბავშვობიდან შეზრდილს მეგობარს — ნ. ბარათაშვილს? უკანასკნელმა მხოლოდ ორი წლით მეტი იცოცხლა მ. ლერმონტოვზე, სამაგიეროდ ლერმონტოვთან ერთად გაიზიარა მწარე ხვედრი უცხო მხარეში სიკვდილისა: „ნუ დავიმარხხ ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“...

ლერმონტოვი ისე, როგორც პუშკინი, დუელში დაიღუპა. იგი მოჰქალა ოფიცერმა მარტინოვმა 1841 წლის ივლისს. ამგვარად, რაღაც ერთი ათეული წლის მანძილზე რუსეთის ხალხმა ზედი-ზედ დაჰკარგა თავისი სამი შესანიშნავი ადამიანი: გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი. ამბობენ, როდესაც იმპერატორი ნიკოლოზ 1-ლის კარზე შეიტყუეს ლერმონტოვის სიკვდილი, ვიღაცამ თურმე ბოროტი სიხარულით წარმოსთქვა: „გზაც იქით ჰქონდაო“. სამაგიეროდ ლერმონტოვი ღირსეულად დააფასა მისმა მშობელმა ხალხმა. მისი სიკვდილის გამო ბელინსკი მწუხარებით სწერდა: „რა შესანიშნავ განვითარებას გვიქადდა ეს ბუნების ნიჭით მდიდარი, ეს ძლიერი და ღრმა სულის მქონე ადამიანიო“ *).

სათანადო ლიტერატურული მასალების უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მწერლებზე და მკითხველ საზოგადოებაზე ლერმონტოვის მოულოდნელმა დაღუპვამ. გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ჩვენ არ მოგვეპოვებოდა პერიოდული პრესა, რომ იქ ენახა თავისი გამოხატულება ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილის აღშფოთებას პოეტის მოკვლის გამო.

4. სანიკიძე მოწმე ლერმონტოვის დაღუპვისა.

აქ უადგილო არ იქნება თუნდაც გაკვრით გავიხსენოთ ერთი ქართველი გლეხის სახელი, დაკავშირებული ლერმონტოვის სახელთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში. ცნობები მის შესახებ თავის დროზე გამოაქვეყნა პოეტმა ი. გრიშაშვილმა. **) ქვემოთ ვსარგებლობთ ამ ცნობებით.

პიატიგორსკში ყოფნისას ლერმონტოვს ხელზე მოსამსახურედ უდგო 20 წლის გურული გლეხი ქაიხოსრო სანიკიძე. ამ სანიკიძემ რამდენიმე საგულისხმო ცნობა დასტოვა მ. ლერმონტოვის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე და აგრეთვე მის საბედისწერო დასასრულზე. სანიკიძის სიტყვით „ლერმონტოვი პიატიგორსკში სცხოვრობდა ჭილაშვილის სახლში... 1841 წელი მხიარული წელი იყო თურმე. პიატიგორსკში დიდძალი ახალგაზრდობა იყრიდა თავს (განსაკუთრებით სამხედრო პირები), ხშირად იკრიბებოდნენ ლერმონტოვისას“...

*) იხ. ბელინსკის რჩეული თხზ. ტ. II, გვ. 176, 1836 წ. რუს. გამოც.

**) იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 244 — 1936 წ.

ლერმონტოვი, სანიკიდის თქმით, მხიარული კაცი ყოფილა, გასაოცრად კეთილი და მოალერსე. თუმცა ბევრი ლაპარაკი არ ჰყვარებია, უფრო ამჯობინებდა სხვისი ბაასის მოსმენას; ხანდახან პოეტს ანაზღეულად ფიქრი დაიპყრობდა, ამ დროს ყველას ერიდებოდა და მარტოდ დარჩენას რჩებოდა... სანიკიდისავე გადმოცემით ლერმონტოვსა და მარტინოვს შორის წალაპარაკება ჩმავე ჭილაშვილის სახლში მომხდარა, — ლერმონტოვის მეგობრის ვასილჩიკოვის ბინაზე, სადაც ქეიფი იყო გამართული. სანიკიძეს აღარ ახსოვს რა მოხდა, მაგრამ ის კი კარგად ახსოვს, რომ „მთელს ეს ახალგაზრდობა სადღაც გაიკრიფა“. ცნობის მოყვარე მოსამსახურე უკან დასდევნებია მათ, მისულა მაშუყის მთასთან და თავისი თვალით უნახავს ლერმონტოვსა და მარტინოვს შორის მომხდარი დუელი: „დამბაჩები გასტენეს და ყველანი მოემზადნენ. პირველად მარტინოვს უნდა გაესროლა. ლერმონტოვმა დაცინვით მიმართა:

— ცოტა ახლოს მოიწიე, რომ მიზანს არ ააციდინო...

მარტინოვმა უპასუხა თურმე:

— ნუ სწუხართ... დრაგუნს ხელი არასოდეს არ აუკანკალდება! — ამ სიტყვების შემდეგ მარტინოვმა დამბაჩა ისროლა. ლერმონტოვი მაშინვე დაეცა მიწაზე... როცა დარწმუნდნენ, რომ სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ეტლი მოაყვანინეს და ზედ დააწვინეს... მე აღრევე აველ ეტლზე — ამბობს სანიკიძე, — და ისე მოვთავსდი, რომ ჩემი მომაკვდავი ბატონი მუხლებზე დამეწვინა... მთელ გზას თურმე პოეტი კვენსოდა. „ჯერ ორ ვერსს არც კი ვიყავით დაშორებული დუელის ადგილს, რომ ლერმონტოვი გზაში გარდაიცვალა. მან ჩემს ხელებზე განუტევა სული“. პოეტის დასაფლავების შემდეგ სანიკიძეს დაუწვავს „სერთუკი, რომელიც დუელის დროს ეცვა მის ბატონს და რომელიც მთლად სისხლში იყო მოთხვრილი“.

ლერმონტოვის სკივილის შემდეგ სანიკიძე მსახურობდა სევასტოპოლში ინგლისელ ინჟინერ უბტონთან, რომელთან ერთადაც მას მოუვლია მთელი ეგვიპტე. შემდეგ სანიკიძეს უმსახურნია რუსეთში და ბოლოს სამშობლოში დაბრუნებულა. 1891 წელს ის კიდევ ცოცხალი იყო. სანიკიძის ჩვენებით, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. გრიშაშვილი, ლერმონტოვის ბიოგრაფიას ემატება რამდენიმე უცნობი შტრიხი და დასტურდება ზოგიერთი ცნობაც.

5. ლერმონტოვი და კავკასიის ~~ქვეყანა~~.

ცალკე თემას, და მეტად საინტერესოს, შეადგენს ლერმონტოვის პოეტური მემკვიდრეობის ის ნაწილი, სადაც ასახულია საქართველო, მისი ბუნება, მისი ადამიანები. ლერმონტოვმა უდიდესი პოეტური შთაგონება ჰპოვა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში. მან რუსული პოეტური სიტყვის პალიტრა გაამდიდრა ჩვენი ქვეყნის პეიზაჟების მანამდე უნახავი ფორებითა და საღებავებით. ბელინსკი, როგორც ვიცით, აღტაცებული იყო ლერმონტოვის ლექსით — „თერგის საჩუქრები“ და სხვათაშორის სწერდა: „თერგის საჩუქრები“ წარმოადგენს კავკასიის პოეტურ აპოთეოზს. მხოლოდ ბერძნების შესანიშნავს, ცხოველყოფელს ფანტაზიას შეეძლო ასე

განესახიერებინა ბუნება, მიენიჭებინა სატება^ა და პიროვნულობა მისი უტყვი და გაფანტული მოვლენებისათვის“^ა).

კავკასიის და საქართველოს თემებზე ლერმონტოვმა შექმნა საუკეთესო პოეტური ქმნილებანი — ლექსები, პოემები, პროზა. მან ერთმა პირველთაგანმა უმღერა ჩვენს მყინვარს და ილია ჭავჭავაძის მსგავსად უსაფველდურა მას:

**И гордый ропот человека
Твой гордый мир не возмутит
(„Спеша на север“...)**

მან მრავალფეროვნად ასახა დარიალის ხეობა, მისი ჩაბნელებულ კედლები — „Ущелье мрачного Дарьяла“, მან პირველმა გადმოგვცა პოეტურად მშფოთვარე თერგის ქუხილი, და ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილში“, ლერმონტოვმა განაპიროვნა ყაზბეგის მთა და გახადა იგი თანაზიარად ხალხის კირვარამისა.

ამ შემთხვევაში მეტად საინტერესოა მისი შესანიშნავი ლექსი „დავა“ („Спор“), სადაც მოცემულია იალბუჯისა და მყინვარის დიალოგი თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრების თემაზე და მოცემულია მკვეთრი სურათი მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა კავკასიაში, მისი უზღვავე ჯარების შემოსევისა ჩვენს ქვეყანაში.

მეშფოთებული მყინვარი იხედება ჩრდილოეთისკენ და ამჩნევს უთვალავ ლაშქარს, რომელიც მოიწევს კავკასიის დასაპყრობად:

**Их ведет, грозя очами,
Генерал седой;
Идут все полки могучи,
Шумны, как поток,
Странно-медленны, как тучи,
Прямо на Восток^ა.**

აგის მომასწავებელი ფიქრი და სევდა შეიპყრობს მყინვარს. იგი ხედავს, რომ მის ქვეყანას მტრები შემოსევიან. უკანასკნელი სტრიჟონები ამ ეპიურ ლექსისა გვამცნობენ, რომ ლერმონტოვის თანაგრძნობა თავისი ქვეყნის ბედით დამწუხრებულ მყინვარის მხარეზეა:

**„И томим зловещей думой,
Полный черных снов,
Стал считать Казбек угрюмый—
И не счел врагов...“**

**Грустным взором он окинул
Племя гор своих,
Шапку на брови надвинул
И на век затих“.**

ლერმონტოვმა საუცხოვოდ ასახა მყინვარი, როგორც სიმბოლო კავკასიის ხალხებში თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული მწუხარებისა.

^ა ბელისესის რჩ. თხზ. ტ. I. გვ. 509 — 1934 წ. რუს. გამოც.

მაგრამ არ გამართლდა მისი პროგნოზი, თითქოს მყინვარი „საუკუნოდ დადუმდა“. პირიქით, კავკასიის ხალხები მთელი საუკუნის მანძილზე თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა ოქტომბრის რევოლუციით, როდესაც კავკასიის ჩაგრულმა ერებმა რუსეთის მშრომელებთან ერთად დაამხეს თვითმპყრობელობის ტახტი.

დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ ძმობას და ურთიერთ სიყვარულს.

ა. ი. ლერმონტოვი

А он мятежный, просит бури,
Как будто в бурях есть покой“.

1835 წ. ჟურნალ „Библиотека для чтения“-ს ფართო მკითხველი მასა პირველად გაეცნო მიხეილ იურის ძე ლერმონტოვის სახელს. ჟურნალში გამოქვეყნდა მისი პოემა „ჭაჯი აბრეკი“. ამ დროს ლერმონტოვი უკვე 21 წლისა იყო, მაგრამ წერა მან ყრმობიდანვე დაიწყო, ჩვენამდე ჩოაღწია 1828 წელს დაწერილმა ლექსებმა, როდესაც ახალგაზრდა პოეტი მხოლოდ 14 წლისა იყო. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლექსების წერას ის კიდევ უფრო ადრე შეუდგა. პოეტი არ ჩქარობდა მართლობაში მოსულ ფიქრთა ნაყოფი ქვეყნისთვის ემცნო, თუმცა მის ადრინდელ ნაწერებში უკვე იყო სრულქმნილი ნაწარმოები, როგორც მაგალითად, „მათხოვარი“ (у врат обители святой).

ყრმა პოეტის შემოქმედების შესახებ მხოლოდ მეგობრებისა და ნათესავების ვიწრო წრემ იცოდა. თავის მუშას ლერმონტოვი არაგანდობილ-თავან თავგამოდებით იცავდა. დასახელებულმა პოემამ პოეტის ერთ-ერთი მეგობრის დაჟინებით იხილა სინათლე; მან ავტორის შეუტყობინებლად, მალულად გადასცა რედაქციას ეს პოემა.

მაგრამ დადგა რუსული ლიტერატურისათვის საბედისწერო 1837 წელი, „რუსული პოეზიის მზე ჩაჰქრა“, დაიღუპა პუშკინი. განუზომელი დანაკლისით თავზარდაცემულმა ლერმონტოვმა დასწერა ლექსი—„პუშკინის სიკვდილზე“. და უეცრად სასწაული მოჰხდა — სრულიად უცნობმა პოეტმა ერთ დღეში გაითქვა სახელი, ქვეყანას დიდი პუშკინის კანონიერ მემკვიდრედ მოეგლინა. ლერმონტოვის ლექსი მრავალ ათას ხელნაწერებში გავრცელდა, და რუსეთში არ დარჩენილა წერაკითხვის მკობნი, რომ ის ზეპარდ არ ესწავლოს. ეს ლექსი მხოლოდ 19 წლის შემდეგ დაბეჭდა გერცენმა თავის „Колокол“-ში. რამ გამოიწვია ამ შესანიშნავი ლექსის ასეთი საოცარი წარმატება? ის არაჩვეულებრივი ძალით გამოხატავდა მთელი რუსი ხალხის განცდას. ლექსის დაუვიწყარ ამ სტრიქონებში პოეტმა არა თუ გამოსთქვა ხალხის მწუხარება დევნილ-წამებულ პოეტზე, არამედ გაუგონარი კანდიერებით და პოლიტიკური გამ-

ბედობით თავს დაესხა ამ მკვლევლობის ნამდვილ დამნაშავეებს, იმათ, ვინც „მეფის ტახტთან ხარბ ბრბოდ იდგნენ“, „თავისუფლებისა და გენიის ჯალათები“ უწოდა მათ ლერმონტოვმა. ეს ჭეშმარიტად „ნაღველსა და სიძწარეში ამოვლებული რკინის ლექსი“ იყო. მასში ჰპოვა გამოსავალი მთელი რუსი ხალხის გულში დაგუბებულმა აღშფოთებამ. „იშვიათად მოუხდენია რუსეთში ლექსს ასეთი უზარმაზარი და საყოველთაო შთაბეჭდილება“ — სწერდა ამ ტრაგიკულ ამბების ერთ-ერთი მოწმე. ეს ხალხის ხმა იყო და, ლერმონტოვს ამ ლექსის მეტი კიდევც რომ არაფერი დაეწერა, ის მაინც შევიდოდა რუსულ ლიტერატურაში, როგორც ნამდვილი სახალხო პოეტი. ლერმონტოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერჯერობით არაა საკმაოდ შესწავლილი.

ამ მხრივ ლერმონტოვს ბედი არ სწყალობდა, შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა რუს მწერალს. არა იმიტომ, რომ პოეტს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, პირიქით, ბევრი სწავლობდა მას, ბევრი რუსი და ევროპიელი მკვლევარი ცდილობდა პოეტის შემოქმედების დედაზრს ჩასწვდომოდა; მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დადებითი შედეგების მიღწევა ნაკლებად თუ ვინმემ შესძლო. რევოლუციის წინაღობინდელი კრიტიკა, უმთავრესად, ლერმონტოვის „ნაირონიზმის“ საკითხის გარშემო ტრიალებდა და საბოლოო ანგარიშში პოეტის შემოქმედებას სთვლიდა გადმოვლებულად და მიბაძვად. ეს კრიტიკა თითქმის უარყოფდა მის თავისებურებას. ა. ნ. ვესელოვსკი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ლერმონტოვის შემოქმედების საკუთრებგლის მთავარი კარი შემკულია უცხო ქვეყნის პოეზიის გირლიანდებით. ზოგნი ცდილობდნენ პოეტი წარმოედგინათ მოთვინიერებულად და დამორჩილებულად. ამას განსაკუთრებით მერევეკოვსკი ლაპარაკობდა. რამდენი რამ იყო ამქმული მის „დებოშებზე“, მის ანჩხლ და უგუებელ ხასიათზე. კრიტიკოსებმა ვერ შესძლეს ან არ უნდოდათ გაგება, რომ „დებოშებში“ გამოსავალს პოულობდა პოეტის შეურაცყოფილი, დაქანცული სული, რომელიც ნიკოლოზის საპყრობილიდან თავის დაღწევას ცდილობდა. ტყუილად კი არ ოცნებობდა პოეტი „გამიღეთ ცხის კარები, დღის ბრწყინვალება მომეცითა“—ო. მაგრამ ის იმედგაცრუებული ნაღვლიანად უმატებს: „Но окно тюрьмы высоко, дверь тяжелая с замком“.

„Только слышно за дверями,
Звучно мерными шагами
Ходит в тишине ночной
Безответный часовой“.

ამ ლექსში სიმბოლურად წარმოდგენილია ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი და რა გასაკვირალია, თუ დაუცხრომელს, მშფოთარე პოეტს, აქტიურ მოქმედებისა, ბრძოლისათვის შექმნილს ამ უზარმაზარ საპყრობილეში სული ეხუთებოდა, ის სასოწარკვეთილებისაგან კედელს თავს ახლიდა, ვერ ეგუებოდა „ცნობილ სულმდაბლობით სახელგანთქმულ მამების ნაშიერებს“ და დროგამოშვებით არასასიამოვნო სიურპრიზებს უმზადებდა მათ.

ჩვენს დროში შექმნილია ყველა პირობები მწერლის შემოქმედების ყოველმხრივი და სწორი შეფასებისათვის. მაგრამ ამ მხრივ ჯერ შედარებით ცოტაა გაკეთებული. მარქსიზმის ეულგარინატიორებმა გაშუქების ნაცვლად დააბნელეს ეს საკითხი. ლერმონტოვის შემოქმედება ჯერ კიდევ უცდის მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკული მეთოდით შეიარაღებულ მკვლევარს. რევოლუციის წინაღობინდელი კრიტიკოსებიდან ლერმონტოვის შემოქმედების ყველაზე უფრო ღრმა შეფასება ბელინსკიმ მოგვცა. დიდი კრიტიკოსი სწერდა: „ჩვენ მასში ვგრძნობთ რუსს, სახალხო პოეტს, ამ სიტყვების უმაღლესი და უკეთილშობილესი მნიშვნელობით,—პოეტს, რომელშიაც გამოიხატა რუსული საზოგადოების ისტორიული მომენტი“

აქ ხაზგასმულია არა მხოლოდ ლერმონტოვის შემოქმედების ძირითადი თვისება, მისი ხალხურობა, არამედ ნაჩვენებია ლერმონტოვის ადგილიც რუსულ ლიტერატურის ისტორიაში. ხალხურობა, — აი რას აყენებს ბელინსკი პირველ რიგში ლერმონტოვის პოეზიაში.

ბელინსკიმ გაიგო, რომ ლერმონტოვი ორიგინალური, ხალხური პოეტი იყო და არა უცხო ქვეყნის მწერლების ცოტად თუ ბევრად გამარჯვებული მიმბაძველი, და მან ის პუშკინის გვერდით დააყენა.

იმავე გულხმვიერმა ბელინსკიმ შესძლო ქედმაღლობის და ზვიადობის ნიღაბ-ქვეშ გამოეცნო ლერმონტოვში ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა და ნაზი სიყვარული. ბოტკინისთვის მიწერილ ბარათში ბელინსკი სწერს ლერმონტოვთან შეხვედრაზე: „ღრმა და ძლიერი სული. ეს იქნება უდიდესი რუსი პოეტი! საუცხოვო პიროვნება!.. ვეკამათებოდი მას და მიხაროდა, რომ მის ცივ და გაბოროტებულ შეხედულებაში ცხოვრებასა და ადამიანებზე მოსჩანდა ღრმა რწმენა ორთავეს ღირსებისა“. მაგრამ ლერმონტოვის ასეთი გაგებისათვის, საჭირო იყო ბელინსკობა; ჭკუაშოკლე, გონებაშეზღუდული მარტინოვი და სხვა მისი „მეგობრები“ მხოლოდ „მის ცივ, გაბოროტებულ“ ჭკუას და მათ მიერ საეხებით დამსახურებულ ზიზღს ხედავდნენ: ადვილად გასაგებია, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რასაკვირველია, უმაღლესი სფეროების ზელის შეწყობით. რომ რათაც უნდა დასჯდომოდათ, ეს აუტანელი ადამიანი თავიდან მოეშორებინათ.



ხალხური პოეზიისადმი ინტერესი ლერმონტოვის ყრმობის წლებში გაელვია. მის ჩანაწერებში, რომელიც 1829 წელს ეკუთვნის, მაშასადამე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლერმონტოვი 15 წლისა იყო, ჩვენ ვკითხულობთ: „ჩვენი ლიტერატურა ისე ღარიბია, რომ იქიდან მე არაფრის სესხება არ შემიძლია... ხოლო თუ კი მოვისურვებ ხალხურ პოეზიაში შეჭრას, ალბათ, აღარსად არ დაფუყებ მას ძებნას, თუ არ რუსულ ხალხურ ლექსებში. რა მწყინს, რომ გამდელი გერმანელი მყავდა და არა რუსი, მე არ მომისმენია ხალხური ზღაპრები“. ამ სტრიქონებში უეჭველად მოსჩანს ყრმა პოეტის მსჯელობის მოუწყფებლობა. რასაკვირვე-

ლია, რუსულ ლიტერატურაში მაშინაც ბევრი რამ იყო, რის გადმოღებაც მას შეეძლო და კიდევ გადმოიღო ლერმონტოვმა. როგორც მაგალითად პუშკინისაგან, ჟუკოვსკისა და გრიბოედოვისაგან. მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს პოეტის სიყვარული რუსულ ხალხურ შემოქმედებისადმი, რომელიც მას ყრმობის პირველ წლებიდანვე ჩაესახა. ხალხური პოეზიისადმი სიყვარული ლერმონტოვს აიძულებდა ხალხს დაახლოვებოდა. იგი იმსჭვალებოდა ხალხური პოეზიის სახეებით, ფერებით. ლერმონტოვის პოეზია თანდათან იჟლინთებოდა ხალხური შემოქმედების ელემენტებით, ფართო წრეებს უახლოვდებოდა. ამ მხრით ლერმონტოვი პუშკინის უახლოესი მემკვიდრე იყო. მხურვალე თანაგრძნობა დამონებულ, უფლებაყრილ ხალხისადმი აღრიდანვე დაეტყო ლერმონტოვს: სიჭაბუკეში დაწერილ დრამაში „უცნაური ადამიანი“ მან პირველმა რუსულ ლიტერატურაში სცენაზე გამოიყვანა ყმა-გლეხები, რომლებიც აშკარად ჩიოდნენ თავის უუფლებობას და მემამულეების უღლის ქვეშ დრტვინავდნენ, რომლებიც „ბედნიერებასა და სიმდიდრეს სისხლიანი ცრემლებით ჰყიდულობდნენ“. ამ ნაწარმოებით ლერმონტოვმა რამდენიმე წლით დაასწრო ბელინსკის მიერ სიჭაბუკეში დაწერილ დრამას „დიმიტრი კალინინს“, რომელც ბატონყმობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ა/წ 27 ივნისს გაზეთ „იზვესტია“-ში მოთავსებულია მარიეტა შავინიანის საინტერესო ცნობა, რომელიც გაუგონია მას სოფელ ტარხანში გლეხებისაგან. ასეთია გადმოცემა: პატარა მიშას დღეობაზე ბებიამ ჰკითხა: რა საჩუქრის მიღებას ისურვებდიო. ლერმონტოვმა მაშინვე სთხოვა, რომ ერთი დღის განმავლობაში მისთვის მამულის მართვა ჩაებარებინათ. იმ დღეს ლერმონტოვმა გლეხებს მახლობელი ტყე აჩუქა, ყოველგვარი ფორმალური მხარის დაცვით, მაგრამ ბებიამ მეორე დღესვე დაარღვია ნაჩუქრობის წერილი. ეს პატარა შემთხვევა გვაცნობს ჰაბუკ-პოეტის პიროვნებას. ჩვენ ვხედავთ, როგორ უყვარდა მას ხალხი, როგორ აწუხებდა ხალხის გაჭირვება.

გლახთა მოძრაობას ლერმონტოვმა პუშკინზე ადრე მიაქცია ყურადღება. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილზე“ ორი წლით ადრე დაწერილი მისი მოთხრობა „ვადიმიც“ პუგაჩოვის აჯანყებას ეხება. მართალია, კუზიან ვადიმის მონაწილეობა მოძრაობაში უფრო პირადი შურისძიებით არის გამოწვეული, მაგრამ ლერმონტოვი მაინც ჩასწვდა „პუგაჩოვშჩინის“ ნამდვილ მიზეზს — ეს იყო გლახთა უუფლებობა, მემამულეების მიერ ყმების არაადამიანური ჩაგვრა და, როგორც ამის შედეგი — ხალხის შურისძიების აუცილებლობა. „ადამიანთა გონებამ იგრძნო გადატრიალება და მღელვარება: ბატონის ძველი და ახალი სისასტიკე მონებს შურისძიების წიგნში ჩაეწერათ და მხოლოდ მათ სისხლს შეეძლო ამ სამარცხვინო მატთანის წარხოცვა“. მოთხრობა „ვადიმის“ აშკარად ეტყობოდა, რომ ლერმონტოვმა ხალხის ცხოვრება, ბატონ-ყმური ურთიერთობა კარგად იცოდა.

მაგრამ სიმღერაში „ვაჭარ კალაშნიკოვზე“ ლერმონტოვი უმაღლეს დონეს აღწევს. რუსული ფოლკლორის ცოდნამ ლერმონტოვს ხელი შეუწყო, რომ შეექმნა ხალხური პოეზიის მსგავსი, მაღალ-მხატვრული ღირსების ნაწარმოები. „სიმღერა“ არც მიბაძვავა, არც სტილიზაცია, არც დეკორატიული ხალხურობაა, არამედ ხალხური პოეზიის მოტივების, სახეების და ფერების ორგანული შეთვისება, რაც განსაკუთრებით ძვირფასია. ლერმონტოვმა აქაც შესძლო თავისი პროგრესული ტენდენციების გამოქვეყნება, მთელი მისი თანაგრძნობა მრისხანე მეფისა და მისი „ოპრიჩნიკების“ მიერ დაჩაგრულ ვაჭარ კალაშნიკოვისაკენ არის.

ასეთივე სიყვარულით არის გამოყენებული ხალხური პოეზიის მოტივები და სახეები კაზაკურ ნანაში (Казачья колыбельная песня-ში). არსებობს გადმოცემა, რომ ლერმონტოვმა ეს „КОЛЫБЕЛЬНАЯ ПЕСНЯ“ შექმნა უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, კაზაკის ქალი ბავშვს ნანას რომ ეუბნებოდა. ლერმონტოვს იძულებით ბევრი მგზავრობა უხდებოდა რუსეთსა და კავკასიაში. კავკასიაში მომქმედ ჯარში ყოფნის დროს ის მჭიდროდ უკავშირდებოდა კაზაკობას. არ თაკილობდა მათ სადა, უხეშ ცხოვრების პირობებს. უეჭველია, ასეთი ნანა პოეტმა კაზაკ-ქალისაგან გაიგონა. მაგრამ ასეთი სინაზით დედის მშვიდი, თავდადებული სიყვარულის გადმოცემა, ამ „სიმღერის“ ამაღლებული მომხიბვლელობით შემკობა ლერმონტოვს, რასაკვირველია, შეაძლებინა მისმა შესანიშნავმა ნიჭმა, რომელიც იყო საოცარი შეერთება მგზნებარე, დაუდგრომელი ტრიბუნისა და მშვიდი, ნაზი სულისა.

საზიზღარ წესწყობილებისა და მისი დამქაშების სამხილებლად პოეტს მუდამ მზად ჰქონდა მრისხანე, გამგირავი და, ცეცხლის მომღები „რკინის“ სიტყვები, რომლებიც მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. მოვიგონოთ, როგორ ამხელს ის პუშკინის მკვლელობაში დამნაშავე მეფის კარის დიდკაცობას.

А вы, надменные потомки
Известной подлостью прославленных отцов,
Пятою рабскою поправшие обломки,
Игрою счастья обиженных родов.
Вы, жадной толпой стоящие у трона,
Свободы, Гения и Славы палачи.
Тайтесь вы под сению закона,
Пред вами суд и правда — все молчи!..

აი კიდევ ადგილი ლექსიდან „Дума“:

К добру и злу постыдно равнодушны,
В начале поприща мы вянем без борьбы;
Перед опасностью позорно малодушны
И перед властью презренные рабы“.

მგზნებარე, მრისხანე რიტორიკასთან ერთად ლერმონტოვი ჰქმნიდა ამაღლებულ, ნაზს, მგრძობიარე მშვიდ ლექსებს, როგორც მაგალითად, „ბავშვი“, „ლოცვა“. სამშობლოსადმი, მის გმირულ წარსულისადმი სი-

ყვარულით არის ნაკარნახევი ლექსი „ბოროდინო“. ტყუილად კი არ გამოსთქვამს ლერმონტოვი უბრალო ჯარის-კაცის — ვეტერანის პირით:

„Скажи-ка, дядя, ведь не даром
Москва, спаленная пожаром,
Французу отдана.

Ведь были ж схватки боевые,
Да, говорят, еще какие!

Не даром помниг вся Россия
Про день Бородина!“

— Да, были люди в наше время;

Не то, что нынешнее племя;

Богатыри — не вы.“

სამშობლოსადმი ასეთივე დემოკრატიული სიყვარული გამოხატა პოეტმა მშვენიერ ლექსში „სამშობლო“, პოეტს სამშობლო „უცნაური სიყვარულით“ უყვარს, ეს განსაზღვრა უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს. ლერმონტოვის სამშობლოსადმი სიყვარული, მართლაც, არაჩვეულებრივი იყო იმის წრისა და დროისთვის. პოეტს არ იზიდავს არც „სისხლით ნაყიდი სახელი“, არც „წარსულ დროთა ძვირფასი გადმოცემანი“ და არც ის, რაც ხიბლავდა მეფის რუსეთის ოფიციალურ პატრიოტებს. ლერმონტოვს უყვარს რუსეთი ხალხისა, (народную Русь) სასოფლო გზებით, „სევედინი სოფლების მოციმციმე სინათლე“, „ჩალით დახურული ქოხები“, უყვარს გლეხების სადა გართობანი, „ცეკვა ფეხის ბაკუნითა და სტევენით“. შეიძლება ლერმონტოვს ასეთი სიძლიერით არსად არ გამოუმჟღავნებია თავისი სიახლოვე ხალხთან, როგორც ამ ლექსში; და ყველაზე მეტი საფუძველი ამან მისცა „ღრმამოაზროვნე“ კრიტიკოსებს, რომ ლერმონტოვი „სლავიანოფილურ“ პატრიოტთა ოჯახში ჩაერიცხათ.

ლერმონტოვის შემოქმედების ხალხური ხასიათი აიხსნება განსაკუთრებით მისი შეხედულებით ხელოვნებასა და პოეტის დანიშნულებაზე. ლერმონტოვისთვის პოეტი ცოხვრების მასწავლებელია, სიმართლის მქადაგებელი. თავის „წინასწარმეტყველში“, რომელიც პუშკინის „წინასწარმეტყველის“ თავისებური გამოძახილია, ლერმონტოვმა გვიჩვენა პოეტის დანიშნულება და მისი ბედი გონებაჩლოუნგ, ჩამორჩენილ საზოგადოებაში. ლექს „პოეტში“ ლერმონტოვი თავის დროის პოეტს ადარებს უსარგებლოდ კედელზე ჩამოკიდებულ დაქანგულ ხანჯალს. ოდესღაც კი „პოეტი მეომარს ბრძოლისათვის აღაგზნებდა“, „ის ხალხს სჭიროდა, როგორც ღებინს თასი“. ამ ლექსში ლერმონტოვმა ძალიან მკაფიოდ გამოსთქვა თავისი აზრი ხელოვნებაზე, ის, ხალხს უნდა ემსახურებოდეს, პოეტის ხმა უნდა ჟღერდეს, როგორც „ვეჩის“ (სახალხო ყრილობის) ზარი სახალხო ზემის და განსაცდელის დღეებში“. პოეტი ლერმონტოვისთვის, ზეშთავანებული წინასწარმეტყველი, მგზნებარე ტრიბუნი და აგიტატორია, თვითონ ლერმონტოვი თავის ცხოვრებაში ამ შეხედულებას ანხორციელებდა: მისი ხმა მართლაც ისმოდა, როგორც „ზარი სახალხო

ზეიმისა და განსაცდელის დღეებში.“ გამეფებულ სიბნელესთან ბრძოლა მას ვერა ღლიდა.

ძალიან ადრე, თავიდანვე, როგორც კი ჭაბუკს გონება გაეხსნა, მან იგრძნო რუსული ცხოვრების „სივიწროვე“ და დახუთულობა, თვითმპყრობელობისადმი შეურიგებელი სიძულვილით აღივზნო. ალევგორიულ ლექსებში „თურქის ჩივილში“ 1829 წ. ხუთმეტი წლის პოეტი თურქის პირით შავი ფერებით გვიხატავს თავის თანამედროვე რუსეთს, სადაც „მონობისა და ჯაჭვებისაგან ჰკენესის ადამიანი“. 1830 წ. ჭაბუკი პოეტი წინასწარ სჭვრეტს მომავალ რევოლუციას: „დადგება წელი, რუსეთის შავი წელი, როდესაც მეფეთა გვირგვინი ჩამოვარდება“. პოეტი ალტაცებით შეხვდა 1830 წლის ივლისის რევოლუციას:

**„Опять вы, гордые, восстали
За независимость страны,
И снова перед вами пали
Самодержавия сыны“.**

ივლისის რევოლუციისადმი მიძღვნილ მეორე ლექსშიაც ლერმონტოვი კარლ მეათეს ამხელს:

**„Ты мог быть лучшим королем,
Ты не хотел. — Ты полагал
Народ унижить под ярмом. —
Но ты французов не узнал.“**

თავისუფლებისადმი ღტოლვა არ ყოფილა მხოლოდ ჭაბუკური გატაცება. რაც დრო მიდიოდა, იგი თანდათან ღვივდებოდა და ძლიერდებოდა პოეტში: და თუ ეს გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამაში არ ჩამოყალიბდა, ყოველ შემთხვევაში მან გამოხატულება ჰპოვა ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმისადმი აშკარა, გამძაფრებულ, უარყოფით დამოკიდებულებაში. როგორც ირკვევა, ამ მხრივ ლერმონტოვი სრულიად მარტო არ ყოფილა. 1836 წ. პროგრესიულად განწყობილ თავადაზნაურულ ახალგაზრდობიდან შეიქნა „თექვსმეტა წრე“, რომელშიაც ლერმონტოვიც შედიოდა. შემდეგ წრის ერთი წევრთაგანი იგონებდა, რომ წრეში „ყველაფერზე მსჯელობდნენ თამამად და თავისუფლად, თითქოს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილება არ არსებებოდა“. 1840 წელს წრე დაშლილ იქნა და მისი წევრები სამხრეთში გადაასახლეს. სამწუხაროა, რომ ასე ღარიბია ლერმონტოვის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ეხება პოეტის პოლიტიკურსა და მოქალაქეობრივ მხარეს. მისი ბიოგრაფები და მკვლევარები, საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ პოეტის სატრფიალო გატაცებებსა და მის დაუდევარ ხასიათს, იმისთვის კი ვერ მოიცალებს, რომ ლერმონტოვის ცხოვრების ზემოაღნიშნული მხარე შეესწავლათ, გამოეკვლიათ, მაგალითად, „თექვსმეტა წრე“ და ლერმონტოვის მონაწილეობა მასში. უეჭვე-

ლია ამ წრესთან აქვს კავშირი ლექსებს: „На смерть Поэта“, „Дума“, „Поэт“-ს და მთელ რიგ პოლიტიკური ხასიათის ლექსებს.

ლერმონტოვს თავის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არ შეუწყვეტია შფოთვა-დუღილი, რისხვა „ცისფერ მუნდირებიან რუსეთის“ წინააღმდეგ მისი, გულსაკლავად ხანმოკლე ცხოვრება წარმოადგენს დაუცხრომელი, მემამბოხე სულის ბრძოლას გამეფებულ თვითნებობასთან. „А он, мятэжный, просит бури как будто в бурях есть покой“, მაგრამ ის ვერ ხედავდა ძალას, რომელსაც შესძლებოდა რკინის ჯაჭვების დაღწევა, ქვეყნის შემბოჭველ ბორკილების დამსხვრევა. აქედან წარმოიშვა ლერმონტოვის შემოქმედებაში ღრმა პესიმიზმი, ბნელი სასოწარკვეთილება, გამოუვალ მდგომარეობისა და მარტოობის შეგნება.

**И скучно и грустно
И некому руку подать
В минуту душевной невзгоды***

სევდით აღმოხდა პოეტს.

პესიმისტური განწყობილება პოეტს არწმუნებს, რომ

**„Жизнь, как посмотришь
С холодным вниманием вокруг,
Такая пустая и глупая штука“.**

და ის შორდება ადამიანებს, იმოსება ცისა და დედამიწის მოძულე, ციურ და მიწიერ ძალებთან მეზობლ, ქედმაღალ მემამბოხე სულის — დემონის მანტიით. აი სად უნდა ვეძიოთ ლერმონტოვის ბაირონიზმის სათავე. არა ინგლისელ პოეტით გატაცებამ, არა რუსული ბაირონის სახელის მოხვეჭის სურვილმა წარმოშვეს ეგრედწოდებული „ლერმონტოვის ბაირონიზმი“. აუტანელი რუსული სინამდვილის უარყოფა აიძულებდა პოეტს ზიზღით ეცქირა მისთვის, მედიდურ მარტოობაში ეძია გამოსავალი. ასეთმავე პირობებმა შეჭმნეს ბაირონის მემამბოხე პოეზიაც, რომელიც სწორედ ამიტომ იზიდავდა ლერმონტოვს. ის ტყუილად კი არ სწერდა:

**„Нет, я не Байрон, я другой,
Еще неведомый избранник,
Как он, гонимый миром странник,
Но только с русской душой.“**

როდესაც ლერმონტოვმა ლიტერატურაში ფეხი შესდგა, პუშკინი რომანტიზმის გავლენას უკვე აღარ განიცდიდა. ბაირონიზმის წინაშე პუშკინმა „სამხრეთის პოემებით“ მოიხადა ვალი და რეალისტურ გზას მტკიცედ დაადგა. 1828 წ. უკვე დაწერილი ჰქონდა „ბორის გოდუნოვი“, გამოქვეყნებული „გრაფი ნულინი“ და „ევგენი ონეგინი“ ს ხუთი თავი. ლერმონტოვის შემოქმედებითა გზამ გვიჩვენა, რომ პოეტი რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ მიდიოდა, მაგრამ ეს გზა იყო უფრო დახლართული, მიხვეულ-პოხვეული. პუშკინისათვის რომანტიზმი მხოლოდ ეტაპი იყო, როგორც მაზე

ადრე—კლასიციზმი; ლერმონტოვისათვის კი რომანტიზმი უფრო ორგანული მოვლენა იყო. საყურადღებოა, რომ მას კლასიციზმის გავლენა სრულიად არ განუცდია. კლასიციზმის, სამეფო კარის, გონებისმიერი პოეზია მიწიერ და ზეციერ ღმერთების გავზიადებული შექებით, ლერმონტოვისათვის აბსოლუტურად უცხო იყო. რომანტიკულ აღტყინებაში პოულობდა გამოსავალს მის მიერ სინამდვილის უარყოფა და თავისუფლებაზე ოცნება. ვის შეუძლია დაივიწყოს თავისუფლების მძლავრი წყურვილი, რომელსაც მწირის სული შეუპყრია?

„Я знал одной лишь думы власть,
Одну — но пламенную страсть:
Она, как червь, во мне жила,
Изгрызла душу и сожгла.
Она мечты мои звала
От келий душных и молитв
В тот чудный мир тревог и битв
Где в тучах прячутся скалы,
Где люди волны, как орлы.“

მაგრამ მოქმედებას მოწყურებულ, ლერმონტოვის აქტიურ ბუნებას არც სინამდვილის მოტოვება, არც ქედმაღლური განმარტოება უმსუბუქებდა მდგომარეობას.

უფრო კარგად ეს ბელინსკიმ იგრძნო, როდესაც ლერმონტოვის შემოქმედებაზე სთქვა, რომ ეს „ცხოვრებას მოწყურებულ ადამიანის ცხოვრებისადმი რწმენის დაკარგვა არისო“. დიახ, სწორედ ასე არის, მას სწყურია ცხოვრება, მაგრამ იმავე დროს ვერ ურიგდება თანამედროვე სინამდვილეს, ამ აზრს თვალსაჩინოდ ამტკიცებს „დემონი“. ძნელია იმაზე უფრო ძლიერად, როგორც ეს ლერმონტოვმა დემონის პირობით გამოსთქვა, მართლობის, ადამიანთაგან მოწყვეტის სევდის გაღმობა:

„О, если б ты могла понять,
Какое горькое томление
Всю жизнь, — века без разделения
И наслаждаться и страдать.
За зло похвал не ожидать,
Ни за добро вознаграждения;
Жить для себя, скучать собой,
И этой вечной борьбой
Без торжества, без примерения!“

და აი დემონის „მუნჯმა სულმა“ გაიღვიძა

„И вновь постигнул он святыню
Любви, добра и красоты.“

დემონს სწამს, რომ „ახალი ცხოვრების სასურველი ჟამი დადგა“. მას „სურს, რომ ცას შეურიგდეს“, „სურს სიკეთე ირწმუნოს“. მას წარმოუდგენია, რომ თამარის სიყვარული გულს გაუცოცხლებს, „სიკეთეს და ცას“ დაუბრუნდება. მაგრამ ილუზია გაიფანტა, დემონი სასტიკად შესცდა:

„И вновь остался он надменный,
Один, как прежде, во вселенной
Без упования и любви...“

პოეტსაც ასე სასტიკად ატყუებდა სინამდვილე, როგორც კი მასთან დაახლოებას შეეცდებოდა, და ის ახალი სიძლიერით განიცდიდა მარტოობასა და სიცარიელეს.

ლერმონტოვის ბაირონიზმი „რუსული სულით“ ბაირონისაგან შეიძლება უმთავრესად სწორედ იმით განსხვავდება, რომ ტიტანური პიროვნების ხალხისაგან განკერძოება ლერმონტოვს არ აკმაყოფილებს. მას თითქოს არ უნდა, მაგრამ ის მაინც ცდილობს ცხოვრებაში ჩაებას, ადამიანებთან ურთიერთობა დაიჭიროს და იქ აღმოაჩინოს „სიყვარულისა და სიმართლის“ წყარო. კრიტიკოსებმა დიდი ხანია, რაც აღნიშნეს, რომ ლერმონტოვის დემონი თავის ადამიანურობით განსხვავდება ყველა თანამოგვარისაგან: ლუციფერის, სატანის, მეფისტოფელისა და სხვა ბოროტ სულებისაგან. ისეთი როდი იყო ოცდაათიან წლების რუსული სინამდვილე, რომ იქ ადამიანს „სიყვარული და სიმართლე“ ეპოვა. ამ სინამდვილეში პოეტის დაუტყობელი სული შფოთავდა, მოწამლულ ატმოსფეროში სული ეხუთებოდა.

მაგრამ წლები გადიოდა, და პოეტს რომანტიკული ბუნდოვანება არ აკმაყოფილებდა. ის გრძნობს საჭიროებას ცხოვრების ცოდნა კონკრეტულ სახეებში გამოხატოს. ლერმონტოვს რეალიზმისაკენ ლტოლვა ემჩნევა. ამგვარად წარმოიშვა დაუმთავრებელი პოემები: „საშკა“ და „ზღაპარი ბავშვებისათვის“ (1839 წ.) აღნიშნულ ნაწარმოებთ მხოლოდ პირობითად შეიძლება პოემები ეწოდოს. ამ პოემებით ლერმონტოვმა სცადა „ევეგენიონეგინის“ მსგავსად შეექმნა ლექსად დიდი რომანი ფართო სოციალურ, საყოფა-ცხოვრებო ფონზე. სამწუხაროდ, განზრახვის განხორციელებას ვერ მოესწრო, მაგრამ რაც დარჩა, ისიც ადასტურებს, რომ ლერმონტოვმა რომანტიკულ პერიოდთან კავშირი გასწყვიტა და რეალისტურ გზას მტკიცედ დაადგა: ამ მხრივ საინტერესოა პოემა „ზღაპარი ბავშვებისათვის“, რომელიც იწყება ავტორის სახუმარო დეკლარაციით:

„Умчался век эпических поэм
И повести в стихах пришли в упадок.“

უნებლიეთ გაგონდებათ პუშკინის ანალოგიური განცხადება „Лета к суровой прозе клонят“. „ზღაპრებში ბავშვებისათვის“ ლერმონტოვი იძლევა დემონის პაროდისა და ამცირებს აშნაირად მაღალ პოემურ შემოქმედებას.

„Но я не так всегда воображал
Врага святых и чистых побуждений,
Мой юный ум, бывало, возмущал
Могучий образ. — Меж юных видений,
Как цар, немой и гордый, он сиял.“

Такой волшебной-сладкой красотою,
Что было страшно... и душа тоскою
Сжималась — и этот дикий бред
Преследовал мой разум много лет...
Но я, расставшись с прочими мечтами
И от него отделился — стихами.

ასე ოხუნჯობით სძლევეს ლერმონტოვი თავის ბაირონიზმს. ის აღარ შიმართავს მრისხანე, მგზნებარე რიტორიკას, მას სცვლის სახუმარო ირონია, რომელიც დასცინის საზოგადოების ძირითად ნაკლოვანებებს. თავისი გმირის, საშას მამის შესახებ პოეტი ამბობს:

„Был сам богат; имел он ум природный
И что ума полезней — важный чин.“

სხვა ადგილას სწერს:

„А кланяться закону иль вельможе,
Считалось тогда одно и то же.“

პოეტი დასცინის უცხოელ გუვერნიორების დახმარებით მიღებულ აღზრდას, გავრცელებულს აზნაურთა წრეებში. საშას მასწავლებელზე ამბობს:

„Его отец богатый был маркиз,
Но жертвой стал народного восстания,
На фонаре однажды он повис,
Как было в моде, вместо украшения.“

მისი შვილი „პარიზელი აღონისი“ რუსეთში გაემგზავრა „მეცნიერებათა წასახალისებლად“. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გრიბოედოვის სებურად ჟღერს ეს ამონაწერები, რომლებშიაც ლერმონტოვის ენა უეჭველად დაუახლოვდა უბრალო სასაუბრო ენას. აქედან პროზამდე ნაბიჯი-ლა რჩება.

ლერმონტოვს არასოდეს არ აღძვრია სურვილი, რომ ხოტბა შეესხა რუსული იარაღის „გმირული“ გამარჯვებებისათვის. მისთვის ყოველთვის უცხო იყო „სისხლით ნაყიდი სახელი“, თუმცა ის ნიკოლოზ პირველის სასტიკი ნება-სურვილით იძულებული იყო მთიელებთან ომში მონაწილეობა მიეღო. და აი ის „ვალერიკში“ (1840 წ.) აღწერს მთიელებთან ომის ერთ ეპიზოდს. ვალერიკზე ბრძოლა ჩვეულებრივი ამბავით არის აღწერილი, თითქმის პროზის ენით. ნიკოლოზის ცენზურის უსაშინელეს პირობებში პოეტმა შესძლო ნიკოლოზის დაპყრობითი პოლიტიკის დაგმობა:

„ Жалкий человек.
Чего он хочет!.. Небо ясно.
Под небом место много всем,
Но безпрестанно и напрасно
Один враждует он — зачем?“

რეალისტურ ტენდენციას ლერმონტოვი, როგორც პუშკინი, პროზისაკენ მიჰყავს. უნდა ითქვას, პროზას ლერმონტოვი უფრო ადრეც მიმართავს (მოთხრობა „ვადიმი“), მაგრამ ეს მოთხრობა, მიუხედავად რეალისტური ელემენტებისა, საერთოდ რომანტიკულ მოთხრობების მსგავსად არის გაკეთებული, დრამატული ეფექტებით, საზეიმო მქერმეტყველობით, მაღალფარდოვანი სიტყვებით. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მისი პროზა შექმნილია უკვე რეალისტი მწერლის მიერ, რომლის მიზანს თანამედროვე სინამდვილის ასახვა წარმოადგენს. ეს პროზა აღნიშნა ისეთი მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებულ ნაწარმოებით, როგორც „ჩვენი დროის გმირი“ არის. რომანის წინასიტყვაობაში ლერმონტოვი სწერდა: „ჩვენი დროის გმირი“, ჩემო მოწყალეო ხელმწიფენო, თითქოს პორტრეტია, მაგრამ ერთი ადამიანისა კი არა: ეს პორტრეტია ჩვენი თაობის მთელი ბიწიერებისა: თქვენ ისევ მეტყვით, არ შეიძლება ადამიანი ასე ცუდი იყოსო, მე კი მოგახსენებთ, თქვენ თუ გჯეროდათ ყველა ტრაგიკულ და რომანტიკულ ბოროტმოქმედების არსებობის შესაძლებლობა, რატომ არა გჯერათ პეჩორინის რეალურობა? იმისათვის ხომ ათა, რომ მასში მეტი სიმართლეა, ვიდრე თქვენ გსურდათ?“ ჩვენ ვხედავთ, როგორა ნათელი და ნამდვილად რეალისტური ამოცანა იდგა ლერმონტოვის წინაშე, ის თავიდანვე მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, აყენებს ტიპის პრობლემას, რეალიზმის ძირითად პრობლემას. მაგრამ აქ საინტერესოა ვიცოდეთ: შესძლო თუ არა ლერმონტოვმა ამ პრობლემის სავესებით გადაჭრა? ვფიქრობთ, რომ ვერა. „ჩვენი დროის გმირმა“ სავესებით ვერ დასძლია წინა წლების ლერმონტოვის რომანტიზმი. თავის მოკლე ცხოვრების დასასრულამდე აწარმოებდა სინამდვილესთან სასტიკ ბრძოლას. მის თანამედროვე კონფლიქტი კიდევ უფრო გაძლიერდა. სინამდვილის ქედმაღლურად უარყოფა ლერმონტოვს აიძულებდა ბაირონისებურ ტრაფარეტზე შეჩერებულიყო. ამით აიხსნება პეჩორინის დემონურობა, რაც მრავალი კრიტიკოსის მიერ იქნა აღნიშნული. პეჩორინი ლერმონტოვის ახლო ნათესავია. ავტორი მის ზევით კი არა დგას, როგორც, ვთქვათ, პუშკინი ონეგინზე. აქედან გამომდინარეობს ამ ტიპის არასაკმაო ობიექტივიზაცია მწერლის მიერ და თავის გმირისადმი უნებური რომანტიკური ტრფიალი. ეს დაკვირვება განსაკუთრებით დამაჯერებელი ხდება, რომანის მთავარ გმირს მეორე ხარისხიდან გმირებს თუ შევადარებთ. მაგალითისათვის ავიღოთ გრუშნიცკი, თავადის ქალი მერი, დრაგუნის კაპიტანი. გრუშნიცკი რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ცოცხალი სახეთაგანი არის. მხატვრული ობიექტურობა მასში უკიდურესობამდე არის დაყვანილი. იგივე შეიძლება ითქვას დრაგუნის კაპიტანზე, რომლის სახე ცოცხლად არის მოცემული. რა თქმა უნდა, პეჩორინზე ამას ვერ ვიტყვით, იგი ვერ არის საკმაოდ ნათლად გამოკვეთილი.

რომანტიკული და რეალისტური ამოცანების შეთავსების სურვილით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ გარემო ამოგლეჯილია თავის ჩვეულებრივ სფეროდან და გადატანილია მინერალურ წყლებზე. შესაძლოა ამით ავ-

ტორი გვერდს უვლიდა საყოფაცხოვრებო დაკვირვებას, მთელ ყურადღებას აპყრობდა გმირების პსიხოლოგიის დეტალურ და ღრმა ასახვას. ეფიქრობო, რომ რომანის კონსტრუქციაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული რთული ამოცანიდან. ავტორი აქ არ ზრუნავს სიუჟეტი გაშალოს ფართო საყოფაცხოვრებო ფონზე, და სმიტომ სიუჟეტურად დაუკავშირებელი, ცალკეული მოთხრობები, მხოლოდ საერთო გმირით გადაბმული, მას გასაქანს აძლევს ღრმად ჩასწვდეს გმირის ფსიხოლოგიას. მაგრამ რომანის ღირსება ამით არ მცირდება.

საკუთარი თავად-აზნაურული წრისა და მთიელების ყოფაცხოვრების რეალისტური ასახვის გარდა, ლერმონტოვმა მოგვცა პსიხოლოგიური რომანის პირველი ნიმუში რუსულ ლიტერატურაში; მანვე მოგვცა პსიხოლოგიური ნოველების ახალი ჟანრი, ჩეხოვს გზა გაუკაფა. ჩეხოვი ტყუილად კი არ აღიარებდა ლერმონტოვის „ტამანს“ საუკეთესო რუსულ მოთხრობად, ყველა ბელეტრისტიკისათვის მიუწვდომელ ნიმუშად.

რაც შეეხება ლერმონტოვის პროზის ენას, ის განირჩევა შეკუმშულობით, გამომსახველი საშუალებების ეკონომიით და ამ მხრით პუშკინის ენას უახლოვდება. მხოლოდ სისადავეში ჩამორჩება მას. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სიტყვის სიწმინდისა და სისწორის მხრით ლერმონტოვი სჯობნის პუშკინსა და გოგოლს. იგივე ჩეხოვი სწერდა: „მე არ ვიცნობ ენას, ლერმონტოვზე უკეთესს“.

ლერმონტოვის პროზის შესწავლა გვარწმუნებს, რომ პოეტი რეალისტურ გზას მტკიცედ დაადგა და შემდეგში მას შეეძლო რუსული ლიტერატურის მაღალ-მხატვრული ოსტატობით შესრულებული, უფრო დიდი, რეალისტური ტილოებით გამდიდრება. რომ მწვერვალების მიღწევამდე, ბრწყინვალე ძალების აყვავების ხანაში ასე შეუბრალებლად არ შეწყვეტილიყო მისი მდიდარი, მრავალფეროვანი ცხოვრება.

ლერმონტოვმა ჩვენ დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა, რომელსაც ფართოდ გამოიყენებს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა.

პასუხისმგებელი რედაქტორი — ალექსანდრე ვაიზვილი

პასუხისმგებელი მდივანი — კონ. ლორთქიფანიძე

შეკვ. № 1129.

მთავლიტ. № 32016.

ტირაჟი 5,000

სახლევამის პოლიგრაფკომბინატის სტამბა, უორესის ქ. № 5.